დავით კაკაბაძე

ხანგლის ამბავი



«ნაკადული»
თბილისი
1965

902.97(C41)
737(47.922)(09)+9(47 922)(001)
3 241

შესავალი

ისტორიის გარიჟრაჟზე. ადამიანის სამეურნეო საქმიანობის პირველსავე საფეხურებზე, გაჩნდა შრომის პროდუქტების გაცვლა-გამოცვლის საჭიროება. ბუნებრივია. რომ ამას უნდა მოჰყოლოდა ისეთი საზომი ერთეულების დადგენა, რომელიც დააწესებდა ამა თუ იმ საქონლის ღირებულებას. ცხადია. ის გარეგნული სახე, რომელიც ფასეულობათა თანამედროვე საზომს — ლითონის ფულს, ანუ მონეტას გააჩნია, მას ყოველთვის არ ჰქონდა. მეცნიერებამ გზა გაიკვლია საუკუნეთა წყვდიადში და დაადგინა როგორი აღებ-მიცემობა არსებობდა ამ სამი-ოთხი ათასი წლის წინათ და ღირებულების რა საზომები ყოფილა მიღებული იმ დროს. ყოველივე იმის დადგენას, რაც ახლა უბრალო ჭეშმარიტებად იქცა, გრძელი და მძიმე გზის გავლა დასჭირდა.

გაცვლა-გამოცვლისა და ვაჭრობის განვითარების სხვადასხვა საფეხური. როგორც ცნობილია, ყველა ხალხმა გაიარა, კულტურული დონე იმ ქვეყნებისა. რომლებიც სხვადასხვა გარემოების გამო საერთაშორისო ცხოვრებაში შედარებით გვიან ჩაებნენ, ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს. ამ ქვეყნებში ახლაც ცხოვრობენ ტომები, რომლებიც ისევე მარტივად ვაჭრობენ, როგორც ვაჭრობდნენ ჩვენი წინაპრები ათასეული წლების წინათ. ეთნოგრაფიული წყაროებიდან მიღებული ცნობებისა და არქეოლოგიური გათხრების დროს მოპოვებული მასალების დაპირისპირებით შესაძლებელი ხდება შორეული წარსულის სურათის აღდგენა.

თანამედროვე ფულის ნიშნების მაგივრობას თავდაპირველად ასრულებდა სხვადასხვა საგანი, როგორიც არის საწარმოო ან საომარი იარაღი, ტყავეულ-ბეწვეული, რქოსანი პირუტყვი და სხვ. ცნობილია, რომ უძველეს ხალხებში ლითონის ფულის გაჩენამდე. მის

მაგივრობას რქოსანი პირუტყვი ასრულებდა. ამ მხრივ დამახასიათებელია, რომ ძველი რომაული ტერმინი „pecunia“ (ფულისა და პირუტყვის მნიშვნელობით) ძველი ქართული ტერმინის „ხვასტაგის“ მსგავსად ფულს, დოვლათს და, ამავე დროს, რქოსან პირუტყვს ნიშნავდა.

დოვლათისა, ფულისა და შინაური მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის აღსანიშნავად იმერეთში დღესაც იხმარება სიტყვა ხვადაგი, რომელიც ხვასტაგისაგან წარმოიშვა. სიტყვა „скот“ სლავებშიაც ფულის მნიშვნელობით იხმარება, მაგალითად, სიტყვა „скотница“ ხაზინის აღმნიშვნელ სიტყვად არც ისე შორეულ წარსულში იხმარებოდა.

ამასთან დაკავშირებით, შეიძლება შემთხვევითიც არ იყოს ის გარემოება, რომ ერთ-ერთ უძველეს ქართულ ფულზე ე. წ. „კოლხურ თეთრზე“ სწორედ ხარის თავია გამოსახული. თუმცა ვარაუდობენ აგრეთვე, რომ ეს გამოსახულება რელიგიურ წარმოდგენებთან დაკავშირებით გაჩნდა. არც ისე შორეულ წარსულში ჩვენს წინაპრებს ხარი გაღმერთებული ჰყავდათ მთვარის კულტთან დაკავშირებით.

ფასეულობის ზემოაღნიშნული საზომები, რა თქმა უნდა, თავის პირდაპირ დანიშნულებას კარგად ვერ ასრულებდა: მათი დიდი ნაწილი ადვილად ზიანდებოდა, გადასატან-გადმოსატანადაც მოუხერხებელი იყო. ამიტომ მათი ღირებულებაც ძალიან მერყეობდა.

ყველაფერი ეს ნორმალურ ვაჭრობას აბრკოლებდა, რადგან ყველგან და ყოველგვარ პირობებში მომხმარებელი მოითხოვდა თანაბარფასიან საზომებს. ყველა ამ პირობას ვაჭრობა-მრეწველობაში გაჩენილი ლითონი აკმაყოფილებდა და, თავისი შინაგანი ფასეულობის თვისებათა შედარებითი მუდმივობის გამო, საუკეთესო საზომად გადაიქცა; ლითონის ფულის გაჩენამ ძირფესვიანი გადატრიალება მოახდინა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ლითონმა სულ ახალი მიმართულება მისცა ადამიანთა ცხოვრება-საქმიანობას: მშვიდობიანი ცხოვრების ყველა სფეროში ახალი წესი დამყარდა, დიდი ცვლილება განიცადა მიწათმოქმედებამ, ნადირობამ და ხელოსნობამ, შეიცვალა ომის ხასიათი, წესები და ხერხები.

მაგრამ ფულის ევოლუცია ძალზე ნელა მიმდინარეობდა; სანამ პირველყოფილ საქონელ-ფულის ადგილს ლითონის ნამდვილი ფული დაიკავებდა, მან მრავალგვარი ცვლილება განიცადა. თავდაპირველად, ჩვენს წელთაღრიცხვამდე დიდი ხნით ადრე, გაჩნდა ოქრო, რომელსაც ხალასი ლითონის სახით უფრო ხშირად ვხვდებით ბუნებაში. ვერცხლთან და სხვა ლითონებთან შედარებით, ოქრო მაშინ უფრო იაფი უნდა ყოფილიყო, რადგან იგი ბუნებაში წმინდა სახით მოიპოვებოდა. მაგრამ შემდეგ, ვერცხლისა და სხვა ლითონების მოპოვებისა და წარმოების ათვისებისთანავე, ოქრომ, როგორც ძვირფასმა და კეთილშობილმა ლითონმა, თავისი შესაფერისი ადგილი დაიკავა.

პირველ ხანებში ლითონებსაც მხოლოდ საქონლის დანიშნულება ჰქონია და აღებ-მიცემობაშიაც იხმარებოდა ზოდების სახით, ესე იგი იმ სახით, როგორითაც უშუალოდ სადნობი ქურებიდან გამოდიოდა. ეს ნაკეთობანი პირველ საფეხურებზე ფულის ისეთსავე შემცვლელს წარმოადგენდა, როგორც დანარჩენი ნატურალური ნაწარმი.

საქმის გაუმჯობესებისაკენ პირველი შესამჩნევი და წინგადადგმული ნაბიჯი იყო ლითონის ზოდებისაგან განსაზღვრული ფორმის, ზომისა და წონის ნაკეთობათა დამზადება: ძველ ეგვიპტეში, მაგალითად, საფასურს ოქროს ბეჭდებით იხდიდნენ, სპარტაში — რკინის წკეპლებით, რუსეთში — ვერცხლის მოკრძო ზოდებს ე. წ. „გრივნებს“ ხმარობდნენ, ჩვენი წინაპრები — პრინჯაოს სამაჯურებს და ა. შ.

არქეოლოგიური მასალებიდან იცვლება, რომ ჩვენი ქვეყნის უძველეს სამარხებში აღმოჩენილი ზოგიერთი ბრინჯაოს სამაჯური, სამკაულის დანიშნულებასთან ერთად, ფულის ნიშნის ფუნქციებსაც ასრულებდა.

ანგარიშსწორების დროს პირველყოფილი ფულის ნიშნებს წონით ღებულობდნენ, ვინაიდან ეს ნაკეთობანი, მათი ხარისხის მიუხედავად, ყოველთვის არ შეიცავდნენ ლითონის საჭირო რაოდენობას. ანგარიშსწორების დროს აუცილებელი ხდებოდა მათი დანაწილება, რაც ცხადია, უხერხულ პროცედურებთან იყო დაკავშირე-

ბული და ღირებულებათა ახალი საზომების გავრცელებას ართულებდა.

დროთა განმავლობაში ზოდებსა და მის ნაკეთობებს საჭირო ზომის ნაჭრების ჩამოკვეთა დასჭირდა, რასაც უკვე შემდეგი გაუმჯობესება-დადამღვის პროცესი, ესე იგი შტამპის დასმა მოჰყვა. რა თქმა უნდა, თავდაპირველად ლითონის ნაჭრები მარტივად და უხეშად იდამღებოდა, მაგრამ ამ პროცესის თანდათანობითი გაუმჯობესების შედეგად ათვისებულ იქნა რთული და მხატვრული გამოსახულების, შემდეგ კი წარწერების გამოყვანის ხერხებიც.

ჯერ საბოლოოდ დადგენილი არ არის, თუ სად და, სახელდობრ, რომელ ქვეყანაში გაჩნდა პირველად ასეთნაირად მოჭრილი ფული. ძველი წყაროები ამის შესახებ სხვადასხვა ცნობებს გვაწვდიან. არსებულთაგან ყველაზე უფრო სანდო წყარო ორია: პირველი — მარმარილოს ფილაზე ამოკვეთილი წარწერა, რომელიც არგოსის მეფე ფეიდონს მიაწერს მონეტის შემოღებას (კუნძულ ეგინაზე გამოშვებული დიდრაქმები კუს გამოსახულებით), მეორე — ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნის ბერძენი ისტორიკოსის ჰეროდოტეს ცნობა, რომელიც ოქროსა და ვერცხლის პირველი მონეტების მომჭრელ ქვეყნად ლიდიას ასახელებს.

პირველი მონეტების შემოღების დროდ ორივე წყარო ძველი წელთაღრიცხვის VII საუკუნეს ასახელებს. ფასეულობის ეს ახალი საზომები სწრაფად გავრცელდა იმდროინდელ კულტურულ ქვეყნებში და, უპირველეს ყოვლისა, ფენი მოიკიდა ხმელთაშუა და შავი ზღვის ნაპირებზე მდებარე ქალაქებსა და სახელმწიფოებში. საერთოდ გავრცელებული აზრით, შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე მდებარე ბოსტონის სამეფოში, მაგალითად, მონეტები ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნის დამლევს შემოუღიათ, ძველ ერანში — დარიოს პირველის (521—485 წწ.) დროს, ეგვიპტეში, ბაქტრიასა და ინდოეთში — ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნის დასასრულს, კართაგენში — არა უადრეს 400 წლისა; რაც შეეხება ძველ რომს, იქ ეს ღონისძიება ძველი წელთაღრიცხვით IV საუკუნეზე ადრე ვერ გატარდებოდა.

ჩვენს ქვეყანაში, სახელდობრ ძველ კოლხეთში, საკუთარი მო-

ნეტა ძალიან ადრე გაჩენილა. კოლხური თეთრის ზოგიერთი სახეობა უკანასკნელ გამოკვლევათა მიხედვით, ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნით თარიღდება; ამიტომ სრული უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ ისინი მსოფლიოს უძველესი მონეტების რიცხვს ეკუთვნიან; თავისი ტექნიკურ-მხატვრული შესრულებითაც კოლხური თეთრი იმდროინდელ საუკეთესო ნიმუშებს არაფრით არ ჩამოუვარდება. თავდაპირველად მონეტის სახელწოდება მის წონას გამოხატავდა და სიმძიმით მართლაც შეესაბამებოდა წონის ნამდვილ ერთეულს. მაგრამ დროთა მსვლელობაში მონეტის წონა ან სინჯი თანდათან კლებულობდა, მონეტის სახელი კი უცვლელი რჩებოდა. მონეტის დასახელებასა (ნ ო მ ი ნ ა ლ ი) და მის წონას (ე. ი. მის ნამდვილ ღირებულებას — რ ე ა ლ ს) შორის სხვაობა სულ უფრო და უფრო ღრმავდებოდა. ასე დაშორდა წონითი და ფულადი მნიშვნელობა ისეთი ერთეულებისა, როგორიცაა, მაგალითად, ბერძნული ტალანტი და დრაქმა (ქართულად დრამა), ქართული დანგი, ინგლისური გირვანქა, გერმანული მარკა და სხვა.

ნივთიერი კულტურის ძეგლთა შორის ძველებურ მონეტებს ერთ-ერთი საპატიო ადგილი უკავია. ერთნაირი სახისა და მყარი, ხანგამძლე მასალისაგან დამზადებული ეს ნიმუშები თავის დროზე მეტად დიდი რაოდენობით მზადდებოდა, ადამიანის აუცილებელი თანამგზავრი იყო, ფართოდ ვრცელდებოდა საზოგადოებაში, სწრაფად გადადიოდა ხელიდან ხელში და პატრონს ხშირად იცვლიდა. თავის დროზე დიდი რაოდენობით დამზადებული ამ მონეტებიდან ჩვენამდე მხოლოდ მცირე ნაწილმა მოაღწია, მაგრამ მოჭრილ მონეტათა რაოდენობა იმდენად დიდი ყოფილა, რომ მისი უმცირესი ნაწილიც კი მნიშვნელოვან რიცხვს აღწევს. საბჭოთა კავშირის სამუზეუმო საცავებში ძველებური ფულის მარაგი მილიონებით განისაზღვრება, ხოლო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, მაგალითად, იგი ოთხმოცი ათასს აღწევს.

ძველებური ფულის დიდმა რაოდენობამ თავისი არსებობა ხელოსნების ღუმელებში დაამთავრა, სადაც სამკაულებად და სხვადასხვა ნაკეთობად იქცა; ბრუნვა-მიმოქცევიდან გამოსული მონეტების გაცილებით მეტ რაოდენობას ძველადვე იყენებდნენ ახალი

ᲛᲝᲜᲔᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲭᲠᲔᲚᲐᲓ. ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲐᲛᲘᲡᲐ, ᲛᲐᲗᲘ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲐᲡ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲒᲐᲓᲐᲣᲠᲩᲐ, ᲨᲔᲛᲝᲘᲜᲐᲡᲐ ᲞᲘᲠᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲡᲐᲮᲔ-ᲒᲐᲠᲔᲒᲜᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲐᲛᲓᲔ ᲐᲡᲔ ᲛᲝᲐᲦᲬᲘᲐ.

ᲛᲝᲜᲔᲢᲘᲡ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲖᲝᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ, ᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲘᲡ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲘᲧᲐᲠᲒᲔᲑᲝᲓᲐ, ᲖᲝᲒᲯᲔᲠᲐᲪ ᲛᲐᲡ ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲔᲑᲝᲓ ᲐᲑᲐᲠᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲛᲘᲬᲐᲡ ᲨᲔᲬᲘᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲘᲗ, ᲐᲜ ᲛᲘᲪᲕᲐᲚᲔᲑᲣᲚᲡ ᲐᲢᲐᲜᲓᲜᲔᲜ ᲡᲐᲤᲚᲐᲕᲨᲘ. ᲘᲧᲝ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲔᲑᲘ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲚᲘᲗᲝᲜᲘᲡ ᲐᲛ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲤᲘᲠᲤᲘᲢᲔᲑᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲛᲘᲬᲐᲨᲘ ᲛᲐᲠᲮᲐᲕᲓᲐ ᲮᲘᲤᲐᲗᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲡᲘᲛᲓᲘᲓᲠᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲘᲗ.

ᲛᲘᲬᲐᲜᲘ ᲐᲛᲜᲐᲘᲠᲐᲓ ᲛᲝᲮᲕᲔᲓᲠᲘᲚ ᲛᲝᲜᲔᲢᲔᲑᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲙᲣᲗᲮᲔᲨᲘ ᲞᲝᲣᲚᲝᲑᲔᲜ ᲐᲠᲥᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲗᲮᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲐᲫᲠᲔᲑᲘᲡ, ᲪᲘᲮᲔ-ᲡᲘᲛᲐᲯᲠᲔᲔᲑᲘᲡ — ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲒᲕᲐᲠ ᲜᲐᲒᲔᲑᲝᲑᲐᲗᲐ ᲠᲔᲡᲢᲐᲕᲠᲐᲪᲘᲘᲡᲐ ᲐᲜ ᲓᲐᲨᲚᲘᲡ, ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲒᲖᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲮᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲧᲕᲐᲜᲘᲡ, ᲡᲐᲡᲐᲜᲒᲠᲝ ᲓᲐ ᲡᲐ-ᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ. ᲐᲛ ᲫᲔᲒᲚᲔᲑᲛᲐ ᲫᲕᲔᲚᲗᲐᲒᲐᲜᲕᲔ ᲛᲘᲘᲠᲧᲠᲝ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ, ᲠᲐᲛᲐᲪ ᲮᲔᲚᲘ ᲨᲔᲣᲬᲧᲝ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ, ᲡᲐᲮᲔᲚᲓᲝᲑᲠ, ᲜᲣᲛᲘᲖᲛᲐᲢᲘᲙᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲧᲐᲚᲘᲑᲔᲑᲐᲡ.

ᲐᲛᲠᲘᲒᲐᲓ. ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲫᲕᲔᲚᲔᲑᲣᲠᲘ ᲛᲝᲜᲔᲢᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲓᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲬᲐᲕᲚᲐᲡ ᲔᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ, ᲜᲣᲛᲘᲖᲛᲐᲢᲘᲙᲐᲡ ᲣᲬᲝᲓᲔᲑᲔᲜ. ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐᲠᲒᲔᲑᲗᲐᲜ, ᲐᲛ ᲓᲘᲡᲪᲘᲠᲚᲘᲜᲐᲡ ᲐᲠᲪ ᲘᲡᲔ ᲮᲐᲜᲒᲠᲫᲚᲘᲕᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ ᲐᲥᲕᲡ. ᲜᲣᲛᲘᲖᲛᲐᲢᲘᲙᲐ XIV ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲨᲘ ᲐᲦᲛᲝᲪᲔᲜᲓᲐ, ᲗᲐᲜᲓᲐᲗᲐᲜ ᲕᲘᲗᲐᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲨᲔᲙᲠᲔᲑᲘᲗᲘ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲘᲡ ᲒᲖᲘᲗ ᲓᲐ XVIII ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡᲐ-ᲗᲕᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗ ᲡᲐᲘᲡᲢᲝᲠᲘᲝ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲓ ᲘᲥᲪᲐ.

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲛ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲐ — ᲜᲣᲛᲘᲖᲛᲐᲢᲘᲙᲐ — ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲑᲐ ᲑᲔᲠᲫᲜᲣᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲓᲐᲜ „ᲜᲝᲛᲘᲖᲛᲐ,“ ᲠᲐᲪ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲔᲠᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲡᲬᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐᲡ ᲐᲜᲣ ᲤᲣᲚᲡ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ. ᲛᲝᲜᲔᲢᲐᲪ ᲚᲐᲗᲘᲜᲣᲠᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲐ, — ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲤᲣᲚᲘᲡ, ᲤᲐᲡᲔᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲛᲡ. ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲐᲠᲥᲔᲝᲚᲝᲒᲘᲐᲨᲘ ᲜᲣᲛᲘᲖᲛᲐᲢᲘᲙᲐᲛ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲓᲐᲘᲙᲐᲕᲐ: ᲛᲝᲜᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲛᲐ ᲗᲣ ᲘᲛ ᲜᲘᲨᲜᲘᲡ (ᲖᲝᲛᲐ, ᲬᲝᲜᲐ, ᲤᲝᲠᲛᲐ, ᲢᲘ�პᲘ, ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲮᲣᲚᲔᲑᲐ ᲐᲜ ᲬᲐᲠᲬᲔᲠᲐ, ᲚᲘᲗᲝᲜᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘ, ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ ᲒᲐᲤᲝᲠᲛᲔᲑᲐ) ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲮᲔᲠᲮᲓᲔᲑᲐ ᲨᲝᲠᲔᲣᲚ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲨᲘ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲘ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲐ. ᲐᲛ ᲛᲮᲠᲘᲕ ᲛᲝᲜᲔᲢᲐ ᲣᲢᲧᲣᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲤᲐᲡᲓᲐᲣᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲫᲔᲒᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲡ ᲐᲠᲐ

მარტო ლითონისაგან დამზადებული ფულის ნიშანს, არამედ შორეულ წარსულში ამა თუ იმ ხალხის პოლიტიკური, ეკონომიური, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების ამსახველ უძვირფასეს ფაქტიურ, დოკუმენტურ მასალას.

მონეტაზე შერჩენილი ამა თუ იმ ნიშნის მიხედვით ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ მრავალი ისეთი მოვლენის შესახებ, როგორიც არის, მაგალითად, ამა თუ იმ ხალხის კულტურული განვითარება, სახელმწიფოს პოლიტიკური თუ სამხედრო ძლიერება და ა. შ. ცნობებს ამ მოვლენებზე და მიზეზებს, რომლებმაც მონეტის ესა თუ ის ცვლილება გამოიწვიეს, უკვე სხვა წყაროებიდან ვიგებთ.

მაგრამ მონეტის გამოსაცნობად მხოლოდ და მხოლოდ ნუმიზმატიკის ცოდნა არ არის საკმარისი. ნუმიზმატიკა მჭიდროდ არის დაკავშირებული მეცნიერების მთელ რიგ სხვა დარგებთან. განსაკუთრებით ახლოს დგას იგი ისტორიასთან და, სავსებით ცხადია, რომ კვლევითი მუშაობა ნუმიზმატიკაში ისტორიის ცოდნის გარეშე ყოვლად შეუძლებელია. ლითონის წონითი ღირებულების მნიშვნელობის იგივეობით, ლითონის ღირებულების ურთიერთდამოკიდებულებით და სამონეტო სისტემით ნუმიზმატიკა პოლიტიკური ეკონომიის შესწავლის ერთ-ერთ ობიექტს შეადგენს. ნუმიზმატიკა უკავშირდება მეცნიერების ისეთ დარგებს, როგორიც არის, მაგალითად, ხელოვნების ისტორია, პალეოგრაფია, ჰერალდიკა, მითოლოგია.

გულდასმით შესწავლისა და მომიჯნავე მასალებთან დაკვირვებითი შედარების საშუალებით ნუმიზმატიკური ნიმუშები ძალიან ხშირად ფრიად მნიშვნელოვან ცნობებს იძლევა. ზოგიერთი ცალკეული ნიმუში საინტერესოა როგორც ხელოვნების ნაწარმოები. მაგრამ ქართული მონეტების ძირითადი ნაწილი ამ თვისებით არ ხასიათდება, თუმცა უნდა ითქვას, რომ მათ შორისაც გვხვდება დიდი ნატიფი ხელოვნებით შესრულებული ნიმუშები. სამაგიეროდ, ქართული მონეტები ისე უტყუარია და ისე ჭეშმარიტად ასახავს ჩვენი ქვეყნის გმირულ თავგადასავალს, რომ ქართველი ერის ისტორიის მცოდნეს მისი ნუმიზმატიკური მემკვიდრეობის შესწავლის დროს განსაკუთრებულ სულიერ აღმაფრენას აგრძნობინებს და ამ ძეგლების უდიდეს მნიშვნელობას ადვილად მიახვედრებს.

ქართული ნუმიზმატიკური ძეგლები მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდიან ჩვენი ქვეყნის წარსულისა და კულტურული განვითარების ყველა საფეხურის შესახებ. მრავალსაუკუნოვანი განვითარების მთელ მანძილზე ქართული ნუმიზმატიკური ძეგლები ზუსტად და პირუთვნელად ასახავს ჩვენი ქვეყნის გმირულ თავგადასავალს. უდავოა, რომ ისეთ დაწვრილებითს ცნობებს, როგორსაც მაგალითად ხელნაწერები იძლევა, ძველი ფული არ შეიცავს, მაგრამ, სამაგიეროდ, მონეტა თავისუფალია იმ სუბიექტურობისაგან, რომელიც ხელნაწერს ახასიათებს. ნუმიზმატიკური ძეგლების უპირატესობა სათანადო ეპოქის სულისკვეთების სწორსა და უტყუარ გადმოცემაში მდგომარეობს.

ნუმიზმატიკური ძეგლები საშუალებას იძლევა თვალი მივადევნოთ ფულის ღირებულებისა და მონეტის გარეგნობის ცვლილებას, გამოვარკვიოთ, თუ რა მიზეზის გამო კლებულობს მონეტის წონა ან რად უარესდება ლითონის ხარისხი, ე. ი. მისი სინჯი. უკვე სხვა წყაროებიდან ვიგებთ, რომ ეკონომიური კრიზისით გამოწვეული მონეტის ასეთი გაფუჭება-გაუარესება და იძულებითი წესით მისი გავრცელება მომხმარებლის სტიქიურ წინააღმდეგობას იწვევდა. ამ იძულებითს ღონისძიებას მოჰყვებოდა მოხმარების პირველი საჭიროების საგნებზე ფასების კატასტროფული ზრდა, ხალხის გაჭირვება და ზოგჯერ სისხლის ღვრაც. მაგალითად, XVII საუკუნეში მეფე ალექსი მიხეილის ძემ რომ სპილენძის მანეთიანები შემოიღო, ამან რუსეთში დიდი აჯანყება გამოიწვია, როდესაც მონეტის გაფუჭება მოჭრის ტექნიკის მიზეზით ხდებოდა, ეს თითქმის ყოველთვის შეუმჩნეველი რჩებოდა, რადგან აქ მონეტის უნებლიე გაფუჭებას ჰქონდა ადგილი.

მაგრამ მონეტას ხშირად ფინანსური ღონისძიების შედეგად, სივადასხვაგვარად, აშკარად ან ფარულად, აკლებდნენ რეალურ ანუ ნამდვილ ღირებულებას: ამცირებდნენ სინჯს, წონას, იძულებით ცვლიდნენ მაღალი ღირებულების ლითონს უფრო იაფი ლითონით და სხვა. ამ შემთხვევაში უკვე მონეტის განზრახ გაფუჭებას ჰქონდა ადგილი.

გათვალისწინებული იყო, რომ მონეტათა განსაზღვრული რაოდე-

ნობა განსაზღვრულივე წონის ლითონიდან უნდა მოჭრილიყო. შეფარდებას ლითონის წონასა და მისგან მოჭრილ მონეტათა რიცხვს შორის ქართულად ს ა მ ო ნ ე ტ ო რ ი გ ს ვუწოდებთ (რუსულად მას ეწოდება «Монетная стопа»).

უნდა აღვნიშნოთ, რომ ხალასი ოქროს ან ვერცხლისაგან მოჭრილი მონეტები ამ ლითონების სირბილის გამო მალე ცვდება; ამიტომ კეთილშობილ რბილ ლითონებს სხვა, უფრო მტკიცე ლითონებს ურევდნენ (ჩვეულებრივ — სპილენძს). ასეთ შერეულ ლითონს ლ ი გ ი რ ე ბ უ ლ ლითონს უწოდებენ, კეთილშობილი ლითონის რაოდენობას — ს ი ნ ჯ ს ან ს ი ნ ჯ ა დ ო ბ ა ს. ხოლო შერეულ უცხო ლითონს — ლ ი გ ა ტ უ რ ა ს.

დაკანონებული პროპორციის ზუსტი დაცვა ტექნიკურად ძნელი იყო და ამიტომ ლითონის სინჯადობა, ისევე როგორც მოჭრილი მონეტის წონა, ყოველთვის და ყველა ქვეყანაში მერყეობას განიცდიდა, მონეტის სინჯის ანუ წონის ამ მერყეობას რ ე მ ე დ ი უ მ ი ეწოდება. საშემოსავლო, ანუ ფისკალური მიზნებით, ფინანსიურ ღონისძიებათა გასატარებლად ყველაზე უფრო ხშირად სწორედ ამ მეთოდს მიმართავდნენ და დაკანონებულ ნორმებთან შედარებით მონეტას ან წონას აკლებდნენ, ან სინჯს, ანდა ზოგჯერ — ორივეს ერთად.

ამრიგად, ბრუნვაში უშვებდნენ მონეტას, რომელსაც რეალური, ანუ ნამდვილი ღირებულება ნომინალურზე ე. ი. დაწესებულზე დაბალი ჰქონდა. რეალური და ნომინალური ღირებულების განსხვავება კი ხელისუფლის შემოსავალს შეადგენდა.

მაგალითად, ჩვენში, ისევე როგორც მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში, წონისა და სინჯის ამ შემცირებამ ერთ ხანს იმდენად კატასტროფული ხასიათი მიიღო, რომ XI საუკუნიდან მოკიდებული კურცხლის მონეტის წონამ ერთი საუკუნის მანძილზე სამი გრამიდან ოთხ-ოთქმის 0, 5 გრამამდე იკლო, ხოლო შემდეგ, უკვე XII საუკუნეში, უფთა სპილენძად იქცა. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ მონეტებს, რომლებსაც მხოლოდ ზოგჯერ ემჩნევა ვერცხლით დაფერვა, არწერის საშუალებით ხშირად „ვერცხლად" ასაღებდნენ. ქართული სიტყვა „ვერცხლი" ფრანგული argent-ის მსგავსად ნიშნავდა

ვერცხლსაც და საერთოდ ფულსაც. ამიტომ საფიქრებელია, რომ XII-XIII საუკუნეების სპილენძის ქართულ მონეტებზე აღბეჭდილი ეს სიტყვა სწორედ ფულის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო და არა ლითონისა. ამრიგად, მონეტის განზრახ გაფუჭება-გაუარესება უკვე სრულიად აშკარად ტარდებოდა XII-XIII საუკუნეების ეგრეთ წოდებული საკრედიტო მონეტის იძულებითი გავრცელებით.

ქართული ნუმიზმატიკის ძეგლები მონეტის გაფუჭების მრავალ ხერხს გვაცნობენ: ვერცხლის წონა შესამჩნევად აკლდება არა მარტო XI საუკუნის მონეტას, არამედ შემდგომი დროის მონეტებსაც. XIII საუკუნეში სამონეტო საქმის დროებითი გამოსწორების შემდეგ, XIV საუკუნიდან XVI საუკუნემდე, ეს სურათი კვლავ მეორდება, ორივე შემთხვევაში ვერცხლი ბოლოს სპილენძით იცვლება.

მონეტის ფარული გაფუჭების ხერხს, როდესაც მას განსაკუთრებული წესით ამზადებდნენ და სათანადო დამუშავების შემდეგ სპილენძის გულას მთლიანად ვერცხლის თხელ ფირფიტას აკრავდნენ, ჩვენი წინაპრები ძალიან ადრე გაეცვნენ. ეს ე. წ. სუბერატული მონეტა ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის V-III საუკუნეების კოლხური თეთრის ნიმუშებს შორის ჩნდება. XV საუკუნეში სულ უბრალო ხერხებს ხმარობდნენ: სპილენძიდან მოჭრილი წვრილი მონეტების ნაწილი მხოლოდ დაფერილია ვერცხლით.

მონეტის წარწერები გვაუწყებენ ცალკე მფლობელების სახელებს, სამფლობელოთა სახელწოდებებს, გვაცნობენ ქალაქებსა და ქვეყნებს, სამეფო-საგვარეულო, ანუ დინასტიური ხასიათის ცნობებს და, ამრიგად, ძვირფას მასალას გვაწვდიან ქრონოლოგიისა და პოლიტიკური გეოგრაფიისათვის. ასეთსავე ძვირფას ცნობებს შეიცავს ეს მასალა ხალხის კეთილდღეობის, სამოქალაქო ურთიერთობისა და სავაჭრო გზების შესახებ.

მონეტის მოჭრა ძირითადად სახელმწიფოს უპირატესობას შეადგენს და, ამრიგად, ხელისუფლების ერთ-ერთ უმთავრეს გარეგან ნიშანს წარმოადგენს, რასაც სახელმწიფო სამონეტო რეგალია ეწოდება.

მოსკოვის დიდი მთავრების XIV-XV საუკუნეების მონეტებს

მაგალითად, პირდაპირ აწერია — «Печать великого князя», რაც ნიშნავს, რომ „ბეჭდის", ესე იგი, სიქის მფლობელი პირი, რომელსაც ფულის მოჭრის უფლება აქვს, თვითონვე ხელისუფალია. ამავე მონეტების მეორე წარწერა აფრთხილებს ყალბი ფულის მომჭრელს—«а кто подопише, тот будет осу» („ვინც ხელისუფლის ნებართვის გარეშე ფულს მოჭრის, მას ხელს ან თავს მოჰკვეთენო").

აქედან აშკარა ხდება, რომ მონეტას, როგორც ხელისუფლების ერთ-ერთ გ ა რ ე გ ა ნ ნ ი შ ა ნ ს, ბუნებრივად უნდა გაეტარებინა და ფაქტიურად ატარებდა კიდეც იმ ხელისუფლების ი დ ე ე ბ ს, რომლებსაც ის ემსახურებოდა. შეიცვლებოდა თუ არა ხელისუფლება, იცვლებოდა მონეტის გარეგანი ნიშნებიც, რადგან ფულის მოჭრის უფლებას უკვე სხვა ხელისუფალი ითვისებდა.

ზოგჯერ ამ უფლებას იჯარით კერძო პირებსაც აძლევდნენ, მაგრამ ასეთ შემთხვევაში მონეტის გამოშვების კონტროლს სახელმწიფოს მიერ დანიშნული მოხელენი ეწეოდნენ. თუ ფულს სახელმწიფო ან მოიჯარადრე ჭრიდა, მას ბ ლ ო კ ი რ ე ბ უ ლ (დაკანონებულ) ფულის მოჭრას უწოდებენ, მაგრამ ზოგჯერ ფ უ ლ ი ს თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ მოჭრასაც ჰქონდა ადგილი: ყველას, ვინც ზარაფხანაში ლითონს მიიტანდა, შეეძლო დაკანონებული და განსაზღვრული სასყიდლით ფული თავისთვის მოეჭრევინებინა. ჩვენში, მაგალითად, ვერცხლის ფულის მიმართ ასეთი წესი XVII-XVIII საუკუნეებში ყოფილა მიღებული; ხოლო სპილენძის მოჭრა ბლოკირებული იყო, რადგან ამ ლითონისაგან სახელმწიფოს დიდი შემოსავალი რჩებოდა.

ყველა დასახელებულ შემთხვევაში მონეტა მაინც სახელმწიფოში შემოღებული საერთო სახის, ანუ ტიპის მიხედვით იჭრებოდა. გამონაკლისს რომელიმე მოვლენის აღსანიშნავად მოჭრილი ან წარჩინებულთა რომელიმე ვიწრო წრისათვის საჩუქრად დასარიგებელი მონეტები წარმოადგენდა. პირველ შემთხვევაში ასეთ მ ო ნ ე ტ ა ს მ ე მ ო რ ი ა ლ უ რ ს (სამახსოვროს) უწოდებენ, მეორეში — დ ო ნ ა ტ ი უ რ ს (სასაჩუქროს).

მონეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მხარეს მასზე აღბეჭდილი თარიღი წარმოადგენს, რომელიც მონეტის მოჭრისა ან მისი ტიპის დამტკიცების დროს აღნიშნავს. ასეთ თარიღს უკვე მრავალი უძვე-

ლები მონეტა შეიცავს. სავსებით ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ისტორიის შესწავლისათვის ქრონოლოგიას, ანუ დროის განსაზღვრას; აშკარაა აგრეთვე ის დიდი როლი, რომელსაც მონეტა ამ საქმეში ასრულებდა. დროის აღრიცხვა საერთოდ პირობით მიღებულ რომელიმე მომენტიდან ხდება და ამიტომ მონეტებზე აღბეჭდილი თარიღები ყველგან და ყოველთვის ერთნაირი არ იყო: ყველა კულტურულ ერს ან სახელმწიფოს თავისი განსაკუთრებული წელთაღრიცხვა ჰქონდა და ამიტომ მონეტებზე სხვადასხვანაირ თარიღებს შევხვდებით. ზოგზე— ამა თუ იმ წელთაღრიცხვის მიმდინარე წელია აღნიშნული, ზოგზე ხელმწიფის მმართველობის მიმდინარე წელიწადი, ან კიდევ ე. წ. „ინიციალური", ანუ ტახტზე ასვლის თარიღი და სხვ.

ძველ საქართველოში საკუთარი წელთაღრიცხვა არსებობდა, რომელსაც ქ ო რ ო ნ ი კ ო ნ ს უწოდებდნენ. თარიღის აღსანიშნავად ციფრების ნაცვლად ანბანის ასოებს ხმარობდნენ, რომლებსაც რიცხვითი მნიშვნელობა ჰქონდა.

ქორონიკონს საფუძვლად უძევს 532 წლიანი ციკლი (დროის მონაკვეთი) ანუ მოქცევა. შუა საუკუნეების ქართველი ასტრონომები ქვეყნის შექმნიდან ჩვენი წელთაღრიცხვის დაწყებამდე ათ მოქცევასა და 284 წელს, ე. ი. 5604 წელს (532×10+284) ანგარიშობდნენ. ქორონიკონით წელთაღრიცხვა ჩვენში მხოლოდ 780 წლიდან ანუ XIII მოქცევიდან შემოიღეს და XIV მოქცევაშიაც ხმარობდნენ. მოქცევის წელიწადი ქორონიკონად იწოდება. თანამედროვე ჩვენს წელთაღრიცხვაზე ქართული ქორონიკონის გადასაყვანად მოცემულ ქორონიკონს 780 ან 1312 უმატებენ იმის მიხედვით, თუ რომელ მოქცევასთან გვაქვს საქმე. ერთი მოქცევის დამთავრებისა და მეორის დაწყების დროს ანგარიში თავიდან იწყება და თარიღები ისეთივე რჩება, როგორც წინა მოქცევაში.

თითოეული რიცხვი პირობითი ასოს საშუალებით იწერებოდა, მაგრამ, როგორც ვიცით, ანბანის ასოების რაოდენობა მცირეა, რიცხვი კი მრავალი. ამიტომ გამოყენებული იყო ჩაწერის ისეთი სისტემა, რომელიც ასოების მცირე რაოდენობის საშუალებით სხვადასხვანაირი მრავალი რიცხვის გამოსახვის შესაძლებლობას იძლეო-

და. ვისაც ქართული ქორონიკონი აინტერესებს, მას აუცილებლად დასჭირდება ქვემოთ მოყვანილი ცხრილი, სადაც ანბანის ყოველ ცალკე ნიშანს დართული აქვს მისი რიცხვითი მნიშვნელობა.*

	1	2	3	4	5	6	7	8	9
ერთეულები	Ⴀ ა	Ⴁ ბ	Ⴂ გ	Ⴃ დ	Ⴄ ე	Ⴅ ვ	Ⴆ ზ	Ⴇ ᲗᲘ	Ⴈ თ
ათეულები 0	Ⴉ ი	Ⴊ კ	Ⴋ ლ	Ⴌ მ	Ⴍ ნ	Ⴎ ᲔᲜ	Ⴏ ო	Ⴐ პ	Ⴑ ჟ
ასეულები 00	Ⴒ რ	Ⴓ ს	Ⴔ ტ	Ⴕ Უ	Ⴖ ფ	Ⴗ ქ	Ⴘ ღ	Ⴙ ყ	Ⴚ შ
ათასეულები 000	Ⴛ ჩ	Ⴜ ც	Ⴝ ძ	Ⴞ წ	Ⴟ ჭ	Ⴠ ხ	Ⴡ ᲯᲘ	Ⴢ ჯ	Ⴣ ჰ
ათი ათასი 0000	Ⴤ ჵ								

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი წ. ა. VIII საუკუნიდან მოყოლებული ქართულ მონეტათა უმრავლესობა მაჰმადიანური წელთაღრიცხვით (ჰიჯრით) თარიღდება. ჰიჯრა შემოღებული იყო 622 წელს (მაჰმადის მექადან განდევნის თარიღი), იგი მთვარის კალენდარზეა აგებული. ისევე, როგორც ჩვენი მზის წელიწადი, ეს მთვარის წელიწადიც 12 თვეს შეიცავს და რადგან მთვარის თვე მზის თვეზე ხანმოკლეა, მუსლიმანური ყოველი ახალი წელიწადი სულ უფრო და უფრო ადრე იწყება. ჩვენი მზის 33 წელიწადი მუსლიმანური მთვარის 34 წელიწადს შეიცავს და ჰიჯრაც. თუმცა ძალიან ნელა, მაგრამ თანდათანობით უახლოვდება ჩვენს წელთაღრიცხვას. მაგალითად, ჰიჯრის 50 წელიწადი ახალი წელთაღრიცხვის 670 წელს უდრის და მათ შორის განსხვავება 620 წელს შეადგენს, ხოლო ახალი წელთაღრიცხვის 1940 წ. — 1359 ჰიჯრას უდრის; როგორც ვხე-

* ძველი ქართული ანბანის ზოგიერთი ასო თანამედროვე ანბანში გამქრალია.

დავთ. ამ თარიღებს შორის სხვაობა შესამჩნევად შემცირდა და უკვე 581-ს უდრის. ამრიგად, 1270 წლის მანძილზე, რომელსაც ამ ორ შედარებულ თარიღს შორის გაუვლია, ჰიჯრა 39 წლით დასწევია ჩვენს წელთაღრიცხვას.

რადგან ჩვენს წელთაღრიცხვაზე ჰიჯრის ზუსტი გადაყვანა ერთგვარ სიძნელეს წარმოადგენს, ჩვეულებრივ, სპეციალურ თანადროულ ცხრილებს ხმარობენ. მაგრამ ამისთვის მარტივი ფორმულების გამოყენებაც შეიძლება, რომლებიც სულ უბრალო არითმეტიკულ მოქმედებებს მოითხოვს.

პ ი რ ვ ე ლ ი — ჩვენთვის საჭირო ჰიჯრას მაგალითად, 886 ვუმატებთ 622-ს. ეს უკანასკნელი რიცხვი უცვლელია;

მ ე ო რ ე — საჭირო ჰიჯრას-ს. ამ შემთხვევაში 886-ს, 33-ზე გავყოფთ (ეს რიცხვიც უცვლელია) და თუ ნაშთი გვრჩება (როგორც ამ შემთხვევაში) მას დავამრგვალეთ;

მ ე ს ა მ ე — პირველ მოქმედებაში მიღებულ ჯამს (1508) ვაკლებთ მეორე მოქმედებაში მიღებულ ნაშთს (27), სხვაობა დაემთხვევა ახალი წელთაღრიცხვის თარიღს — 1481 წ.

შემოკლებულ ფორმულას ასეთი სახე ექნება: (886+622) — (886:33)=x, სადაც საჭიროებისამებრ, 886 ჰიჯრის ნაცვლად სხვა საჭირო რიცხვის მოთავსება შეიძლება.

ახლა პირიქით, საჭიროა ჩვენი ეგრეთ წოდებული ევროპული თარიღის ჰიჯრაზე გადაყვანა: მაგალითად, გვაინტერესებს, თუ რომელ ჰიჯრას უდრის თემურ-ლენგის მიერ თბილისის აღების 1386 წელი. ამ შემთხვევაში შემდეგნაირად ვიმოქმედებთ:

პირველი — მოცემულ 1386-ს ვაკლებთ 622-ს;

მეორე — პირველი მოქმედების ნაშთს (764-ს) ვამრავლებთ 100-ზე;

ბოლოს — მეორე მოქმედებაში მიღებულ შედეგს (76400-ს) ვყოფთ 97-ზე.

საბოლოოდ მიღებული რიცხვი აქაც ემთხვევა 788 ჰიჯრას და მოკლე ფორმულაც ასეთ სახეს მიიღებს:

$$\frac{(1386-622)\cdot 100}{97}=x$$

სურვილისამებრ, რიცხვის — 1386-ის საჭირო თარიღით შეცვლა აქაც შეიძლება.

XVIII საუკუნის ზოგიერთი და XIX საუკუნის ყველა ქართული მონეტა ჩვენი თანამედროვე წელთაღრიცხვით არის აღბეჭდილი. პირველ შემთხვევაში თარიღი ციფრებით არის აღნიშნული, მეორე შემთხვევაში კი — ქართული მხედრული ანბანის ნიშნებით. თარიღს, რომელიც მონეტაზე ციფრებით ან სხვა რაიმე რიცხობრივი ნიშნებით არის აღნიშნული, პირდაპირი თარიღი ეწოდება; იმ შემთხვევაში, როდესაც მონეტას ასეთი ცნობა არ ახლავს, მაგრამ აღნიშნულია რაიმე სახელი, რომელიმე ცნობილი ფაქტი ან გამოსახულება, რომელიც მონეტის გამოშვების დროსე მიუთითებს, ცნობა არაპირდაპირ თარიღად იწოდება.

ქართული მონეტების განსაზღვრულ ნაწილს სწორედ პირდაპირი თარიღი ახასიათებს, რის გამოც ეს მასალა ქრონოლოგიურად ადვილად განისაზღვრება. მაგრამ ღირებულებისა ანუ ნომინალის განსაზღვრის მხრივ ქართული ნუმიზმატიკის ძეგლები ძნელი დასამუშავებელია, რადგან იშვიათი გამონაკლისის გარდა, ჩვენს მონეტებს საჭირო ცნობები არ ახლავს. ამის გამო წერილობით საბუთებში შემორჩენილი ამ ხასიათის ცნობების ზუსტი გარკვევა ხშირად მეტად ძნელი ხდება.

ნუმიზმატიკური ძეგლების გაცნობისას საქმე აუცილებლად გვექნება საანგარიშო, ფულად და სამონეტო სისტემებთან, რისთვისაც საჭიროა ზოგადი წარმოდგენა ვიქონიოთ ამ საკითხებზე.

საანგარიშო სისტემას უწოდებენ სხვადასხვა ნომინალების ურთიერთ შეფარდებას (მაგალითად — შაური, უზალთუნი ანუ ორშაურიანი და აბაზი);

ფულის მოსაჭრელად ამა თუ იმ ლითონის გამოყენება განაპირობებს ფულად სისტემას (ოქროსი, ვერცხლის, სპილენძის მონომეტალიზმი);

სამონეტო სისტემად იგულისხმება მონეტებისათვის მიღებული ესა თუ ის ნორმები და სამონეტო ერთეულები.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში XII საუკუნის მთელ მანძილზე და XIII საუკუნის პირველ მესამედში იჭრებოდა მხოლოდ

და მხოლოდ სპილენძის მონეტები და ამრიგად, შუა საუკუნეების საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური და კულტურულ-ეკონომიური აყვავების ხანას უცნაურად ემთხვევა მისი ნუმიზმატიკის „სპილენძის ხანა“.

XVII—XVIII საუკუნეებში ერანის ძირითად სამონეტო ერთეულად ვერცხლის აბაზი იყო და აღმოსავლეთი საქართველო, რომელიც მისი გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, ბუნებრივია, მიჰყვა ეკონომიურად ძლიერ მეზობელს. აქ ვერცხლის მ ო ნ ო მ ე ტ ა ლ ი ზ მ ი გაბატონდა. ოქრო გვხვდებოდა ძალიან იშვიათად, ხოლო სპილენძი, თუმცა დიდი რაოდენობით იჭრებოდა, იხმარებოდა მხოლოდ როგორც ხურდა ფული. ვერცხლის მონომეტალიზმს ამ პერიოდის საქართველოში ადასტურებს ვახტანგ VI-ის კანონთა კრებული. სადაც სპეციალური კარი (თეთრის გარიგებისა) სწორედ ვერცხლის მონეტის მოჭრას ითვალისწინებს.

მონეტებში გამოხატული ღირებულების ერთეულის საზომის დასადგენად თითოეულ ქვეყანას აქვს მთავრობის სათანადო დადგენილებანი. ზოგჯერ რიგი სახელმწიფოებისა ერთიანდება საერთო სამონეტო სისტემის მისაღებად. ასეთ შეთანხმებას, ანუ კონვენციას ადგილი ჰქონდა. მაგალითად. 1865 წელს საფრანგეთის, იტალიას, ბელგიასა და შვეიცარიას შორის. ამ კონვენციას შემდეგში არაოფიციალურად შეუერთდნენ ესპანეთი, საბერძნეთი და რუმინეთი. ასეთივე შეთანხმება 1872 წელს მოხდა სტოკჰოლმში, სადაც დანიას, შვეციასა და ნორვეგიას შორის დადებული იყო ეგრეთ წოდებული სკანდინავიის ანუ ჩრდილოეთის სამონეტო კონვენცია.

არსებული ვითარებით ნაკარნახევი ანალოგიური ღონისძიებანი ტარდებოდა ძველადაც, თუმცა, რა თქმა უნდა, არ ფორმდებოდა სპეციალური კონვენციების სახით. საკმარისია, მაგალითად, აღვნიშნოთ, რომ არაბებმა ისესხეს სასანური ერანისაგან ფულადი ერთეული — დრახმა, დაარქვეს მას დირჰემი და გაავრცელეს მთელს აღმოსავლეთში. ამ სამონეტო სისტემამ რიგ ქვეყნებში, და მათ შორის საქართველოშიც, საუკუნეთა მანძილზე იარსება.

ნუმიზმატიკური მასალის შესწავლით დასტურდება, რომ ქართუ-

ლი სამონეტო სისტემა ჩვეულებრივ ყალიბდებოდა ამა თუ იმ პერიოდში საერთაშორისო ბაზარზე გავრცელებული სამონეტო სისტემის საფუძველზე. ამიტომ საერთაშორისო სისტემასთან ერთად დროდადრო სამონეტო სისტემა ჩვენშიაც იცვლებოდა და ამასთან დაკავშირებით იცვლებოდა ჩვენი მონეტის გარეგანი სახე, მასზე აღბეჭდილი წარწერების შინაარსი და გამოსახულებათა სიუჟეტი.

ძველებური მონეტები, ლითონის ეს პატარა ფირფიტები თავისებურად გვამცნობენ ქვეყნის აღმავლობისა ან დაქვეითების სხვადასხვა ეტაპებს. ამიტომ ყურადღების ღირსია არა მარტო მონეტის ძირითადი ტიპი მთავარი დამახასიათებელი ნიშნებით, არამედ მისი თითქოს შეუმჩნეველი წვრილმანი ვარიანტებიც. ერთი შეხედვით ამ უმნიშვნელო წვრილმანებს ზოგჯერ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ... ხშირად მათზე აგებული სავარაუდო მოსაზრება, ანუ ჰიპოთეზა, დამატებითი მასალის დახმარებით, მტკიცე დებულებად ქცეულა. ყველა ასეთი წვრილმანის აღწერა და გარჩევა, რა თქმა უნდა, შეუძლებელია.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მონეტის მოჭრის უფლება სახელმწიფოს ეკუთვნოდა. მონეტა. როგორც ხელისუფლების რეგალია, — მისი ერთ-ერთი გარეგნული გამოვლინება, ამ ხელისუფლების ინტერესების შესაბამისად იცვლიდა თავის გ ა რ ე გ ნ უ ლ ს ა ხ ე ს ა ც, — იცვლებოდა ემბლემები, მეფე-მთავართა სახელები, წარწერათა შინაარსი და სხვა. მონეტა, რომელიც აკმაყოფილებდა ფართო მასების საჭიროებას, ამავე დროს ემსახურებოდა გაბატონებულ ხელისუფლებას არა მარტო როგორც შემოსავლის წყარო და სახელმწიფოში წარმოებული ფულადი მიმოქცევის საშუალება, არამედ, როგორც ამ ხელისუფლების იდეების გამტარებელიც. ქართული მონეტის ბრუნვის ოცდახუთსაუკუნოვანი პერიოდის გრძელ მანძილზე, ხელისუფლება, როგორც ცნობილია, არაერთხელ გამოცვლილა. ამიტომ ბუნებრივია, რომ ამ წიგნში აღწერილი მონეტებიც არ არის ერთფეროვანი.

ქართულწარწერიანი მონეტები ქართულ ნუმიზმატიკაში შედარებით მცირე რაოდენობით გვხვდება; გაცილებით მეტია ო რ ე-

ნ ო ვ ა ნ ი მონეტები. ესე იგი ისეთები, რომლებზედაც ქართული წარწერის გარდა მოცემულია წარწერა სხვა ენებზეც — უმთავრესად არაბულზე, ან სპარსულზე. იგივე ითქმის ზედ აღბეჭდილ ისტორიულ პირთა სახელებზე; მონეტები, რომლებიც მხოლოდ ქართველ მეფეთა სახელებს ატარებენ — შედარებით მცირეა. ქართველი მეფის სახელს უფრო ხშირად წინ უძღვის, ან თან სდევს ამა თუ იმ უცხო მპყრობელის (არაბთა ხალიფას. სელჯუკთა სულთნის, მონღოლთა ელხანისა თუ სხვა) სახელი. ზემოხსენებული მონეტების მსგავსად ასეთი მონეტებისათვის შეიძლებოდა ო რ ძ ფ ლ ო ბ ე ლ ი ა ნ ი მონეტა გვეწოდებინა.

რა ნიშნებით უნდა განისაზღვროს მონეტის წარმოშობა? უპირატესობას ანიჭებდნენ ხოლმე ნიშანს, რომელსაც შეიძლება პოლიტიკური ვუწოდოთ, იმიტომ, რომ მონეტის წარმოშობას, ჩვეულებრივ, განვსაზღვრავთ მასზე აღბეჭდილი მფლობელის სახელით. მაგრამ არსებობს სხვა ასეთივე ფრიად მნიშვნელოვანი ეკონომიური ფაქტორიც, რომელიც გამოიხატება მონეტის მიმსგავსებაში (ტიპოლოგიურ, სტილისტურ, ფაქტურულ) იმ პროტოტიპებთან, რომლის მიბაძვითაც ის იჭრება. ასეთი მინაბაძების მოჭრა ნაკარნახევი იყო ნაწილობრივ პოლიტიკური ან კულტურული ზეგავლენით, მაგრამ უმთავრესად ხდებოდა წმინდა ეკონომიური მოსაზრებებით. ამის შედეგად საკუთარ მონეტას ხშირად აძლევდნენ საერთაშორისო ბაზარზე გავრცელებული მონეტის გარეგნულ სახეს. ასეთი მონეტები ზოგჯერ მთლიანად იმეორებდნენ ძირითადი პროტოტიპის ყველა დეტალს.

ცალკეულ შემთხვევებში მონეტაში შერწყმულია ორი და ზოგჯერ სამიც, ერთი შეხედვით, ერთმანეთის საწინააღმდეგო ნიშანი.

ქართულ ნუმიზმატიკაში შეიძლება დავასახელოთ ასეთი მოჩვენებითი წინააღმდეგობის რამდენიმე მაგალითი. განსაკუთრებით დამახასიათებელია, ე. წ. რუსულ-ქართული მონეტები,—ყველა მათი გარეგნული ნიშანი (ენა, რომლითაც გადმოცემულია წარწერები, ამ წარწერის შინაარსი, მოჭრის ადგილი და სხვა) ისევე როგორც სხვა მაჩვენებლები (გავრცელების არე), მიუთითებს ამ მონეტათა

ქართულ წარმოშობაზე. მაგრამ ერთი მცირე დეტალი, — თარიღი, რომელიც აგრეთვე ქართულ ენაზეა (1804 წლიდან 1834 წლამდე) ამჟღავნებს მონეტის ჭეშმარიტ წარმოშობას. 1801 წლიდან საქართველო რუსეთს შეუერთდა. ამის გამო, მიუხედავად მონეტების წმინდა ქართული გარეგნული სახისა, ისინი უფრო რუსულ ნუმიზმატიკას მიეკუთვნება, ვიდრე ქართულს. მსგავსი მაგალითები გვხვდება არა მარტო ქართულ ნუმიზმატიკაში: სწორედ ასევე XIX საუკუნის პირველი ნახევრის რუსულ-პოლონურ მონეტებს თვლიან როგორც რუსულ, ისე პოლონურ მონეტებად.

არის აგრეთვე უ ს ა ხ ე ლ ო, ანუ ა ნ ო ნ ი მ უ რ ი მონეტებიც, რომლებზედაც წარწერები არავითარ სახელებს არ შეიცავს. ასეთ მონეტად ვერ ჩაითვლება ეგრეთ წოდებული ქ ა ლ ა ქ უ რ ი მონეტა, გამოშვებული ქალაქისა და არა სახელმწიფოს მიერ. ამნაირ მონეტებს ჩვენში უკვე ძველი წელთაღრიცხვის I საუკუნეში ჭრიდნენ (ძველი დიოსკურია — ახლანდელი სოხუმი).

ეს მონეტები ისევე, როგორც ცალკე დამოუკიდებელი ფეოდალების მიერ მოჭრილი მონეტები (ვამეყ დადიანი, XIV საუკ., ყვარყვარე ათაბაგი XV საუკ.), შეიძლება ა ვ ტ ო ნ ო მ ი უ რ ან ფ ე ო დ ა ლ უ რ მონეტად ჩავიჩნიოთ.

დროებით დაპყრობილ ტერიტორიაზე მოჭრილ მონეტებს, თანამედროვე იურიდიული ტერმინი რომ ვიხმაროთ, დ რ ო ე ბ ი თ ი-ს ა ო კ უ პ ა ც ი ო მონეტა ეწოდება. აქ იგულისხმება სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე შეჭრილი მტრის ადმინისტრაციისა ან გარნიზონების მიერ მოჭრილი ნიმუშები. მაგალითად, XVIII საუკუნის პირველ ნახევარში, როდესაც ოსმალებმა აღმოსავლეთი საქართველო დროებით დაიპყრეს, თბილისში ფული მოიჭრა აჰმედ მესამისა და შემდეგ მაჰმუდ პირველის სახელით; ან, პირიქით, უკვე XVIII საუკუნის დამლევს მეფე ერეკლემ განჯა რომ აიღო, მისი ნაცვლები რამდენიმე წლის განმავლობაში იქ თბილური აბაზიანის მსგავს მონეტებს ჭრიდნენ.

არსებითად, ასეთსავე საოკუპაციო მონეტად ჩაითვლება რომელიმე უცხო ქვეყნიდან შემოტანილი მონეტები, რომლებსაც საკუთარ ქვეყანაშიც დაკანონებული ბრუნვა ჰქონდა და მასობრივად

იხმარებოდა, ოღონდ ზემოხსენებულ საოკუპაციო მონეტისაგან განსხვავებით ასეთ მონეტას ნ ა ტ უ რ ა ლ ი ზ ე ბ უ ლ ს ანუ გაშინაურებულს უწოდებენ. ასეთი მონეტები ჩვენში ხშირია; მაგალითისათვის დავასახელებთ რომის კეისარ ავგუსტის დენარსა და გოტარზეს პართელის დრაქმას, რომლებიც ჩვენში განსაკუთრებით ვრცელდება ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში.

ასეთი ნატურალიზებული მონეტა ხშირად ვრცელდებოდა არა მარტო დაპყრობისა და ძალდატანების გზით, არამედ ვაჭრობისა და ეკონომიური ურთიერთობის შედეგად. ამ გზით შემოსულ მონეტებს ზოგჯერ საკუთარ კონტრამარკას ე. წ. დ ა მ ღ ა ს (დანაბეჭდს) უსვამდნენ და ამ მარტივი და იოლი ტექნიკური ხერხით უცხო მონეტას საკუთარ მონეტად აქცევდნენ. ეს ხერხი მიღებული იყო საქართველოში XII-XIII და XVIII საუკუნეებში.

ნატურალიზებული მონეტების გავლენით ხშირად მათი ადგილობრივი მინაბაძები გაჩნდებოდა ხოლმე. უმთავრესად ეს ხდებოდა გაშინაურებული მონეტის უცხოეთიდან შემოზიდვის შეწყვეტისა, ადგილობრივ მოსახლეთა შორის მათზე მოთხოვნილების ზრდისა და ადგილზე მსგავსი ნიმუშების გამოშვების აუცილებლობის გამო. ასეთი ნიმუშები ჩვენში ძალიან ადრე გაჩნდა და შემდეგშიც იჭრებოდა. ფართოდ არის, მაგალითად, ცნობილი ალექსანდრე მაკედონელისა და მისი მემკვიდრე ლისიმახის სტატერების მსგავსად მოჭრილი მონეტები ძველი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში, რომის იმპერატორ ავგუსტ კეისრის დენარის მინაბაძები და სხვ.

არის ისეთი მონეტებიც, რომლებზედაც მხოლოდ გამოსახულებებს ათავსებდნენ, ასეთ ნიმუშებზე ვერავითარ წარწერას ვერ ვნახულობთ, რის გამო მათ ჩვეულებრივ ანეპიგრაფიკულ ანუ მ უ ნ ჯ მონეტებს უწოდებენ. ასეთი მონეტები ქართულ ნუმიზმატიკაში შედარებით იშვიათია.

როგორიც არ უნდა იყოს მონეტა, — იშვიათი თუ ძალიან გავრცელებული, ის მაინც ამა თუ იმ ეპოქის დამახასიათებლად რაიმე ახალსა და საყურადღებო ცნობას შეიცავს. ამიტომ მხოლოდ და მხოლოდ ისეთი მონეტისადმი ინტერესის გამოჩენა, რომელიც რაი-

მე მიზეზის გამო იშვიათია, რა თქმა უნდა, მართებული არ იქნება. სამონეტო საქმის ისტორიის შესწავლისათვის ყოველგვარი მონეტა თანაბარი ყურადღების ღირსია. მეცნიერული თვალსაზრისით მონეტის, როგორც ისტორიული დოკუმენტის, მნიშვნელობა და ღირებულება ყოველთვის მისი იშვიათობით არ განისაზღვრება.

გავიხსენოთ ნუმიზმატიკურ ლიტერატურაში საერთოდ მიღებული ძირითადი და ელემენტარული ტერმინები და პირობითი ნიშნები.

ყოველ მონეტას აუცილებლად ორი მხარე აქვს:

შ უ ბ ლ ი ანუ avers (შემოკლებით Av, ან I), სადაც ჩვეულებრივ გამოსახულებათა ან წარწერათა მნიშვნელოვანი და საყურადღებო ნაწილი თავსდება და ზ უ რ გ ი ან revers (შემოკლებით Rv, ანუ II), რომელზედაც მეორეხარისხოვანი წარწერები და გამოსახულებანია აღბეჭდილი.

მონეტის აუცილებელ ნაწილს მისი წ ი ბ ო (რუსულად-ребро) შეადგენს, რომელზედაც, საერთოდ, ძალიან გვიან, სახელდობრ, მხოლოდ XVI საუკუნეში ჩნდება პირველად წარწერები. უფრო ხშირად კი რაიმე მარტივი ნახატი (ნაჭდევი, წერტილები, ბადე), ასეთი ნახატიანი წიბო ჩვენში მხოლოდ XIX საუკუნეში შემოიღეს.

მონეტის მოსაჭრელად სხვადასხვა ლითონს ხმარობდნენ. ჩვენში მიღებული იყო ოქრო, ელექტრუმი (ოქროსა და ვერცხლის შენადნობი), ვერცხლი, ბილონი (დაბალხარისხოვანი ვერცხლი სპილენძის დიდი პროცენტით) და სპილენძი. ამ ლითოხების აღსანიშნავად მიღებულია შემოკლებული პირობითი ნიშნები.

მონეტის ღირებულების განმსაზღვრელი ნიშანი მისი ზომა და წონაა. ამიტომ მონეტის აღწერის დროს ის აუცილებლად უნდა აღინიშნოს.

მონეტების ზომა ამ წიგნში ნაჩვენები არ იქნება, რადგან დარეულ ტაბულაზე მოთავსებული გამოსახულებანიც ნატურალური ზომისაა. ხშირად არ არის მოცემული აგრეთვე ამა თუ იმ ცალკეული მონეტის წონაც, რადგან ამის შესახებ საჭირო ცნობები მოთავსებულია საერთო მაჩვენებლებთან ერთად.

მონეტის შუბლისა და ზურგის მთელ სივრცეს მ ო ნ ე ტ ი ს ა რ ე ეწოდება, ზედ მოთავსებულ წარწერას — ზ ე დ წ ე რ ი ლ ი, ხოლო იმ შემთხვევებში, როდესაც წარწერა მონეტის კიდეებზეა განლაგებული, — მას გ ა რ შ ე მ ო ვ ლ ე ბ უ ლ ი ზ ე დ წ ე რ ი ლ ი ეწოდება.

საჭიროა მოვიყვანოთ დამატებითი ცნობა და მაგალითი მონეტის იშვიათობისა და მეცნიერული ღირებულების თაობაზე. როგორც აღვნიშნეთ, გავრცელებულია შეხედულება, რომ რაც უფრო ძველია მონეტა, ან რაც უფრო მეტად აქვს მას მოკიდებული ჟანგი, ის ამით უფრო მეტ იშვიათობასა და ღირებულებას წარმოადგენს. ეს სინამდვილეს არ შეეფერება: მონეტის ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა მხოლოდ მისი სიძველითა და იშვიათობით კი არა, ისტორიული მნიშვნელობით, ხშირად მხატვრული ღირსებით და ზოგჯერ დაცულობითაც განისაზღვრება.

მონეტის იშვიათობა (შემოკლებით R) ფასდება ჩვენამდე შემორჩენილი ცალების რაოდენობით, მუზეუმებში, კერძოდ კოლექციებში დაცული, ან საერთოდ ცნობილი მონეტების რაოდენობის მიხედვით.

სხვადასხვა კოლექციაში დაცული ქართული ფულის განსაზღვრული რაოდენობა, სამწუხაროდ, დღემდე არ არის წესრიგში მოყვანილი. არის შემთხვევები, როცა რომელიმე მონეტა ამა თუ იმ მკვლევარს წლობით არ ხვდება მაშინ, როდესაც მეორისთვის ასეთივე მონეტა ათეულობით არის ცნობილი. მაგალითად, XI საუკუნის ქართული მონეტები მოსკოვის საისტორიო მუზეუმს ათეულ ცალობით გააჩნია, რადგან ისინი მთლიანი განძის სახით მოსკოველ კოლექციონერს ჯერ კიდევ XIX საუკუნეში შეუძენია; საერთოდ კი, ასეთი ნიმუშები დიდ იშვიათობას წარმოადგენს.

ძველებური მონეტის დაცულობასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან კარგად შენახული ცალის საშუალებით წარწერებისა და გამოსახულებათა საჭირო დეტალების აღდგენა უფრო ადვილია. ამიტომაცაა, რომ კ ა რ გ ა დ დ ა ც უ ლ მონეტას ბევრად უფრო მეტი მნიშვნელობა და ღირებულება აქვს, ვიდრე ასეთსავე, მაგრამ ც უ დ ა დ დ ა ც უ ლ მონეტას.

ძალიან ამშვენებს მონეტას სიძველის ერთგვარი ელფერი, ე. წ. პ ა ტ ი ნ ა, რომელიც მონეტის ზედაპირს ფარავს და იცავს; ამიტომ მონეტის გაწმენდას სიფრთხილე სჭირდება, რომ ეს ელფერი არ მოშორდეს.

ცნობილია, რომ სპილენძი უფრო ადვილად იჟანგება, ამიტომ ამ ლითონისაგან მოჭრილი მონეტები უფრო ხშირად ზიანდება. შედარებით კარგად ინახება ვერცხლის მონეტები, გაცილებით უკეთესად — ოქროსი, რადგან ეს ლითონი თითქმის არავითარ ცვლილებას არ განიცდის ქიმიური ზეგავლენისაგან და სხვა ლითონთან შედარებით, როგორც უფრო ძვირფასი, ბრუნვაშიაც ნაკლებად იხმარება.

როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, ე. წ. კოლხური თეთრის ზოგიერთი ვარიანტი ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნეში მოიჭრა და იგი სავსებით მართებულად ითვლება მსოფლიოს ერთ-ერთ უძველეს მონეტად. ჩვენმა შორეულმა წინაპრებმა ამით ჩაგვაყენეს იმ კულტურულ ხალხთა პირველ რიგებში, რომლებმაც პირველყოფილი ფული, ფული-საქონელი, ფულის ახალი ნიშნებით — მონეტებით შეცვალეს.

თუ იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ ჩვენში მოჭრილი უკანასკნელი ლითონის მონეტა 1833 წლით არის დათარიღებული და ამ ხანგრძლივი დროის მანძილზე საკუთარი ფულის მოჭრა საქართველოში თითქმის არ შეწყვეტილა, სრული უფლება გვეძლევა ვთქვათ, რომ მოჭრის ხანგრძლივობითაც ჩვენს ქვეყანას უაღრესად საპატიო ადგილი უკავია.

მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე საქართველო იმყოფებოდა კულტურული სამყაროს მნიშვნელოვანი მოვლენებისა და ამბების კურსში. ეს დასტურდება იმ ისტორიული, განსაკუთრებით კი ნუმიზმატიკური ძეგლებით, რომლებითაც ჩვენი ქვეყანა ასე მდიდარია. საქართველოში არ გვეგულება კუთხე, რომელსაც შემონახული არ ჰქონდეს შორეული წარსულის ლითონის ეს ძეგლები.

ჩვენი ქვეყნის მიწის წიაღში აღმოჩენილი მონეტების თანმიმდევრობითი ცვალებადობა ზუსტად ასახავს მომხდარ ისტორიულ ამბებს. ამიტომ მონეტები, რომელთა შესახებ ცნობილია, თუ სად

და რა პირობებში არიან ისინი აღმოჩენილნი, მეცნიერებისათვის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენენ.

ასეთ მონეტებს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიური ისტორიის შესწავლისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მათი აღრიცხვა, ანალიზი და შესწავლა, სამწუხაროდ, დღესაც ძალიან ფერხდება, — მრავალი ფრიად საყურადღებო ცნობა აღრიცხვის გარეშე რჩება და მეცნიერებისათვის სამუდამოდ იღუპება. ყოველი ცალკეული მონეტისა და, მით უმეტეს, მონეტათა განძის აღმოჩენა ყოველთვის რაიმე ახალსა და მნიშვნელოვანს იძლევა.

ყოველ ცალკე შემთხვევაში აღმოჩენილი მონეტები სხვა მონეტებში არ უნდა შევურიოთ. ზუსტად უნდა აღინიშნოს შემდეგი მონაცემები:

1) მოპოვების დრო, ადგილი და პირობები. 2) მონეტათა რიცხვი. 3) მათი დაახლოებითი განსაზღვრა.

ჩვენი ქვეყნის მიწა-წყალზე ყოველწლიურად უამრავ მონეტას პოულობენ, რომლებიც ზოგჯერ აღრიცხვის გარეშე რჩება.

ეს უძვირფასესი მასალა დიდად შეგვიწყობდა ხელს ჩვენი ქვეყნის წარსულისა და მისი თავგადასავლის გაგებაში.

ძველ საქართველოში ფულის მოჭრის ისტორია მჭირდოდ არის დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის წარსულთან. ამიტომ ფაქტიური მასალა და ძირითადი სამონეტო ტიპების მოკლე აღწერილობა ამ წიგნში იმნაირად არის განლაგებული, რომ მტკიცე დოკუმენტური ბაზის საფუძველზე მკითხველი დამოუკიდებლად შეძლებს საგნის ათვისებას.

ამ გზით შეკრებილმა და ქრონოლოგიური თანმიმდევრობით დალაგებულმა ნუმიზმატიკურმა მასალამ მკაფიოდ გამოავლინა ქართული მონეტების ერთმანეთისაგან გარეგნული და შინაგანი თვისებებით განსხვავებული ძირითადი სერიები, რომლებიც საუკეთესოდ გამოხატავს ქართველი ერის ისტორიის ძირითად ეპოქებს. უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ნუმიზმატიკაში უცხოური სამონეტო ტიპის გამოყენება ხშირად ხდებოდა. ქართული ნუ-

ბიზმატიკის ქვემოთ ჩამოთვლილი სერიები ზედმიწევნითი სიზუსტით მისდევენ საერთაშორისო ბაზაზე მომხდარ ცვლილებებს.

მონათმფლობელობის ხანა:

1. სერია — ძველი წელთაღრიცხვის VI-III საუკუნეების კოლხური თეთრი;
2. სერია — ძველი წელთაღრიცხვის III — ახალი წელთაღრიცხვის III საუკუნეების ანტიკური მონეტები.

ადრე ფეოდალური დაჟუცმაცებულობის ხანა

3. სერია — VI-VII საუკუნეების ქართლის ერისმთავართა დრამები;
4. სერია — VIII-X საუკუნეების თბილურ-არაბული დრამები.

ერთიანი სამეფოს არსებობის ხანა განვითარებული ; ფეოდალიზმის ეპოქაში:

5. სერია — XI ს. მონეტები ბიზანტიური ტიტულებით;
6. სერია—XII-XIII სს. ე. წ. საკრედიტო სპილენძის მონეტები;
7. სერია — XIII ს. ქართველ მეფეთა სახელებით აღბეჭდილი მონეტები.
8. სერია — XIII-XIV სს. ქართულ-ჰულაგუიდური მონეტები.

ერთიანი სამეფოს რღვევის ხანა

9. სერია — XIII-XV სს. კირმანეული თეთრი;
10. სერია — XIV-XVI სს. დაკნინებული მონეტები.

ფეოდალურ-ბატონყმური დაჟუცმაცებულობის ხანა

11. სერია — XVII-XVIII სს. ერანული და თურქული ყაიდის მონეტები;
12. სერია — XVII-XVIII სს. თბილური შავი;
13. სერია — XVIII ს. მეორე ნახევრის სირმა-ვერცხლი;

14. სერია — XIX ს. პირველი მესამედის რუსულ-ქართული მონეტები.

მკითხველი საჭირო ცნობებს ამა თუ იმ ჯგუფის ან ცალკე მონეტის იშვიათობისა თუ გავრცელების შესახებ მონეტების აღწერის დროს წიგნის ტექსტში გაეცნობა. ამ ცნობების შედგენისას ძირითადად ვხელმძღვანელობდით აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექციით. მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში საჭირო სდებოდა ამ ცნობების დამატებითი მასალით შემოწმება. მაგალითად, გამოირკვა, რომ XV საუკუნის იშვიათი ქართული მონეტები, რომლებიც დანარჩენ დიდრონ კოლექციებში სულ არ არის, ან უკეთეს შემთხვევაში ძალიან მცირე რაოდენობითაა, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მრავალი ასეული ცალია.

ძველი ქართული ფულის შესახებ უფრო ნათელი და გარკვეული წარმოდგენა გვექნება და ამ წიგნში მოთავსებულ მასალას უფრო ადვილად ავითვისებთ, თუ მონეტათა აღწერილობას ისტორიული ხასიათის მოკლე ცნობებს დავურთავთ. ეს საგრძნობლად გაგვიადვილებს სამონეტო ტიპების ცვლილებათა პირობების ახსნასა და განმარტებას.

თავი პირველი

მონათმფლობელობის ხანა

კოლხური თეთრი

თავდაპირველად ქართველ ტომებს გაცილებით უფრო ვრცელი ტერიტორია ეკავათ, ვიდრე ახლანდელ საქართველოს. დროთა განმავლობაში ამ ტერიტორიის საზღვრები სულ უფრო და უფრო ვიწროვდებოდა, ძველი კულტურული ცენტრები სამხრეთში თანდათან იშლებოდა და, დაახლოებით ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნეში ამიერკავკასიაში ჩამოყალიბდა კოლხეთისა და იბერიის სახელმწიფოები, სადაც ქართველი ტომები დიდი ხნით ადრე ბინადრობდნენ. იბერთა ტერიტორია კავკასიონიდან მოკიდებული ტავრის ქედამდე ვრცელდებოდა, ხოლო მეორე ქართული სახელმწიფო — კოლხეთი — ტიბარანის აღმოსავლეთით, შავი ზღვის სანაპირომდე და, ისევე როგორც იბერია, წინა აზიაში იმ დროს არსებულ ოთხ დიდ სახელმწიფოთა შორის ერთ-ერთ უძლიერეს პოლიტიკურ ერთეულად ითვლებოდა.

ამ შორეული პერიოდის იბერიის მონეტები ჯერჯერობით აღმოჩენილი არ არის, მაგრამ კოლხეთის მონეტებმა ჩვენამდე დიდი რაოდენობით მოაღწია.

დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალმა უხვად შემოგვინახა კოლხური თეთრი. მრავალრიცხოვან ცალკეულ აღმოჩენათა გარდა აღრიცხულია მრავალი მოზრდილი განძიც, რომლებიც ათობით და ზოგჯერ ასობით ცალ მონეტას შეიცავენ.

აღმოსავლეთ საქართველოში კი, ძველი იბერიის შესატყვისს

ტერიტორიაზე, სულ სხვა სურათია: ადგილობრივი ფული ჯერჯერობით არა ჩანს, ხოლო უცხო ფული სულ სამ-ოთხ ადგილას აღმოჩნდა.

წერილობითი ცნობები იმის შესახებ, რომ მონეტები ნამდვილად კოლხეთში იჭრებოდა, ჯერჯერობით არ მოგვეპოვება. მაგრამ ჰეშმარიტი წარმოშობის დამამტკიცებელ და უტყუარ საბუთს თვით მონეტის გავრცელების არე წარმოადგენს, რომელიც ძველი კოლხეთის საზღვრებს შეესაბამება.

მონეტათა გავრცელების ძირითადი რაიონი, ერთი მხრივ, ტრაპიზონისა და სოხუმის, ხოლო მეორე მხრივ, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებიდან ლიხის მთებამდე განისაზღვრება.

ამრიგად, გარდა სხვა მონაცემებისა, ამითაც მართლდება მონეტებისადმი მიკუთვნებული სახელწოდება — „კოლხური თეთრი". ეს კოლხური მონეტები დასავლეთ საქართველოში დღესაც ძალიან ხშირად გვხვდება, ხოლო მის საზღვრებს გარეთ მათი გამოჩენის სულ ორი თუ სამი მაგალითია აღნუსხული.

კოლხეთში საკუთარი ფულის მოჭრის ფაქტი თავისთავად გულისხმობს კოლხეთის სახელმწიფოს არსებობას ძველი წელთაღრიცხვის V საუკუნიდან მაინც.

კოლხური თეთრის ქართულ წარმოშობაში მეცნიერთა უმრავლესობას ეჭვი არ ეპარება; მათ ადგილობრივ წარმოშობას შემდეგი ნიშნები ამტკიცებს:

1. კოლხური თეთრის გავრცელება დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე იმდენად ფართოა, რომ ამაში მას ვერც ერთი უცხოური მონეტა ვერ შეედრება. მეტოქეობას უწევს მხოლოდ XII-XIII საუკუნეების თამარისა და რუსუდანის მონეტები, რომელთა ქართული წარმოშობა უდავოა.

2. კოლხური თეთრის გავრცელების არე და მისი ვარიანტების უჩვეულო სიმრავლე მიუთითებს არა მარტო ბერძნებთან კოლხების სავაჭრო კავშირზე, არამედ განვითარებულ ფულად მიმოქცევაზე უშუალოდ კოლხელებს შორის. კოლხური თეთრის აღმოჩენათა დიდი უმრავლესობა დამოწმებულია დასავლეთ საქართველოს შიდა რაიონებში და არა შავი ზღვის სანაპირო ნაწილში, ესე იგი

გაცილებით შორს იქიდან, სადაც ბერძნული სავაჭრო ქალაქების — პოლისების — არსებობას ვარაუდობენ.

3. კოლხური თეთრი წარმოადგენს მონეტათა ფრიად შემჭიდროებულ ჯგუფს, რომელიც მკვეთრად არის გათიშული დანარჩენი მონეტებისაგან. ამ ფულის ათასეულ ცალობით აღმოჩენა საქართველოს ტერიტორიაზე იმ დროს, როდესაც მის საზღვრებს გარეთ კოლხური თეთრის სულ ორი თუ სამი ცალია ნაპოვნი, თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ ბერძნებს არ შეეძლოთ ამ მონეტების მოჭრაში მონაწილეობის მიღება.

4. კოლხური თეთრისა და უცხოური მონეტების განძებში ერთმანეთთან შეხვედრის შემთხვევები უიშვიათესი მოვლენაა, რაც აგრეთვე მისი ადგილობრივი წარმოშობის მაჩვენებელია.

5. ადამიანის თავის გამოსახულება კოლხურ თეთრზე ადგილობრივ ღვთაებასთან არის დაკავშირებული. ხარის თავიც აგრეთვე დაკავშირებულია ღვთაებებთან. ეს ადგილობრივი ტრადიციები, რომელიც დახვდათ კოლხეთში ჯერ კიდევ პირველ ბერძენ კოლონისტებს, დამკვიდრდა კოლხურ მონეტებზე და საუკუნეთა მანძილზე შერჩა იმის გამო, რომ მონეტის მომჭრელი ხელოსნები და ოსტატები კოლხები იყვნენ და არა, ვთქვათ, ბერძნები, რომლებიც ხშირად და სისტემატურად ცვლიდნენ მონეტებზე გამოსახულ სიუჟეტს.

მოპოვებული კოლხური მონეტების მნიშვნელოვანი რაოდენობა და მათი სამონეტო ტიპებისა და ვარიანტების მრავალფეროვნება სრულ უფლებას გვაძლევს ეს მონეტები სავსებით დამოუკიდებელ და ცალკე სერიად გამოვყოთ. მით უმეტეს, რომ ამჟამად ჩვენ საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, შემდგომი გამოკვლევა მონეტების ამ სერიას კიდევ უფრო გაამდიდრებს. უკანასკნელ ნაშრომებში კოლხური მონეტების სხვადასხვა ტიპის წარმოშობის მეტ-ნაკლებად ზუსტი ქრონოლოგიური ჩარჩოები უკვე დადგენილია და მათი ბრუნვის ხანგრძლივობაც გამოკვლეულია.

უპირველეს ყოვლისა, შევჩერდებით კოლხური თეთრის იმ ვარიანტებზე, რომლებიც უძველესიცაა და ამავე დროს იშვიათობასაც წარმოადგენს. ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნით თარიღ-

დება ერთ-ერთი მსხვილი ნომინალი — დ ი დ რ ა ქ მ ა (ორდრაქმიანი), რომელზედაც ერთ მხარეს გამოსახულია მწოლარე ლომი, ხოლო მეორეზე — ჩაჭდეულ კვადრატში მოთავსებული ხარისთავიანი მუხლმოდრეკილი ადამიანის ფიგურა (იხ. სურ. № 1).

ამ ტიპის მონეტა ჩვენამდე ძალიან მცირე რაოდენობით არის მოღწეული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ შორის გვხვდება ერთმანეთისაგან შესამჩნევად განსხვავებული ვარიანტები.

ძველი წელთაღრიცხვის დაახლოებით V საუკუნეში ჩნდება მეორე ტიპის კოლხური დიდრაქმა, მარჯვნივ მიბრუნებული ადამიანის პროფილით ერთ მხარეზე, მეორე მხარეზე კი გამოსახულია მსგავსი, ოღონდ მომცრო ზომის, ერთი მეორისაკენ დაპირისპირებული ორი პროფილი ჩასმული ჩაჭდეულ კვადრატებში (იხ. სურ. № 2).

მაღალი ხარისხის ვერცხლისაგან მოჭრილი ორივე ამ დიდრაქმის წონა 8-10 გრამის ფარგლებში მერყეობს.

დაახლოებით ამავე პერიოდს მიეკუთვნება ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის კოლხური თეთრის უნიკალური მონეტა, რომელიც ტიპოლოგიური, სტილისტური და ფაქტურული ნიშნებით კოლხურ მონეტებთან არის დაკავშირებული და წონის მიხედვით (5, 52 გ) დრაქმას წარმოადგენს. ამ მონეტის შუბლზე გამოსახულია პირდაპირ მიმართული ლომის თავი, ხოლო ზურგზე — მარჯვნივ მიბრუნებული ხარის თავი (იხ. სურ. № 3).

ასევე თარიღდება კოლხური თეთრის ახალი ტიპის ნახევარდრაქმიანი შუბლის მხარეს — დაღრენილი ლომის თავის გამოსახულებით და ზურგის მხარეს — ჩაჭდეულ კვადრატში მოთავსებული გაურკვეველი მხეცის წინა ნაწილის გამოსახულებით (იხ. № 4).

ყველა ნიშნის მიხედვით პირველი დიდრაქმის თანადროული უნდა იყოს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის უიშვიათესი მონეტა, რომელიც ამ სერიის ახალ ნომინალს — ტეტრაჲრაქმას (ოთხდრაქმიანი) უნდა წარმოადგენდეს. მის შუბლზე აღბეჭდილია იშვიათი ხელოვნებით შესრულებული დაღრენილი ლომის ისეთივე გამოსახულება, როგორც № 4 მონეტაზეა, ოღონდ აქ ეს გამოსახულება უფრო დიდია, ხოლო ზურგზე, ჩაჭდეულ კვადრატში, მარცხნივ მიბრუნებული, გაჭენებული ფაფარაყრილი რაშია. (იხ. № 5).

- ზემოაღნიშნული იშვიათი მონეტების ზურგზე მოთავსებული ჩაჭდეული კვადრატი უძველესი პერიოდის ნუმიზმატიკური ძეგლების დამახასიათებელ ნიშნად ითვლება.

შემდგომ უფრო გვიანდელ და ძალიან გავრცელებულ კოლხურ თეთრზე ეს დამახასიათებელი ნიშანი უკვე აღარ ჩანს. არც მსხვილი ნომინალებია ცნობილი; მაგრამ გამოსახულებათა სტილისა და ფაქტურის იგივეობით ეს ნიმუშები მჭიდროდ არის დაკავშირებული ზემოაღწერილებთან.

კოლხური თეთრის ამ ნახევარდრაქმიანების შუბლზე გამოსახულია ადამიანის თავის პროფილი (№ 2 დიდრაქმის მსგავსად), ხოლო ზურგზე — ხარის თავი, რომელიც არ განსხვავდება № 3 დრაქმაზე მოთავსებულ ანალოგიური გამოსახულებისაგან. ოღონდ აქ ჩაჭდეული კვადრატი აღარ არის (იხ. № 6).

ამ უკანასკნელმა მონეტებმა ჩვენამდე დიდი რაოდენობითა და მრავალი სახესხვაობით მოაღწია და ჩვენში აღმოჩენილ ანტიკურ მონეტათა შორის ყველაზე უფრო გავრცელებულ ტიპს წარმოადგენს. ზოგჯერ ასეთ მონეტებზე სხვადასხვა ბერძნული ასო ჩნდება, რომელთა მნიშვნელობა ჯერ გაურკვეველია.

ასოთა მნიშვნელობის გახსნას სხვადასხვანაირად ცდილობდნენ: ხან მოჭრის ადგილს — რომელიმე ქალაქს უკავშირებდნენ, ხან რომელიმე ღვთაების ეპითეტს. მაგრამ ერთსაც და მეორესაც დამაჯერებლობა აკლია და საკითხი დღემდე ღიად რჩება.

ნახევარდრაქმიანების წონითი მერყეობა (რემედიუმი) მეტად საგრძნობ გადახრებს იძლევა (1,2—2,6 გ.). ერთნაირ გამოსახულებათა სხვადასხვაობაც, მიუხედავად იმისა, რომ მათი არქაული სტილი ყველგან შემორჩენილია, ძალიან მრავალრიცხოვანია და იმაზე მიუთითებს, რომ ცალკე შტამპების რიცხვიც მრავალი ყოფილა. ვარიანტების ასეთი მრავალფეროვნება, დაწყებული ფაქიზად და მხატვრულად შესრულებული ცალებიდან, ვიდრე გამოსახულებათა უხეშად გადმოცემულ სქემამდე, საბუთს იძლევა ვიფიქროთ, რომ ამ მონეტების მოჭრა ხანგრძლივი ყოფილა. ამ მოსაზრებას აძლიერებს ვერცხლის სინჯის სხვაობაც: უმრავლესობა შედარებით მაღალი ხარისხის ვერცხლისა იჭრებოდა, თუმცა ზოგჯერ დაბალხარისხოვანი ლითონიც გვხვდება.

ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნის ბოლოს იმდროინდელ კულტურულ სამყაროში უაღრესად დიდმნიშვნელოვანი ამბები ხდება. ალექსანდრე მაკედონელმა ძველი სპარსეთი დაამარცხა, ძლევამოსილი ლაშქრობების შედეგად ევროპისა და აზიის მრავალი სამფლობელო შემოიერთა და შექმნა უზარმაზარი იმპერია. ამის შედეგად გაერთიანდა სავაჭრო გზები, გაფართოვდა ვაჭრობის მასშტაბები და, შესაბამისად, ფულის ნიშნებზედაც სათანადოდ გაიზარდა მოთხოვნილება. დაახლოებით ამ, ან ცოტა უფრო გვიანდელ პერიოდს ეკუთვნის კოლხური თეთრის ბრუნვიდან გაქრობა და სულ სხვა ყაიდის ფულის გაჩენა. ეს უკანასკნელი მკვეთრად განსხვავდება წინანდელებისაგან: პირველ ყოვლისა იცვლება მონეტის ლითონი, — ახლადგაჩენილი მონეტები უკვე ოქროსი ან ელექტრუმისაა; შემდეგ — ძირფესვიანად იცვლება მონეტის ტიპი და ფაქტურა. ხმარებაში შემოსული ოქროს მონეტები იმეორებენ ალექსანდრე მაკედონელისა ან მისი მემკვიდრე ლისიმახის ოქროს სტატერების ძირითად ტიპებს, რომლებიც მანამდე გავრცელებული იყო მთელ იმდროინდელ კულტურულ სამყაროში. უკანასკნელ ღრომდე ამ მონეტებს ან უბრალოდ „მინაბაძებს“ უწოდებდნენ, ანდა, უკეთეს შემთხვევაში „კავკასიურ“ მინაბაძებად თვლიდნენ. მაგრამ მთელი რიგი საკითხები გასარკვევი რჩებოდა და დავას იწვევდა. მაგალითად, დასადგენი იყო:

1. მინაბაძთა გავრცელების არე, 2. მათი გაჩენის დრო, 3. ბრუნვის ხანგრძლივობა და 4. წარმოშობა.

ძირითადად საქართველოში ამ მონეტათა მრავალრიცხოვანი აღმოჩენები და ქართული არქეოლოგიის უკანასკნელი მიღწევები დღესდღეობით ამ კითხვაზე პასუხის გაცემის საშუალებას იძლევა.

1. საქართველოს ტერიტორიაზე ასეთი მონეტების აღმოჩენის სავსებით სარწმუნო შემთხვევები უკანასკნელ დროს იმდენად გამრავლდა, რომ ამჟამად მტკიცედ შეგვიძლია ვთქვათ, ისინი კავკასიის განსაზღვრულ, კერძოდ, სამხრეთ-დასავლეთ კუთხეს ეკუთვნიან. ცნობილია, რომ ეს კუთხე ძველად კოლხეთსა და ნაწი-

ლობრივ იბერიას ეკავა. ამ შედარებით მცირე ტერიტორიაზე სავსებით განკერძოებული ორი რაიონია, სადაც ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ მონეტათა ორი ჯგუფი ვრცელდებოდა: ალექსანდრე მაკედონელის სტატერების მინაბაძები ძირითადად იბერიის დასავლეთ მთიან ნაწილში ჩნდება (ძველი შორაპნის ირგვლივ), ხოლო ლისიმახის სტატერების მინაბაძები — დასავლეთ საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლში.

მსოფლიოს ყველა მუზეუმში დაცული ამ კატეგორიის მინაბაძთა საერთო რაოდენობა დაახლოებით ასიოდეა, აქედან სამ მეოთხედზე მეტი ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა მუზეუმშია (აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, მაგალითად, ასეთები 63 ცალია) და, რაც მთავარია, უმრავლესობას ახლავს საჭირო ცნობები ჩვენი ქვეყნის მიწა-წყალზე მათი აღმოჩენის შესახებ. რადგან დანარჩენ მუზეუმებში დაცული ცალებიდან მხოლოდ ოთხს ახლავს ცნობა, რომელიც ჩრდილო კავკასიის ტერიტორიაზე მათს აღმოჩენაზე მიუთითებს, აშკარა ხდება, რომ მინაბაძთა სამშობლო ძველი კოლხეთის და იბერიის ტერიტორიაზე უნდა ვეძებოთ. მეზობელ, მომიჯნავე მხარეებში აღმოჩენილი მათი ცალკეული ცალები იქ მოხვედრილია, როგორც ჩანს, არა ფართო ვაჭრობის შედეგად, არამედ შემთხვევით. ჩრდილო კავკასიაში მათი გავრცელება სავსებით კანონზომიერი ჩანს, თუ გავითვალისწინებთ, რომ დასავლურ-ქართული კოლხური წრე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიის გარდა მოიცავდა აგრეთვე ჩრდილო კავკასიის მთიან ნაწილს მდინარე თერგის დასავლეთით. აღსანიშნავია, რომ ალექსანდრეს სტატერების მინაბაძთა გავრცელების არე ამ ბოლო ხანებში თანდათანობით აღმოსავლეთისაკენ ფართოვდება. აქ ამ მონეტების აღმოჩენა აღნუსხულია ქარელის რაიონის სოფელ ახრისში, ქ. გორში და მცხეთაში. დასავლეთ საქართველოს მთიანი პუნქტები, სადაც ამ კატეგორიის მინაბაძებია აღმოჩენილი (კლდეეთი, ღები, ჭიორა, ილემი, ვაჩევი, ობჩა, ვანი, ბორი) იმ შორეულ დროს იბერიის საზღვრებში შედიოდა და, ამრიგად, მონეტების წარმოშობაც იბერიას უნდა მიეკუთვნოს. მაშასადამე, ამ კატეგორიის მინაბაძების სახელწოდებაც

(„კოლხური სტატერი") შესაფერისი ტერმინით — „იბერული სტატერით"—უნდა შეიცვალოს. ხოლო რადგან ლისიმახის სტატერების მინაბაძთა გავრცელების არე (შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო ზოლი) ძველი კოლხეთის ტერიტორიას ემთხვევა, ამ მონეტათა კოლხური წარმოშობა აშკარაა და ამ კატეგორიის მინაბაძთა სახელწოდება — „კოლხური სტატერი" — სავსებით მართებულია.

რაც შეეხება უცხოეთის მუზეუმების კოლექციებში დაცულ ამ მონეტების რამდენიმე ცალს, ესენი იქ მოხვდნენ სიძველეებით ვაჭრობისა და საერთოდ იმ გადაადგილებათა შედეგად, რაც თანამედროვე ხანაში განსაკუთრებით განიცადეს ძველმა მონეტებმა. მაგალითად, ნიუ-იორკის კოლექციის ორი ცალი ქუთაისიდან ყოფილა წაღებული.

2. საგანგებო კვლევითი მუშაობის შედეგად დასტურდება, რომ ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმახის ეგრეთ წოდებული ორიგინალური სტატერები დასახელებული ისტორიული პირების სიკვდილის შემდეგაც იჭრებოდა. დამტკიცებულია აგრეთვე, რომ ელინისტური სამყაროს რიგ სახელმწიფოებში ამ ორი მფლობელის სახელით აღბეჭდილი „ორიგინალური" სტატერების მოჭრა ძველი წელთაღრიცხვის III-II საუკუნეების მანძილზე გრძელდებოდა და ასეთი მინაბაძების პირველი საფეხურები ჩვენში, სახელდობრ, ძველ კოლხეთში დაახლოებით ძვ. წ. ა. III საუკუნეში გაჩენილა.

პირველი სტატერები, რომლებზედაც აღბეჭდილია კოლხეთის უცნობი ბაზილევსის — აკის სახელი, თავისი მხატვრული, სტილისტური და ტექნიკური თვისებებით არაფრით ჩამოუვარდება პროტოტიპს: წონა არ სცილდება კლასიკური სტატერებისათვის დაკანონებულ ნორმას, მასალად გამოყენებულია მაღალხარისხოვანი ოქრო, ზედწერილი გადმოცემულია ბერძნული სწორი მართლწერით მკაფიოდ და შეურყვნელად, ხოლო გამოსახულებანი შესრულებულია მაღალმხატვრული ოსტატობით. ამ სახელით აღბეჭდილი სტატერი ჯერჯერობით მხოლოდ ორი ცალია ცნობილი: პირველი, რომელიც ასიოდე წლის წინათ ტრაპიზონის მიდამოებში აღმოუჩენიათ, დაცულია პარიზის ერთ-ერთ მუზეუმში.

ხოლო მეორე, რომელიც აგრეთვე ნაპოვნია ძველი კოლხეთის

ტერიტორიაზე (სოფ. კინჩხა, წულუკიძის რაიონი), საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს გადაეცა. ვიძლევით ამ უიშვიათესი ნიმუშის მოკლე აღწერილობას:

№ 7 — 8,45 გ.

მონეტის შ უ ბ ლ ი: ალექსანდრე მაკედონელის სახის მარჯვენა პროფილი;

ზ უ რ გ ი: ტახტზე მჯდომი ქალღმერთ ათენას გამოსახულება. მარჯვნივ და მარცხნივ — ბერძნული წარწერა „მეფე აკი", გამოსახულების ქვეშ — სამთითა.

რა აკავშირებს ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნით დათარიღებულ ამ უაღრესად დიდი ისტორიული მნიშვნელობის მონეტას კოლხურ ნუმიზმატიკასთან?

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ ორივე ცნობილი მონეტა აღმოჩენილია ტერიტორიაზე, რომელიც ძველად კოლხეთის სახელმწიფოს საზღვრებში შედიოდა. შემდეგ, — საერთოდ ცნობილია, რომ მტკიცედ შემორჩენილი საკუთარი სახელები ხშირად წყვეტენ ამა თუ იმ მხარის მოსახლეთა წარმოშობის საკითხს. ამიტომ ის გარემოება, რომ მონეტაზე აღბეჭდილი აკის სახელი შერჩენილი ყოფილა მხოლოდ დასავლეთ საქართველოში (უმთავრესად სამეგრელო და აფხაზეთი) განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. ცნობილია აგრეთვე, რომ თანამედროვე სოხუმს აფხაზები აყუას უწოდებენ, მეგრელები აყუჯიხას ანუ აყუს ციხეს; ეს სახელწოდება ქართულშიაც კარგა ხანს ყოფილა შემორჩენილი. მაგალითად, 1737 წელს იმერეთის მეფე ალექსანდრეს მიერ რუსეთში გაგზავნილ რუკაზე სოხუმი „აყუ"-თია აღნიშნული, ისევე, როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ 1925 წ. გამოცემულ საქართველოს ისტორიულ რუკაზეა.

შესანიშნავი მხატვრობით და მაღალი ტექნიკური ხელოსნობით შესრულებული ეს სტატერი, რაც დრო გადიოდა, მით უფრო მეტ დეგრადაცია-გადაგვარებას განიცდიდა. დეგრადაციის ეს პროცესი, რა თქმა უნდა, ერთბაშად არ მომხდარა. გაუხეშების თანდათანობითი სტადიები, რომლებიც სტილისტური მსგავსებით ერთმანეთთან მჭიდრო ნათესაობას ამჟღავნებს, გვიჩვენებს, რომ პროცესი ხანგრძლივი ყოფილა.

ცხადია, კლასიკური სტატერებისა და შემდეგში გაჩენილი მათი უხეში, მცირეწონიანი და დაბალხარისხოვანი მინაბაძების ერთდროული ბრუნვა-ხმარება შეუძლებელი იქნებოდა. ეკონომიური კანონების მიხედვით სრულწონიანი და ხარისხიანი მონეტა ბრუნვიდან ქრება (განძად იქცევა) მაშინ, როდესაც ბაზარზე მდარე მონეტები ჩნდება. მაშასადამე, გაუხეშებული მინაბაძების ბრუნვის დრო შესაბამისად უფრო გვიან პერიოდს ემთხვევა.

3. დასავლეთ საქართველოში, კერძოდ ზესტაფონის რაიონის სოფელ კლდეეთში, წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად ამ მინაბაძების ერთ-ერთი ჯგუფის ბრუნვის ხანგრძლივობაც გამომჟღავნდა. გახსნილი იქნა სამარხები, სადაც ახალი წელთაღრიცხვის II საუკუნის სრულიად გარკვეულ რომაულ მონეტებთან ერთად აღმოჩნდა ალექსანდრე მაკედონელის მინაბაძებიც. მონეტათა ასეთი კომბინაცია მეორდება ოჩამჩირის რაიონში ნაპოვნ განძში, სადაც ახალი წელთაღრიცხვის II საუკუნის რომაულ მონეტებთან ერთად ლისიმახის სტატერის მინაბაძი აღმოჩნდა. განძის შემადგენლობაში ამ მინაბაძების არსებობა მისი დათარიღების საშუალებას იძლევა. ამრიგად, რადგან ამ მინაბაძის პირვანდელი ნიმუშები ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნეში გაჩენილა, ხოლო მისი უკანასკნელი გაუხეშებული ნიმუშები ახალი წელთაღრიცხვის II საუკუნის მონეტებთან ერთად ჩნდება, შეგვიძლია ვამტკიცოთ. რომ, კოლხური თეთრის მსგავსად, ამ მინაბაძებსაც ხანგრძლივი ბრუნვა-არსებობის პერიოდი ჰქონია. ამ მოსაზრებას მინაბაძთა შორის არსებული მრავალი სახესხვაობა და მათი წონისა და ლითონის სინჯის მრავალფერობაც ადასტურებს. ძნელი წარმოსადგენია, რომ ამ მინაბაძების ასეთი დიდი რაოდენობა და სახესხვაობათა სიმრავლე ხანმოკლე დროის მანძილზე გამოშვებულიყო.

4. უშუალოდ დამადასტურებელ ცნობებს თავის ჰეშმარიტ წარმოშობაზე მინაბაძები არ შეიცავენ. ამის შესახებ არც სხვა რაიმე კონკრეტული ცნობა არსებობს. ანალოგიურ შემთხვევებში, საერთოდ, მონეტის გავრცელების რაიონითა და ამა თუ იმ ქვეყანაში აღმოჩენილი მონეტების შემადგენლობით ხელმძღვანელობენ და ამას აძლევენ გადამწყვეტ მნიშვნელობას. მასალა, რომელიც ჩვენს

განკარგულებაშია, შესაძლებლობას იძლევა უფრო მეტად დავაკონკრეტოთ საკითხი, ვიდრე ეს დღემდე იყო. მეცნიერთა ნაწილი ადრე ამ მინაბაძებს „კავკასურ ტიპს“ ან „სპეციფიკურად კავკასიურს“ უწოდებდა. ამ უკანასკნელ დროს კი მონეტების ქართული წარმოშობის მომხრეთა რიცხვი სულ უფრო და უფრო მატულობს. რადგან ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე მათი აღმოჩენის შემთხვევები ძალიან გახშირდა; ახლა უკვე მინაბაძებს სათანდო ტერიტორიული დასახელება უნდა მივცეთ.

როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, ალექსანდრე მაკედონელის სტატერთა მინაბაძები აღმოჩენილია იმ ტერიტორიაზე, რომელიც ძველად იბერიას ეკავა. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღების ღირსია 1951 წლის ივლისში მცხეთის რკინიგზის სადგურიდან სამასიოდე მეტრის დაშორებით აღმოჩენილი თლილი ქვით ნაშენი სამარხი-ნაგებობა მავზოლეუმი. მიუხედავად იმისა, რომ მავზოლეუმი ძველადვე გაუძარცვავთ, არქეოლოგებმა აღმოაჩინეს ძვირფასი ინვენტარის ნაშთები და განსაკუთრებული შინაარსისა და სიმდიდრის ნუმიზმატიკური მასალა, რომელიც რამდენიმე დამოუკიდებელ ჯგუფს შეიცავს:

უპირველეს ყოვლისა, აღვნიშნავთ ალექსანდრე მაკედონელის სტატერების ადგილობრივ 5 მინაბაძს, რომლებსაც ახლდა ამ მონეტების მოყვანილობის, ზომისა და წონის ოქროსივე გლუვი ფირფიტა.

შემდეგ დავასახელებთ ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნის რომაულ 4 ოქროს მონეტას — აურეუსს და, ამავე დროის ავგუსტ კეისრის საუკეთესოდ შემონახულ ვერცხლის ერთ დენარს.

განსაკუთრებული სიჭარბით იყო წარმოდგენილი ძველი წელთაღრიცხვის I საუკუნის პართული ვერცხლის დრაქმები, — აქ ისინი 51 ცალის რაოდენობით აღმოჩნდა.

პონტოს მეფე პოლემონ II-ისა აღმოჩნდა მხოლოდ ორი დრაქმა, რომლებიც ჩვენი წ. ა. I საუკუნით თარიღდება.

სამონეტო კომპლექსი რომ თავისთავად მნიშვნელოვანია, ეს აშკარაა, მაგრამ განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს აქვე მოთავსებული ორივე მხრიდან გლუვი მონეტისმაგვარი ოქროს ფირ-

ფიტა, რომელიც ძალიან ჰგავს მონეტის ნამზადს, რაც ამ კატეგორიის მინაბაძთა იბერულ წარმოშობას საბოლოოდ დადებითად წყვეტს.

ადგილობრივი სტატერების მიბაძვითი ხასიათი სავსებით უდავო და აშკარაა. აშკარაა აგრეთვე, რომ ამ მონეტების პროტოტიპებს ანუ „მოდელებს“ ალექსანდრე მაკედონელის და ლისიმახის სტატერები წარმოადგენენ.

იმისდა მიხედვით, თუ რომელ რაიონში იყო გავრცელებული ესა თუ ის მონეტა და რომელი სტატერი იყო მიღებული პროტოტიპად, ალექსანდრე მაკედონელისა თუ ლისიმახის, ამ მინაბაძთა ჯგუფიც სრულიად დამოუკიდებელ და განსხვავებულ ორ კატეგორიად იყოფა — იბერულ და კოლხურ სტატერებად. ყოველი მათგანის ცალკე აღწერა საჭიროდ არ მიგვაჩნია, რადგან ძირითადი სქემა ყველას ერთნაირი აქვს.

ალექსანდრე მაკედონელის სტატერის მინაბაძის, უკეთ რომ ვთქვათ, იბერული სტატერის შუბლზე მოთავსებულია ადამიანის თავის პროფილის გაუხეშებული გამოსახულება, ხოლო ზურგზე — გამარჯვების ღვთაების, ნიკას, ასეთივე უხეში გამოსახულება (იხ. № 8).

ამ მონეტების წონითი რემედიუმი მკვეთრია (1—5,5 გ. ფარგლებში მერყეობს), ლითონის სინჯიც სხვადასხვაგვარია. მონეტათა უმრავლესობისათვის დამახასიათებელია წიბო, რომელიც ჩაქუჩით დატკეპნილ-დაჟეჟილსა ჰგავს და ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს მონეტა ბეჭედშია ჩასმული და ჩაკავშირებული. როგორც ამ უკანასკნელი ნიშან-თვისებით, ისე, უფრო იშვიათ შემთხვევაში, უამისოდაც ამ ტიპის იბერული სტატერები შედარებით დიდი რაოდენობით არის ჩვენამდე მოღწეული (ცნობაში დაახლოებით 80 ცალამდეა მოყვანილი); მაგრამ აბსოლუტურად ერთნაირი ვარიანტი არ შეგვხვედრია. აღწერილის ვარდა, ტაბულაზე მოყვანილი გვაქვს ამ მონეტის კიდევ ორი ყველაზე უფრო დამახასიათებელი ნიმუშის გამოსახულება (იხ. №№ 9 და 10).

ლისიმახის სტატერების მინაბაძებს ანუ კოლხურ სტატერებს ზემოაღნიშნული ნიშან-თვისება არ ახასიათებთ, — ამ მონეტების

წიბო ჩვეულებრივია. იბერული სტატერებისაგან განსხვავებით, რომლებშიც მსატვრულად შესრულებული მინაბაძის პირველი საფეხურები ჯერჯერობით სულ არ ჩანს, აქ უკვე მინაბაძის ყოველნაირ საფეხურს ვხედავთ: მხატვრულად და ფაქიზად შესრულებული № 7-ით აღწერილი სტატერიდან მოყოლებული, ვიდრე უხეშ და პრიმიტულ სქემამდე. მაგრამ პროტოტიპის ძირითადი მოტივი და სქემა ყველა საფეხურზე უცვლელად არის შენარჩუნებული და მათ შორის მჭიდრო კავშირი არ წყდება.

ამ მონეტის შუბლზე გამოსახულია ადამიანის თავის პროფილი, რომელიც შემდგომ საფეხურებზე თანდათანობით გადაგვარებას განიცდის, ხოლო ზურგზე — ტახტზე მჯდომი ქალღმერთი ათენა. გამოსახულება აქაც თანდათანობით უხეშდება. ტახტის ქვეშ მოთავსებულია სამთითა (იხ. № 11).

მონეტების წონითი რემედიუმი აქ უფრო მკვეთრია: 1—7 გ ფარგლებში მერყეობს; მოსაჭრელად გამოყენებული ლითონის ხარისხი სხვადასხვა სინჯისაა. თუმცა ძირითადი ნაწილი მაღალხარისხოვანი ოქროსია, მაგრამ ლითონის ნაირ-ნაირობას აქაც აქვს ადგილი და ზოგჯერ, ძალიან იშვიათ შემთხვევაში, ვერცხლის ნიმუშებიც კი გვხვდება.

ლითონის ღირსების ასეთი სხვადასხვაობა, მონეტაზე მოთავსებულ გამოსახულებათა თანდათანობითი გაუხეშება და წონის დაკლება, რა თქმა უნდა, რაღაცა საერთო მიზეზებით იყო გამოწვეული. საფიქრებელია, რომ მონეტების გადაგვარება გამოწვეული იყო გამოშვების დროის მეტად დიდი ხანგრძლივობით.

ტაბულაზე მოთავსებულია კოლხური სტატერების კიდევ ორი თვალსაჩინო ვარიანტის გამოსახულება (№№ 12 და 13), რომლებიც მონეტის თანდათანობითი გადაგვარების სავსებით დამაჯერებელ სურათს იძლევიან.

აღწერილ ოქროს მონეტებთან ერთდროულად ჩვენში სპილენძის მონეტაც იჭრებოდა, რომელიც ეგრეთ წოდებულ საქალაქო პროდუქციის ტიპიურ მაგალითს წარმოადგენს. ამ მონეტის შ უ ბ ლ ზ ე გამოსახულია ძმათა დიოსკურების ორი ქუდი, რომლებსაც ზემოთ ექვსი ან რვა სხივიანი ვარსკვლავი უზის. ზ უ რ გ ზ ე —

კვერთხია; ორთავე მხარეს ბერძნული ზედწერილით გადმოცემულია სოხუმის ძველი სახელი — დიოსკურიადოს (იხ. № 14)

მეტ-ნაკლებად გავრცელებული ეს მონეტა ძველი წელთაღრიცხვის I საუკუნით თარიღდება და მის გამოშვებას მითრიდატე პონტოელს უკავშირებენ.

დასტურდება, რომ საკუთარი ვერცხლის ფულის გამოშვება კოლხეთში კიდევ დიდხანს გრძელდებოდა. ხუთიოდე ცალად გადარჩენილი მშვენიერი მხატვრობითა და მაღალი ოსტატობით შესრულებულ ნიმუშებზე შემორჩენილია ძვირფასი ცნობები, რომლებიც აღნიშნავენ გამოშვების ადგილს, გამომშვების სახელსა და თარიღს; ვიძლევით ამ უიშვიათესი ვერცხლის მონეტის აღწერილობას:

№ 15. (წონა 3,25 — 3,75 გ. მერყეობს) დრაქმა.

მონეტის შ უ ბ ლ ზ ე გამოსახულია ადამიანის თავის მარჯვენა პროფილი, რომელსაც კბილანა გვირგვინი ადგას.

ზ უ რ გ ზ ე — მარჯვნივ მიბრუნებული მჯდომარე ღვთაება, რომლის ირგვლივ განლაგებულია ბერძნული ზედწერილი „არისტარხი, მმართველი კოლხეთისა (წელსა) 12 სა“.

სამწუხაროა, რომ ეს ფრიად იშვიათი ისტორიული ცნობების შემცველი მონეტა ქართულ კოლექციებში არც მოიპოვება. ყველა ცნობილი ნიმუში ძალიან დაშორებულია თავის სამშობლოს ფარგლებს.

ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეების ქართულ ნუმიზმატიკას ერთგვარი ხარვეზები ახასიათებს, რომელიც, ალბათ, რომაელთა აგრესიის გაძლიერებასა და კოლხეთის დაპყრობას უნდა მივაწეროთ. დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის (ერთის მხრივ — რომი, ხოლო მეორე მხრივ — ჯერ პონტოსი და შემდეგ პართიის სახელმწიფო) წარმოებული ბრძოლა გამოწვეული იყო, სხვათა შორის, დიდმნიშვნელოვანი სავაჭრო გზის ხელში ჩაგდების სურვილით. ეს გზა სწორედ ჩვენს მიწა-წყალზე გადიოდა. მის შესახებ დაწვრილებით ცნობებს ჯერ კიდევ სტრაბონი იძლევა. ეს ისტორიკოსი იუწყება, რომ ჩინეთისა და ინდოეთის საქონელი ჯერ ოქსუსით (ახლანდელი მდინარე ამუ-დარია) იგზავნებოდა გირკანის (კას-

პიის) ზღვაზე, ხოლო აქედან მდინარე კირით (მტკვარი) და მისი მომდევნო ოლქებით ევქსინის (შავს) ზღვაში გადაჰქონდათ. რომაელი ისტორიკოსი პლინიუსი ამავე სავაჭრო გზის შესახებ უფრო დაწვრილებით ცნობებს გვაწვდის და გეოგრაფიულ დასახელებებთან ერთად (როგორიც არის. მაგალითად, ფასიდი — ახლანდელი რიონი) სხვადასხვა პუნქტს შორის მოგზაურობისათვის საჭირო დროსაც აღნიშნავს.

ამ სავაჭრო გზის მნიშვნელობაზე უფრო სრული წარმოდგენა გვექნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ იმ შორეულ დროს მდინარე ამუ-დარია ერთვოდა კასპიისა და არა არალის ზღვას, ხოლო თვით მდინარეებიც, საერთოდ. უფრო დიდი და წყალსავსე იყო, რაც მნიშვნელოვნად აადვილებდა ინდოეთიდან დასავლეთში მოგზაურობას.

ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში ქართული ორიგინალური მონეტის არსებობა უშუალოდ ნუმიზმატიკური ფაქტებით არ დასტურდება. მაგრამ ზოგიერთი წერილობითი მონაცემი ამ შესაძლებლობაზე მიგვითითებს და ასეთი მონეტების გამოჩენის იმედს იძლევა. ქართველი ისტორიკოსი, თეიმურაზ ბატონიშვილი. მაგალითად, აზორკ და არმაზელის გამოსახულებიან მონეტაზე მოგვითხრობს, რომ მასზე ქართული წარწერა სახელდობრ „ჩვენ ორთა საპატივცემლოდ“ ყოფილა თურმე აღბეჭდილი.

უფრო საინტერესოა ნუმიზმატ ბარტოლომეის ცნობა ერთი სპილენძის მონეტის შესახებ, რომელიც სტილისტური ნიშნების მიხედვით მან ახალი წელთაღრიცხვის I—II საუკუნეებს მიაკუთვნა. ეს მონეტა შემდეგი სახისაა: შუბლზე გამოსახულია ადამიანი შუბით მარჯვენა და ფარით მარცხენა ხელში. მონეტის ზურგზე გამოსახულია ორი ლომი, — ერთი დგას, ხოლო მეორე მარჯვნივ გარბის და თავი პირველისკენ აქვს მობრუნებული. ირგვლივ ძნელად გასარკვევი წარწერის კვალია.

ბარტოლომეიმ ეს წარწერა ქართულად მიიჩნია და კითხულობდა როგორც „მფ ფრსმნ“ (ე. ი. „მეფე ფარსმან“). მონეტის ანაბეჭდი მან მ. ბროსეს გაუგზავნა, მაგრამ ფრანგმა მეცნიერმა ანაბეჭდის მიხედვით გადამწყვეტი დასკვნების გამოტანისაგან თავი შეიკავა.

სამწუხაროდ, ეს მონეტა და მისი ანაბეჭდიც ამჟამად დაკარგულია და, რადგან მას შემდეგ მსგავსი აღარ აღმოჩენილა, მის არსებობას ახლა ეჭვის ქვეშ აყენებენ.

ამ ეროვნული ხასიათის მონეტის არსებობა, უკანასკნელ არქეოლოგიურ და ნუმიზმატიკურ აღმოჩენებთან დაკავშირებით, გაცილებით უფრო სარწმუნოა, ვიდრე ეს ორმოცდაათიოდე წლის წინათ მოგვეჩვენებოდა. თუ მხედველობაში მივიღებთ იბერიაში იმ დროს შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციას, ძალზე დასაშვებია ისეთი მონეტის არსებობა, რომელზედაც აღბეჭდილი იქნებოდა „რომის კეისრისა და ხალხის მეგობრის", იბერიის განთქმული მეფის ფარსმანის სახელი. ამრიგად, ბარტოლომეის ცნობას ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ. ცხადია, რომ ასეთი მონეტის ახალი ცალის აღმოჩენა ქართული ნუმიზმატიკის საგრძნობ ხარვეზს შეავსებდა.

აღმოსავლეთისაკენ რომაული ექსპანსიის გავრცელებასთან დაკავშირებით ჩვენში და მეზობელ ქვეყნებში ფართოდ ვრცელდება რომაული მონეტა. რესპუბლიკური პერიოდის რომაული მონეტების აღმოჩენათა შემთხვევები ჩვენს მიწა-წყალზე შედარებით იშვიათი მოვლენაა. მაგრამ საიმპერატორო მონეტები პირველი საუკუნიდან დაწყებული მასობრივად ჩნდება. ფართო გავრცელება მიიღო კეისარ ოქტავიანე ავგუსტის (ძვ. წ. 27. ახ. წ. 14 წ.წ.) დენარებმა, რომლებსაც საქართველოს თითქმის ყველა კუთხესა და სოფელშიც დღემდე ვაწყდებით.

აღრიცხულია ოციოდე შემთხვევა, როდესაც ეს დენარები გაცილებით უფრო გვიანდელ მონეტებთან ერთად (II და ზოგჯერ III საუკუნეებისაც კი) ჩნდებოდა. მონეტების ასეთი კომპლექსი, რა თქმა უნდა, ავგუსტ კეისრის დენარის ბრუნვისა და მოჭრის ხანგრძლივობას მოწმობს. ამ ტიპიურ-ნატურალიზებულ ვერცხლის მონეტის შუბლზე გამოსახულია კეისრის მარჯვენა პროფილი, რომლის გარშემო შესაფერისი ლათინური ზედწერილი იუწყება კეისრის სახელსა და ტიტულს, ხოლო ზურგზე კი გამოსახულია კეისრის ნაშვილები გაიოზ და ლუცი პირდაპირ, ირგვლივ შესაბამისი ლათინური ზედწერილით (იხ. № 16).

აღმოსავლურ ქვეყნებში ამ სამონეტო ტიპის უაღრესი გავრცელების გამო ფიქრობენ, რომ მონეტებს სპეციალურად აღმოსავლეთთან ვაჭრობისათვის ჭრიდნენ. აღსანიშნავია, რომ, როდესაც ასეთი დენარების გარედან შემოტანა შეწყდა. უთუოდ მასზე მოსახლეობის დიდი მოთხოვნილების გამო, ჩვენში გაჩნდა ადგილობრივ მოჭრილი მინაბაძები.

მინაბაძთა პირველი საფეხურები ბევრად არ შორდება ორიგინალს და თითქმის არ განსხვავდება მისგან. მაგრამ რაც მეტი დრო გადიოდა, მინაბაძებიც სულ უფრო და უფრო შორდებოდა პროტოტიპს, ისე რომ უკანასკნელი ცალები უაღრესად პრიმიტიულსა და უხეშ სქემას იძლევა. საფიქრებელია, რომ თავის დროზე ეს მინაბაძები მრავალი ათეული წლის მანძილზე იჭრებოდა და დიდი რაოდენობით უნდა შემორჩენილიყო. ამიტომ, ძნელი ასახსნელია, თუ რატომ მოაღწია ჩვენამდე ამ მონეტებმა ასე მცირე რაოდენობით. დართულ ტაბულაზე მოთავსებულია ორი ამგვარი მინაბაძის გამოსახულება (იხ. №№ 17—18), რომლებიც თანდათანი გადაგვარების საფეხურებს წარმოადგენს.

აღგილობრივი სამონეტო აღმოჩენები ხელს გვიწყობს თვალი გავადევნოთ იმ სურათს, რომელსაც იძლევა რომაული დენარისა და პართული დრაქმის მეტოქეობა საქართველოში ახალი წელთაღრიცხვის პირველივე საუკუნიდან. თუმცა პართული დრაქმის გავრცელების არე უფრო ვიწროა, რადგან დასავლეთ საქართველოში დენართან შედარებით ნაკლებად ჩნდება. მაგრამ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ის იმდენად ხშირია, რომ რომელს უნდა მიეცეს უპირატესობა, — ძნელი სათქმელია. ამიტომ ავგუსტ კეისრის დენარის მსგავსად, გოტარზის დრაქმაც შეიძლება ნატურალიზებულ მონეტად ჩავთვალოთ. უფრო გვიანდელ მონეტებთან და ინვენტართან ერთად ამ დრაქმების აღმოჩენათა შემთხვევები ხშირად აღნუსხულია და, ისევე როგორც ზემოხსენებული დენარი, იგი ახალი წელთაღრიცხვის პირველი სამი საუკუნით თარიღდება. ჩანგრძლივ ხმარებაში მყოფ ამ ვერცხლის დრაქმის შუბლზე გამოსახულია წერტილოვანი რკალით შემოვლებული გოტარზის მარცხენა პროფილი, ხოლო ზურგზე — ტახტზე მჯდომი არშაკ I, რო-

მელსაც ხელში მოზიდული მშვილდი უჭირავს. ირგვლივ ბერძნული (უფრო ხშირად დამახინჯებული) წარწერაა. (იხ. № 19).

მცხეთის აღმოჩენებს განსაკუთრებული მნიშვნელობა იმიტომაც აქვს, რომ სამონეტო კომპლექსი არკვევს გოტარზის გაშინაურებული დრაქმების წარმოშობის საკითხსაც. აღსანიშნავია, რომ მცხეთის მავზოლეუმის კომპლექსი რომის კეისრების — ვიტელიუსისა და ვესპასიანეს აურეუსებს შეიცავდა და, ამრიგად, ამ ძეგლის დათარიღება შეუძლებელია ახალი წელთაღრიცხვის 69 წელზე უფრო ადრე, რადგან დასახელებულმა პირებმა ამ დროს დაიწყეს მოღვაწეობა. აღსანიშნავია ისიც, რომ მავზოლეუმში ჩატანებული ადრინდელი პართული დრაქმების სიმრავლის მიუხედავად, გოტარზის დრაქმა აქ სულ არა ჩანს. ცნობილია, რომ გოტარზმა თავისი მოღვაწეობა 51 წელს, ე. ი. თითქმის 20 წლით ადრე, მოათავა და მისი სახელით აღბეჭდილ დრაქმებს ამ დროს გასავალი უნდა ჰქონოდა ჩვენში. საფიქრებელია, რომ მისი დრაქმები, რომლებსაც ძველ იბერიაში III საუკუნემდე ჰქონდა გასავალი, პირველად I საუკუნის ბოლოში ჩნდება. ეს გარემოება იძლევა საბუთს ვიფიქროთ, რომ ავგუსტ კეისრის დენარების ნაწილის მსგავსად ეს დრაქმებიც ადგილობრივ იჭრებოდა.

პართელების ანუ არშაკუნიანების თითქმის ყველა მონეტა ბერძნული წარწერებით არის აღბეჭდილი. არშაკუნიანთ სახელმწიფოში სუსტად იყო განვითარებული ხელისუფლების ცენტრალიზაცია და ხელქვეითი ცალკე მმართველები სუვერენული უფლებებით სარგებლობდნენ. ასეთი წესწყობილებისა და პართულ ნუმიზმატიკაში დამოუკიდებელ სუბარშაკიდულ მონეტათა არსებობის გამო, დასაშვებია, რომ ჩვენი ნუმიზმატიკის ძეგლებს შორის პართული ტიპის მონეტა აღმოჩნდეს.

თავი მეორე

ადრეფეოდალური დაჟუცმაცებულობის ხანა

VI-VII საუკუნეების ქართლის ერისმთავართა დრამები

შინაგანი კრიზისისა, გამუდმებული ომებისა და „ბარბაროსთა“ ხშირი თავდასხმების შედეგად რომის იმპერია თანდათან სუსტდებოდა და მალე ერთიმეორისაგან დამოუკიდებელ, ორ სახელმწიფოდ დაიშალა. იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში აღმოცენდა ბიზანტია, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ ოდესღაც უზარმაზარი რომის მხოლოდ ნაწილს წარმოადგენდა, წარმატებით ებრძოდა ძველ მოქიშპეებს, მათ შორის სპარსეთს, საქართველოში თავისი გავლენის დასამყარებლად. ამ ორივე ქვეყნის მბრძანებელთ კარგად ესმოდათ, რომ ქართული მიწა-წყლის დაპყრობა და ამ უაღრესად დიდი მნიშვნელობის პლაცდარმის ხელში ჩაგდება დიდ ზიანს მიაყენებდა მოწინააღმდეგეს.

ბრძოლა VII საუკუნემდე გრძელდებოდა. ორივე მხარე ცდილობდა მასში საქართველოც ჩაეთრია. საქართველოს საზღვრები განუწყვეტლივ ირღვეოდა და, ბოლოს, VI საუკუნისათვის, ბიზანტიამ და ერანმა ქვეყანა თავიანთი გავლენის სფეროებად გაიყვეს. პირველს დასავლეთი საქართველო დარჩა, ხოლო მეორეს — აღმოსავლეთი.

ქართულ ნუმიზმატიკაში არსებული ხარვეზი, რომელიც აღნიშნულ ხანას ემთხვევა, უეჭველია, ამ პოლიტიკური ბრძოლით აიხსნება. მსოფლიო ისტორიულ ასპარეზზე III საუკუნის პირველ ნა-

ხევარში უშუალოდ საქართველოს საზღვრების მეზობლად გაჩნდა სასანიანთა ძლიერი მონარქია. რომელიც წარმატებით განაგრძობდა ჯერ კიდევ აქემენიანთა დროს წამოწყებულ ერანის გაძლიერებისა და გაფართოების საქმეს.

სასანელები ფხიზლად ადევნებდნენ თვალყურს მათი გავლენის ქვეშ მოქცეულ ქვეყნებს და სასტიკად ახშობდნენ ერანის პოლიტიკური გავლენისაგან თავის დასაღწევად და დამოუკიდებლობის დასაბრუნებლად მიმართულ ყოველივე ცდას. თავდაპირველად აღმოსავლეთი საქართველო ერანთან ვასალურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა. VI საუკუნიდან იგი დამოუკიდებლობას მთლიანად კარგავს და ძალაუნებურად მონაწილეობს დაუსრულებელ ომებში.

V და VI საუკუნეების მანძილზე ქართველი ერი თავგამოდებით ებრძვის ერანსა და ბიზანტიას თავისი ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიური და კულტურული გაერთიანებისათვის. მთავარ მებრძოლად ამ დროს უკვე იბერია ხდება. ხანგრძლივ ბრძოლაში სასანურნა ერანმა სავსებით გამოფიტა თავისი მოქიშპე ბიზანტია, მაგრამ ამ ბრძოლაში თვითონაც იმდენად დაუძლურდა, რომ ძველებურად ველარ ახერხებდა დაპყრობილი ქვეყნების მეთვალყურეობას. ამის შედეგად VI საუკუნის ბოლოსათვის ერანელთა ძალაუფლება საქართველოში შესუსტდა და ქვეყანას დაუდგა ჟამი თავიდან მოეშორებინა დამპყრობთა უღელი.

უცხოელთა მძიმე ბატონობამ და მსხვერპლმა, რომელიც თავისი გენთავისუფლებისათვის გაიღო ქართველმა ხალხმა, ვერ შეაფერხა ქართული ეროვნული კულტურის განვითარება, ვერ შეანელა მისი ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. VI საუკუნის დამლევისათვის ქართველმა ხალხმა მიაღწია კიდეც საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენას, უკვე ფეოდალური საზოგადოებრივი წყობის ნიადაგზე.

ეროვნული თვითშეგნების თანდათანობითი გამოფხიზლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ეტაპები შესანიშნავად მეღავნდება ამდროინდელ ნუმიზმატიკურ მასალაზე. იმ დროს ჩვენში გავრცელებული სასანიანთა საერთო სახელმწიფოებრივი მონეტის

შუბლზე ყოველთვის გამოსახულია მეფე, ხოლო ზურგზე — ცეცხლთაყვანისმცემელ სასანელთა ემბლემა, — საკურთხეველზე აგიზგიზებული ცეცხლი, რომელსაც ორი შეიარაღებული მცველი გუშაგობს. სასანელთა ეს სახელმწიფოებრივ-რელიგიური ემბლემა, რომელიც მათ პირველივე მონეტებზე გაჩნდა, ბოლომდე, მათი დაცემის დღემდე შემორჩა.

VI საუკუნის დამლევს ქართულ მონეტაზე, რომელიც ზემოაღწერილი სასანური მონეტის ძირითად ტიპს და წონას (2.5—3.0 ფარგლებში) იმეორებს, ჯერ, ერთი შეხედვით, შეუმჩნეველი ჯვრის ნიშანი ჩნდება, რომელიც მონეტის შუბლზე მეფის მხარს ზემოთაა მოთავსებული (იხ. ტაბულის № 20). აღსანიშნავია, რომ ჩვენი წინაპრებისათვის იმ დროს ეს ქრისტიანულ-რელიგიური სიმბოლო ეროვნულ ემბლემასაც წარმოადგენდა და ქართულ მონეტაზე მისი გაჩენა აუცილებლად პოლიტიკური მნიშვნელობის გაბედული ნაბიჯი იყო. შემდეგ, მონეტის ზემო ნაპირზე, მის კიდეზე და უკვე მეფის გამოსახულების ზემოთ ვხვდებით ქართულ ასოებს ან მონოგრამებს (იხ. ტაბულის № 21), რომლებიც ქართველი მთავრების სახელებს გვაუწყებს (ერისმთავარნი გურგენი, ვახტანგი და სხვ.).

ქართველთა დამოუკიდებლობის განმტკიცება უფრო შესამჩნევად მჟღავნდება მას შემდეგ, როდესაც ქართული ეროვნულ-რელიგიური ემბლემა — ჯვარი მონეტის ყველაზე გამოსაჩენ ადგილს იჭერს. ეს ის ადგილია, სადაც საკურთხეველზე აგიზგიზებულ ღვთაებრივ კოცონსა და საგანგებოდ მიყენებულ მცველებს ათავსებდნენ. სწორედ ამ საკურთხეველზე აღმართეს ჩვენმა წინაპრებმა საკუთარი რელიგიური ემბლემა — ჯვარი (იხ. ტაბულის № 22). მაგრამ ქართველებმა არც ეს იკმარეს, — ერისმთავარმა სტეფანოზ I-მა ქართული ასომთავრული ნიშნებით მონეტის კიდეებზე დააქარაგმა თავისი სახელი, ხოლო მისმა მომდევნო მთავარმა სტეფანოზ მეორემ ეს სახელი უფრო ვრცლად და ასეთივე ქართული წარწერით მოათავსა მონეტის ცენტრში, მეფის გამოსახულების გვერდით (იხ. ტაბულის № 23). ამ უკანასკნელ ორ მონეტაზე ჯვარი ამაყად არის აღმართული საკურთხეველზე. V-VI საუკუნეებში შექმნილ

პოლიტიკურ-კულტურულ ვითარებაში ქართულ-სასანურ მონეტაზე ჯვრის ნიშნის გაჩენას უდიდესი მნიშვნელობა უნდა მიეცეს.

ამრიგად, ნუმიზმატიკური ძეგლების მიხედვით ჩვენს თვალწინ იშლება ფრიად მკვრმეტყველური და ამაღელვებელი სურათი, რომელიც ერთი მხრივ, საქართველოს ძლიერი მტრის თანდათანობით შესუსტებას, ხოლო მეორე მხრივ — ქართველთა ეროვნული შეგნებისა და პატრიოტიზმის გაღვიძებას მოწმობს.

აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალმა უხვად შემოგვინახა სასანური მონეტები, როგორც ცალკე ერთეულების, ისე საკმაოდ მოზრდილი განძების სახით, რომლებიც ათეულ და ზოგჯერ ასეულ ცალს შეიცავს ხოლმე. არაბი ისტორიკოსი ტაბარი გვაუწყებს, 607-608 წლებში ერანის სახელმწიფო შემოსავალი 420 მილიონ დრამას შეადგენდაო.

და აი, სასანურ მონეტათა ამ უზარმაზარი რაოდენობიდან ქართულ-სასანური დრამების საერთო რაოდენობა ორმოცსაც არ აღწევს. ამიტომ საფიქრებელია, რომ ქართულ-სასანური მონეტების გამოშვება გამოწვეული იყო ხელისუფლების ერთ-ერთი რეგალიის განხორციელების მიზნით და არა ვაჭრობაში გასავრცელებლად. აქედან ცხადი ხდება, რომ ამ საყურადღებო სერიის ყველა მონეტა დიდ იშვიათობას წარმოადგენს, ხოლო ზოგიერთი მისი ტიპი ან სახეობა უნიკალურია. ამ მონეტათა წონა 2,5—3,0 გ. შორის მერყეობს.

ქართულ-სასანური დრამების ვარიანტიდან 10 ცალი ბერლინშია, 6 ცალი — საქართველოს სახ. მუზეუმში, 5 — ლენინგრადის ერმიტაჟში, თითო ცალი — მოსკოვის საისტორიო და ბრიტანეთის მუზეუმებში და სამიოდე — კერძო კოლექციაში. აღსანიშნავია, რომ ბერლინის ათივე ცალი მ. ბარათაშვილისეული კოლექციიდან არის.

VIII—XI სს. თბილურ-არაბული დრამები

ბიზანტიის იმპერიასა და სასანიანთა მონარქიას შორის ხანგრძლივ ქიშპსა და გაუთავებელ სისხლისმღვრელ ბრძოლებს ბოლო მოუღო არაბთა ბატონობამ. ახალი წელთაღრიცხვის VII საუკუნეში

ერაბეთის ნახევარკუნძულზე ფრიად მნიშვნელოვანი ამბები მოხდა: აქ მოსახლე მომთაბარე ტომები გაერთიანდნენ. ბრწყინვალე მხედართმთავრისა და რელიგიური მეთაურის მ უ ჰ ა მ ე დ ი ს წინამძღოლობით მთელი რიგი მეზობელი ქვეყნები დაიპყრეს და ერთიანი სახელმწიფო შექმნეს. მუჰამედის უშუალო მემკვიდრეებმა დასავლეთი და აღმოსავლეთი მეზობლების ტერიტორიის ხარჯზე მათი კულტურის ათვისების შედეგად არაბთა სახელმწიფო უფრო გააფართოვეს და გააძლიერეს. ოდესღაც უძლეველი სასანური ერანი ასლადმოვლენილი სასტიკი მტრის წინაშე დაემხო და არაბეთის უბრალო პროვინციად იქცა. საუკუნეობრივი ბრძოლით დასუსტებულმა და გამოფიტულმა ბიზანტიამ დამოუკიდებლობის შენარჩუნება ძლივს შეძლო და იძულებული შეიქნა, ხელი აეღო საქართველოს მიმართ პრეტენზიებზე. მაგრამ საქართველომ სულ მალე მიიქცია ახალი დამპყრობლის ყურადღება.

ფეოდალიზმის საზოგადოებრივ-ეკონომიური სისტემის განვითარების შედეგად ჩვენში მრავალი ნახევრადდამოუკიდებელი სამფლობელო ჩამოყალიბდა. დაქსაქსულ-დაქუცმაცებულ საქართველოს წინანდელზე უფრო მეტად გაუჭირდა შემოსეულ უცხოელთა მოგერიება, მით უმეტეს, რომ სამი ძლიერი მტრის წინააღმდეგ უხდებოდა ბრძოლა: ჩრდილოეთიდან ხაზარები ემუქრებოდნენ, სამხრეთ-დასავლეთიდან ბიზანტია ავიწროებდა, ხოლო აღმოსავლეთიდან ახალი, საშინელი მტერი, არაბთა სახელმწიფო უტევდა.

დასავლეთ საქართველოში არაბებმა ფეხი ვერ მოიკიდეს, ხოლო ბრძოლით დაუძლურებული აღმოსავლეთი საქართველო იძულებული გახდა ეცნო არაბთა ძალაუფლება. დანარჩენი ისტორიული ცნობებიც რომ უარვყოთ, მონეტის სულ ახალი, საკუთრივ არაბული ყაიდით მოჭრილი ნიმუშები გვიმტკიცებენ, რომ VIII საუკუნის დაწყებისთანავე ჩვენში ახალი წესები მყარდება და ძალიან მტკიცედ იკიდებს ფეხს.

თავდაპირველად არაბები ბიზანტიური ოქროს და სასანური ვერცხლის მონეტებით კმაყოფილდებოდნენ და მხოლოდ შემდეგ გადავიდნენ საკუთარ ფულზე. დასაწყისში არაბული მონეტები სასანური ყაიდისა იყო; საკუთრივ არაბული, მუსლიმანური სახის

მონეტების შემოღება მხოლოდ ჰიჯრის 65-86 წწ. (685—705 წწ.) დროს მომხდარა. პირველი ხალიფური მონეტები უსახელოდ იჭრებოდა. ხალიფას სახელი მონეტებზე გაჩნდა აბასიანთა გვარეულობის მესაკე ხალიფას დროს (775—785 წწ.). ასე გრძელდებოდა 946 წლამდე. როდესაც ხალიფების მიერ საერო ხელისუფლების დაკარგვის შემდეგ მონეტაზე უკვე დამოუკიდებელ ამირათა სახელები ჩნდება.

ჩვენთვის ცნობილი პირველი ასეთი არაბული ყაიდის თბილური დრამა 85 ჰიჯრით (704—705 წლებით) არის აღბეჭდილი. ამრიგად, ეს ნიმუშიც ადრინდელ ომაიანთ მონეტების კატეგორიას ეკუთვნის. ჩვენში შემოღებულ ასეთ დრამაზე, რომელიც ახალს, მუსლიმანური სარწმუნოების სიმბოლოს ატარებს, თარიღის გარდა აღბეჭდილია მოჭრის ადგილიც — თბილისი. ომაიანთ დროინდელი ამ უნიკალური თბილური დრამის გამოსახულება ტაბულაზე ვერ მოგვყავს, რადგან მონეტის ანაბეჭდიც კი არ გაგვაჩნია (სამამულო ომამდე ეს მონეტა ბერლინის მუზეუმში იყო დაცული).

ამ მონეტის შემდეგ, თითქმის საუკუნენახევრიანი ხარვეზია: IX საუკუნის შუა წლებამდე არაბული ტიპის თბილური მონეტები ჯერჯერობით ცნობილი არ არის. ხოლო ამის შემდეგ მართალია, ზოგჯერ ხანგრძლივი ხარვეზებით, მსგავსი დრამები ხშირად იჭრებოდა (იხ. მაგალითად ჰიჯრ. 294-906/907 წ.წ. მოჭრილი დრამა № 24) და ჩვენთვის ცნობილი უკანასკნელი ასეთი მონეტის თარიღი XI საუკუნის დამდეგს აღწევს.

ამ ხნის განმავლობაში თბილურმა დრამამ მეტ-ნაკლები ცვლილებები განიცადა: როგორც უკვე ითქვა, მონეტა პირველად უსახელო იყო, შემდეგ მასზე აბასიანთა საგვარეულოს ხალიფების სახელები გაჩნდა და. ბოლოს, როცა ხალიფას ხელისუფლება შეირყა და აღმოსავლეთის სახალიფოს ნანგრევებზე მრავალი წვრილი საამირო ჩამოყალიბდა, X საუკუნის მეორე ნახევრის თბილურ დრამაზე ხალიფას სახელის გვერდით ჯაფარიანთა გვარეულობის თბილისის ამირათა სახელებიც გაჩნდა. მათ საქართველოს დედაქალაქი თავის სამემკვიდრო სამფლობელოდ აქციეს.

1953 წ. თბილისის ერთ სააღმშენებლო უბანზე აღმოჩნდა თბილისის ამირა ალი იბნ ჯაფარის მონეტათა მოზრდილი განძი. ზოგიერთ მონეტაზე შერჩენილია თარიღი — 418 ჰიჯრა (1027-28წ ნ.) ცნობილია ამავე ალი იბნ ჯაფარის 386 ჰიჯრით (996 წ.) მოჭრილი ვერცხლის მონეტა, რაც შესაძლებლობას გვაძლევს დაახლოებით მაინც განვსაზღვროთ ამ მფლობელის მმართველობის ხანგრძლივობა, რომელიც თითქმის 31 წლით განისაზღვრება.

ამ განძის მონეტები (იხ. № 28) 386 წ. ჰიჯრითაა დათარიღებული (იხ. № 27) და საერთოდ წინა პერიოდის თბილური დრამებისაგან მკვეთრად განსხვავდება. ადრინდელი დირჰემები მოჭრილია მრგვალი ფორმის ლითონის ფირფიტისაგან, ხოლო ამ განძის მონეტათა უმრავლესობა დამზადებულია სხვადასხვა ზომის, წონისა და ფორმის ფირფიტებისაგან. რაც ეგრეთ წოდებულ „უწესო ჭედვის" მონეტათა ხმარებაში შემოღების ერთ-ერთ ადრინდელ მაგალითს წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ ამ განძის მონეტები მოჭრილია ბრინჯაოს ფირფიტებისაგან, რომლებიც ისე სქლადაა მოვერცხლილი, რომ მიწაში დიდი ხნის განმავლობაში ყოფნისა და ქიმიური გაწმენდის შედეგადაც კი სრულებით არ შეცვლილან. აღსანიშნავია, რომ ამავე ალი იბნ ჯაფარის 386 წ. ჰიჯრით დათარიღებული დრამა მოჭრილია 59 სინჯის ვერცხლისაგან, გაცილებით ნაკლები ვიდრე მისი მამის — ჯაფარ იბნ მანსურის (იხ. № 26), ან პაპის — მანსურ იბნ ჯაფარის (იხ. № 25) დრამების სინჯია. ამრიგად, ჩვენს თვალწინ იშლება ამდროინდელ მონეტათა რეალური ღირებულების დაცემის დამახასიათებელი სურათი.

მონეტების კატასტროფული გაუარესება. ე. ი. მისი რეალური შინაარსის ნომინალური შეფასებისაგან დაშორება ჩანს არა მარტო ზემოდასახელებული ნიშნის მიხედვით, არამედ მონეტათა დამზადების შედარებით მდარე ტექნიკიდანაც. ყოველივე ეს იმის მაჩვენებელია, რომ ქართული სამფლობელოებით გარშემორტყმული თბილისის საამირო ჰოჰყვა სრულ ეკონომიურ იზოლაციაში, თანდათან დასუსტდა და მალე დაეცა კიდეც.

თბილური დრამების შუბლზე, მონეტის შუაგულში, საერთო

შემოღებული წესის მიხედვით, მოთავსებულია მუსლიმანური სიმბოლო — „არ არს ღმერთი, გარდა ალაჰისა, არ ჰყავს მას თანაზიარი". ამ წარწერას ზოგჯერ რომელიმე მფლობელის სახელიც ერთვის. როგორც წესი, ცენტრალურ ზედწერილს გარშემოვლებული აქვს მეორე ზედწერილი, რომელიც გვაცნობს მოჭრის ადგილს (თბილისი) და თარიღს (ჰიჯრით). თავის მხრივ, ამას ზოგჯერ მეორე გარშემოვლებული ზედწერილი მოჰყვება — ყურანის ერთ-ერთი საგალობელი (სურა).

ზურგის ცენტრში მოთავსებულია წარწერა: „მუჰამედ მოციქული ალაჰისა", რომელსაც ხშირად ხალიფას ან რომელიმე სხვა მფლობელის სახელიც ახლავს; აქაც ეს ცენტრალური ზედწერილი მუდამ მოთავსებულია გარშემოვლებულ ზედწერილში, რომელიც ყურანის სურას გადმოგვცემს. ყველა ეს წარწერა შესრულებულია არაბულად.

მონეტების წონის ცვალებადობა აქ ძალიან მკვეთრია, — X საუკუნის მიწურულამდე 2,1 — 3,5 გ. შორის მერყეობს, ხოლო XI საუკუნის ნიმუშები ამასაც აჭარბებს.

აუცილებლად საჭიროა მოვიყვანოთ ცნობები ფრიად საინტერესო სამონეტო ტიპის შესახებ, რომელიც, ერთი შეხედვით, საერთოდ ცნობილ არაბულ დირჰემებს მოგვაგონებს, მაგრამ შემოწმების შედეგად ამჟღავნებს ნამდვილ წარმოშობას. ასეთ მონეტებზე არაბული ზედწერილები დამახინჯებულია, ჩართულია ზოგიერთი ქართული ასომთავრული ნიშანი. მონეტის მომჭრელი ხელოსანი არაბულ დამწერლობაში გამოუცდელი იქნებოდა და ზედწერილის ამოჭრის დროს მისთვის უცნობი არაბული ნიშნები მშობლიური ქართული ნიშნებით შეუცვლია. ამ მხრივ ფრიად საინტერესოა ამერიკის შეერთებული შტატების ნუმიზმატიკური ასოციაციის ასეთი დეგრადირებული დირჰემი, რომელსაც გამოშვების ადგილი — „თბილისი" აქვს შერჩენილი. ინგლისელმა მეცნიერმა დავით ლანგმა ეს მონეტა ბაგრატ III-ის დროს მიაკუთვნა. ნამდვილი არაბული დრამებისაგან ასეთი მინაბაძები შემცირებული წონითაც განსხვავდებიან. შედარებით იშვიათი, ერთი ასეთი მონეტის გამოსახულება მოთავსებულია დართულ ტაბულაზე № 29-ით.

ასეთსავე მინაბაძის ერთგვარ სახესხვაობას წარმოადგენს ბაგრატ მესამის (975—1014 წლები) ჯერჯერობით მხოლოდ ერთ ცალად ცნობილი დრამა, რომელიც მიღებული კლასიფიკაციის მიხედვით, უნდა მოთავსებულიყო ერთიანი სამეფოს არსებობის ხანის მონეტათა შორის, მაგრამ სტილისტური და ტიპოლოგიური ნიშნებით ისე მჭიდროდ არის დაკავშირებული არაბული ტიპის დრამებთან, რომ ამ ჯგუფიდან მისი მოწყვეტა მიზანშეუწონელი იქნებოდა.

№ 30. ვერცხლი. წონა — 1.78 გ. მონეტის შ უ ბ ლ ი: ცენტრალური არაბული ზედწერილი „მუჰამედ-მოციქული ალლაჰისა" — შემოვლებულია დაქარაგმებული ქართული ასომთავრული ზედწერილით „ქრისტე ადიდე ბაგრატ აფხაზთა მეფე".

მონეტის ზ უ რ გ ი: ცენტრალური სამსტრიქონიანი და მის ირგვლივ გარშემოვლებული არაბული ზედწერილი დამახინჯებულია.

დანარჩენ თბილურ-არაბულ დრამებთან შედარებით, ბაგრატ მესამის ზემოაღწერილი მონეტის წონა თითქმის ერთიორად არის შემცირებული და, ალბათ, ბაგრატის მეფობის სულ უკანასკნელ პერიოდს ეკუთვნის; იგი მოჭრილი უნდა იყოს XI ს. დასაწყისში, ე. ი. მაშინ, როდესაც ქართული ვერცხლის მონეტის წონა კატასტროფულად კლებულობდა.

ტაბულაზე მოთავსებული ამ უნიკალური მონეტის გამოსახულება მოცემულია ანაბეჭდიდან, რომელიც მოგვაწოდა ლენინგრადის სახელმწიფო ერმიტაჟმა; თბილისის მიდამოებში აღმოჩენილი ეს მონეტა იქ ცნობილ ნუმიზმატს ი. ბარტოლომეის გაუგზავნია.

VIII საუკუნემდე კულტურული სამყაროს სავაჭრო გზები სხვადასხვა მოქიშპე მძლავრ სახელმწიფოთა ხელში იმყოფებოდა. არაბთა იმპერიის დაარსებისთანავე ეს გზები გაერთიანდა და საოცარ სიგრძეს, განშტოებასა და განვითარებას მიაღწია. აღმოსავლეთისა და დასავლეთის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის საერთაშორისო საქონლის ბრუნვა არაბების დროს შეუჩერებლივ ვითარდებოდა და ეს განვითარება საქართველოსაც შეეხო. ამის კვალი ნუმიზმატიკასაც ემჩნევა. ფულის ნიშნები ჩვენს ქვეყანაში კვლავ უხვად ილე-

ქებოდა. აღმოსავლეთის ქვეყნებსა და ევროპას შორის დამყარებული სავაჭრო ურთიერთობის შედეგად დასავლეთისა და ჩრდილოეთის ქვეყნებს დრამების მძლავრი ნაკადი მოედო და ამ მონეტათა განძების აღმოჩენა დღესაც ხშირია ამ მიდამოებში. განძებს შორის საქართველოში მოჭრილი მონეტებიც გვხვდება. ასეთი აღმოჩენები აღნუსხულია საქართველოსაგან ისეთ შორეულ რაიონებში, როგორიცაა. მაგალითად, კურსკის, ტულის, მინსკისა და ბალტიის ზღვის სანაპირო ოლქები.

თავი მესამე

ერთიანი სამეფოს არსებობის ხანა განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქაში

XI საუკუნის ქართულ-ბიზანტიური ვერცხლის მონეტები

არაბთა ხალიფატის დასუსტების პირველი ნიშნები მეცხრე საუკუნიდან იჩენს თავს და ჩვენს წინაპრებსაც ამ დროიდან უცხოელთა ბატონობისაგან განთავისუფლების საშუალება ეძლევათ. იწყება ქართველი ერის ხანგრძლივი ბრძოლა საქართველოს სხვადასხვა წვრილი სამთავროების გაერთიანებისა და მთლიანი სახელმწიფოს შექმნისათვის. ხელმძღვანელობა ამჯერად წილად ხვდა ტაოკლარჯეთს, რომელსაც ძველი კოლხეთის ტერიტორიის ნაწილი ეკავა. ეკონომიური და პოლიტიკური პირობების შეცვლის გამო შესაძლებელი გახდა საქართველოს მთლიანი ფეოდალური სახელმწიფოს შექმნა. ამ დიდმნიშვნელოვანი ისტორიული საქმის ინიციატორები ბაგრატიონთა სამეფო ევარეულობის წარმომადგენლები იყვნენ. ბაგრატ მესამემ (975-1014 წ.წ.) თავის ძალაუფლებას დაუმორჩილა თითქმის მთელი საქართველო; გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ თბილისის საამირო, რომელიც ქართველთა სამფლობელოების რკალში იყო მოქცეული. სახელოვანმა მეფემ, დავით აღმაშენებელმა, 1123 წ. მუსლიმანები აქედანაც განდევნა და თბილისი საქართველოს დაუბრუნა.

X საუკუნის დამლევისათვის, როდესაც არაბთა ძლიერება საბოლოოდ შესუსტდა, ქართველებს ამოსუნთქვისა და ბიზანტიასთან

მჭიდრო ურთიერთობის დამყარების საშუალება მიეცათ. შექმნილი პირობები ძირფესვიანად ცვლის პოლიტიკურ სიტუაციას და ერთმორწმუნე ბიზანტიასთან აღდგენილი ურთიერთობა ქართულ მონეტასაც თავის დაღს აჩნევს: მონეტაზე ქრება ყოველივე მუსლიმანური. კვლავ ჩნდება ქრისტიანულ-რელიგიური ემბლემები — ჯვარი ან ღვთისმშობლის გამოსახულება (ეს უკანასკნელი ბიზანტიური ნიმუშებიდან არის ნასესხები), წარწერების მნიშვნელოვანი ნაწილი მხოლოდ და მხოლოდ ქართულია. ეს წარწერები შეიცავს ქართველ მეფეთა სახელებსა და მათ ბიზანტიურ ტიტულებს. თუმცა ამ მონეტებს თარიღი უკვე აღარ უზის, მაგრამ ამ ხარვეზის შევსება ბიზანტიური ტიტულების საშუალებით ხერხდება, რადგან უკვე სხვა წყაროებიდან ცნობილია, თუ როდის მიიღო ან როდის შეიცვალა ესა თუ ის ბიზანტიური ტიტული ამა თუ იმ მეფემ.

ამდროინდელი მონეტა მხოლოდ ვერცხლისაა და დიდ იშვიათობას წარმოადგენს; ხსენებული სერიიდან ყველაზე უფრო ადრინდელი ვერცხლის მონეტა დავით კურაპალატს ეკუთვნის. ამ მონეტის შუბლზე წერტილოვანი რკალით შემოვლებული ორსტრიქონიანი ქართული ასომთავრული ზედწერილია, რომელიც ქარაგმების გახსნის შემდეგ ასე იკითხება: „ქრისტე, შეიწყალე დავით“. ზ უ რ გ ხ ე ოთხსაფეხურიან კვარცხლბეკზე აღმართულია ჯვარი, რომელსაც ტოტებს შორის მოთავსებული აქვს ტიტულის აღმნიშვნელი მთავრული ასოები „კურაპალატი“. ეს ბიზანტიური ტიტული მონეტის შუბლის ზედწერილის გაგრძელებას წარმოადგენს (იხ. № 31).

მონეტას თარიღი არ აბლავს და მისი განსაზღვრისათვის მხოლოდ სახელი და ტიტული რჩება. დათარიღებისათვის დახმარებას გვიწევს მონეტის წონა, ტიპი, ფაქტურა და განსაკუთრებით აღმოსავლეთ ევროპაში, ქალაქ შვანში (მაკლებურგი), 1853 წელს აღმოჩენილი განძის შემადგენლობა. განძი ძირითადად შეიცავდა XI საუკუნის პირველი წლებით დათარიღებულ ევროპულ მონეტებს, რომლებთანაც ერთად ზემოაღნიშნული მონეტაც აღმოჩნდა. რადგან განძის შემადგენლობა გვიდასტურებს, რომ XI საუკუნის პირველ წლებზე გვიან ის ვერ ჩაიმარხებოდა, ცხადია, მონეტაზე აღ-

ბეჭდილი სახელი ამავე დროსა და ამდროინდელ ისტორიულ პირს უნდა მივაკუთვნოთ. ასეთი მხოლოდ დავით კურაპალატი იქნებოდა. ამიტომ აღწერილი მონეტაც 1001 წელზე გვიანი ხანით ვერ დათარიღდება, რადგან, როგორც ცნობილია, დავით კურაპალატი სწორედ ამ დროს გარდაიცვალა.

ბაგრატ მეოთხიდან (1027—1072 წწ.) სამონეტო ტიპი საგრძნობლად იცვლება, მონეტის შუბლზე ათავსებენ ღვთისმშობლის წელზევით გამოსახულებას, ხოლო ზურგზე ქართულ წარწერას, რომლებიც იტყობინებიან მორიგი მეფის სახელსა და ბიზანტიურ ტიტულს.

ბაგრატ მეოთხის მონეტაზე გარშემოვლებული წარწერა ასეთი შინაარსისაა — „ქრისტე ადიდე ბაგრატ, აფხაზთა მეფე" — ირგვლივ და ცენტრში — „და ნოველისიმოსი" ან „და სევასტოსი". ნიმუშების გამოსახულებანი მოცემული გვაქვს ტაბულაზე 32 და 33 ნომრით. ამ მონეტების ორივე ვარიანტი (მათი წონა 1,5 — 1,6 გ-მდე ეცემა) სულ 7 ცალად არის ცნობილი: მოსკოვის საისტორიო მუზეუმში ოთხია, ლენინგრადის ერმიტაჟში — ორი და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში — ერთი.

ბაგრატ IV-ის ძე გიორგი მეორეც ასეთივე ტიპის მონეტებს ჭრიდა. მაგრამ ზემოაღწერილებთან შედარებით მის მონეტებს გადაგვარებისა და გაუარესების ბეჭედი აზის. მისი მეფობის 17 წლის მანძილზე მონეტა სულ უფრო და უფრო უხეშდება და წონაში კლებულობს. თარიღი არც ამ მონეტებზეა მოცემული, მაგრამ მისი დაახლოებითი დადგენა მონეტებზე აღბეჭდილი ბიზანტიური ტიტულების ცვალებადობის მიხედვით ხერხდება: ნოველისიმოსის, სევასტოსისა და კესაროსის ტიტულების თანმიმდევრობითი გაჩენა საგრძნობლად აადვილებს ამ საკითხის გადაჭრას. აღსანიშნავია მხოლოდ, რომ გიორგი მეორის მონეტათა გარშემოვლებული ზედწერილი დამატებით ცნობებს შეიცავს. იგი შემდეგი შინაარსისაა: „ქრისტე, ადიდე გიორგი, — აფხაზთა და ქართველთა მეფე". რადგან ბაგრატის მონეტისაგან საჭირო განმასხვავებელი ნიშნები მოხსენებული გვქონდა, გიორგის მონეტებს აღარ აღვწერთ და ტაბულაზე მოთავსებული № 34 გამოსახულებით დავკმაყოფილდებით.

ამდროინდელი მონეტებიდან ყველაზე მრავალრიცხოვანი გიორგი მეორისაა: მოსკოვის საისტორიო მუზეუმში 77 ცალია, ერმიტაჟში და ბრიტანეთის მუზეუმში ხუთ-ხუთია. ბერლინის მუზეუმში — სამი, სოხუმში — ორი და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მხოლოდ ერთია.

ღვთისმშობლის გამოსახულებიანი მონეტის მოჭრის უკანასკნელი მაგალითია დავით აღმაშენებლის (1089—1125 წწ.) ფული (იხ. № 35), სადაც ზურგის მხარეს ნახატში შესამჩნევი ცვლილებაა შეტანილი. ცენტრში — წერტილოვანი რკალით შემოვლებული და წერტილებითვე შემკული ჯვარია, რომლის ირგვლივ გარშემოვლებული ქართული ზედწერილის მხოლოდ ნაწილია შერჩენილი „ქრისტე, ადიდე დავით მეფე და...“

ჩვენამდე მოღწეული ასეთი ოთხი მონეტიდან. სამწუხაროდ. გარშემოვლებული ზედწერილი დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში არც ერთს არ შერჩა. განსაკუთრებით დაზიანებულია წარწერის ბოლო, სახელდობრ, რა ტიტულია აქ მოთავსებული. ამის თქმა ძნელია.

ვერცხლის კრიზისთან დაკავშირებით ქართული მონეტის წონა სულ უფრო კლებულობს და დავით აღმაშენებლის დროისათვის 0,9—0,5 გ-დე ეცემა. მისი ვერცხლის მონეტები სულ შვიდი ცალია და მათი უმრავლესობა, სახელდობრ, ხუთი ცალი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმშია; თითო-თითო ლენინგრადის ერმიტაჟში და ბერლინის მუზეუმშია (უკანასკნელი იმდენად არის დაზიანებული, რომ დავითისადმი მისი მიკუთვნება საეჭვოა).

XI საუკუნის განმავლობაში თბილისი მუსლიმანებს ეკავათ და ხსენებული მონეტების გამომშვები ზარაფხანა სადღაც სხვა ადგილას უნდა ვიგულისხმოთ. თუმცა ამ ზარაფხანის ადგილი ჯერ დადგენილი არ არის, მაგრამ საფიქრებელია, რომ ქუთაისში უნდა ყოფილიყო.

სრულიად ცალკე დგას ცნობილი ინგლისელი ქართველოლოგის დავით ლანგის მიერ 1957 წელს გამოქვეყნებული, დღემდე უცნობი და უაღრესად დიდი მნიშვნელობის მქონე უნიკალური სპილენძის მონეტა, რომელსაც დაწვრილებით აღვწერთ:

№ 36. წონა — 10,73 გ.

მონეტის შუბლზე: გამოსახულია მთელი ტანით პირდაპირ მდგომი. სამეფო სამოსელში გამოწყობილი პირი. რომლის გვერდით მოთავსებულია დაქარაგმებული ასომთავრული წარწერა „დავით მეფეჲ", მონეტის ზურგის ცენტრში ჯვარია. გარშემოვლებული ასომთავრული წარწერით. რომელიც ქარაგმის გახსნის შემდეგ ასე იკითხება — „ქრისტე! დავით, მეფე აფხაზთა. ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა".

აღსანიშნავია. რომ მსგავსი. მხოლოდ უკვე ვრცლად შესრულებული წარწერა. მოთავსებულია საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში დაცულ დავით აღმაშენებლის საალამო ჯვარზე.

თუმცა ამ მონეტას თარიღი ან მეფის ბიზანტიური ტიტული არ ახლავს, წარწერების შინაარსის მიხედვით ძნელი აღარაა საკითხის გარკვევა. ცნობილია, რომ დავითი 1125 წელს გარდაიცვალა და მაშასადამე, ამაზე გვიან მონეტა ვერ მოიჭრებოდა. ხოლო სომეხთა მეფის ტიტული მან მიიღო 1123 წელს „უსჯულოთაგან" ანისის განთავისუფლებისა და საქართველოსთან მისი შემოერთების შემდეგ. ამიტომ აშკარაა. რომ ეს მონეტა 1123—1125 წლებს შორის მოიჭრებოდა.

XI საუკ. ბიზანტიური ტიტულების შემცველი ვერცხლის მონეტა, რომელიც დავით დიდი კურაპალატის დროს სამ გ-ზე მეტს იწონიდა, ერთი საუკუნის მანძილზე გადაგვარებისა და წონის დაცემის პროცესს განიცდის. დავით აღმაშენებლის მონეტამ წონაში თითქმის ერთი ხუთად დაიკლო. უნდა აღინიშნოს. რომ მონეტის გაუარესების პროცესი მარტო საქართველოსთვის არ არის დამახასიათებელი, იგივე ხდებოდა მახლობელი აღმოსავლეთის ყველა ქვეყანაში.

აღმოსავლეთის ქვეყნებში გავრცელებული და კარგად ცნობილი ე. წ. „ვერცხლის კრიზისი" სპეციალურ ლიტერატურაში ხშირად ყოფილა განხილული, მაგრამ ამის შესახებ მაინც არსებობს აზრთა დიდი სხვაობა: ზოგი ამტკიცებს, რომ ეს კრიზისი აღმოსავლური ქვეყნის ვერცხლის საბადოების გამოფიტვით იყო გამოწვეული, ზოგი მას აღმოსავლური მონეტის დასავლეთისა და ჩრდილო-

ეთის ქვეყნებში მასობრივ გაზიდვას უკავშირებს. ზოგიც თურქ-სელჯუკთა მომთაბარე ტომების შუა აზიიდან სპარსეთისაკენ მო-ძრაობას აბრალებს. არც ერთი მოსაზრება საკმაო დამაჯერებლ-ობით დამტკიცებული არ არის და ამ დიდმნიშვნელოვანი ეკონომი-ური მოვლენის მიზეზი ჯერჯერობით გარკვეულად ვერ ჩაითვლება.

აღსანიშნავია, რომ მოსკოვის საისტორიო მუზეუმში დაცული ეს მონეტები წარმოადენს განძის კომპლექსს, რომელიც გასულ საუკუნეში საქართველოში აღმოუჩენიათ და შემდეგ მოსკოვში გა-უყიდიათ. მაშასადამე, თუ მოსკოვის მუზეუმის მასალას არ მივი-ღებთ მხედველობაში, ცნობილი ცალების დანარჩენი რაოდენობა 30 ცალსაც არ აღწევს. აქედან სავსებით აშკარაა ამ მონეტათა უაღ-რესი იშვიათობა და მათი უდიდესი მეცნიერული ღირებულება. ძნელი წარმოსადგენია, რომ ქვეყანამ, რომელიც ბაგრატ III-ის დროიდან საუკუნე-ნახევრის მანძილზე საკუთარ ვერცხლის ფულსა ჭრიდა, ასეთი მცირე მარაგი შეინარჩუნა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ისგავსი მონეტები სადღაც და ვიღაცას შემონახული ექნება, მაგრამ პატრონს უთუოდ არც კი წარმოუდგენია თუ რა დიდი მნიშვნელო-ბა აქვს ყოველ ასეთ მონეტას მეცნიერებისათვის.

XII საუკუნის და XIII ს-ის დასაწყისის ე. წ. საკრედიტო მონეტები

ჯვაროსნული ომების დაწყების შემდეგ მუსლიმანური სამყა-როს მთავარი ძალები და ყურადღება ევროპული კოალიციის არ-მიებთან ბრძოლაზე იქნა გადატანილი; იმათ აღარ შეეძლოთ მო-საზღვრე ქრისტიანული ქვეყნების წინანდებურად შევიწროება. მუსლიმანთა ხშირმა შემოსევებმა საგრძნობლად იკლო, რამაც არსებითად შეამსუბუქა ქართველების მდგომარეობა: ხალხმა თა-ვისუფლად ამოისუნთქა და ძალების მოკრების საშუალება მიეცა.

საქართველოსა და მისთვის აქამდე ნაკლებად ცნობილ სახელმ-წიფოთა შორის (გენუა, ვენეცია), რომლებსაც „ჯვაროსნულმა ომებმა“ გაუღო კარი აღმოსავლეთისაკენ, ახალი და მჭიდრო კავ-

შირი მყარდება. ქართველმა პოლიტიკურმა მოღვაწეებმა შუა საუკუნეებში დიდ წარმატებას მიაღწიეს ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერების საქმეში.

სახელმწიფოს გაძლიერება იმდენად გარეშე მტერთან (თურქსელჯუკნი, ბიზანტია) ძლევამოსილი ბრძოლის შედეგად არ მომხდარა, რამდენადაც ქვეყნის შიგნით ფეოდალური აზნაურობის სეპარატიზმის წინააღმდეგ წარმატებით წარმოებული ბრძოლის წყალობით.

განსაკუთრებით დიდი წარმატებანი ამ საქმეში მოიპოვა დავით აღმაშენებელმა, ხოლო მისმა მემკვიდრეებმა ეს საქმე განაგრძეს. თამარის მმართველობის დროს (1184—1213 წწ.) ფეოდალური საქართველო წინა აზიაში უძლიერეს სახელმწიფოდ გადაიქცა. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა იმდროინდელ საერთაშორისო ცხოვრებაში და თავის დამოუკიდებელ პოლიტიკას აწარმოებდა. განსაკუთრებით საინტერესოა დავით აღმაშენებლის მოღვაწეობა სახელმწიფოს გარდაქმნის დარგში.

ცნობილმა არაბმა ისტორიკოსმა ალ ფარიკმა, რომელსაც საქართველოში უმოგზაურია, დაგვიტოვა ჩანაწერები, სადაც მოგვითხრობს, რომ დავით აღმაშენებლის რეფორმები სახელმწიფოს ფინანსურ მხარესაც შეხებია, სახელოვან მეფეს მნიშვნელოვანი ღონისძიებები ჩაუტარებია ფულად-სამონეტო საქმიანობაშიაც და მუსლიმანური ტიპის მონეტები მოუჭრია.

დავით აღმაშენებლის დროს ბრწყინვალედ დამთავრებულმა საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების პროცესმა და დამოუკიდებელი პოლიტიკური გზის არჩევამ, რომელიც მუსლიმანურ მეზობლებთან უფრო მჭიდრო კავშირის დამყარებაში გამოიხატა, სათანადო კვალი დააჩნია ქართული მონეტის გარეგნობასაც. ამ დროიდან მოყოლებული XIII საუკუნეში მონღოლთა შემოსევამდე ესე იგი თითქმის საუკუნე-ნახევრის მანძილზე მთელი სამონეტო, ფულადი და საფინანსო სისტემა ძირფესვიანად შეიცვალა. XI—XII საუკუნეების საქართველოს კულტურულ-პოლიტიკურ აღორძინებას — „ოქროს ხანას“ უცნაურად უპირისპირდება მისი ნუმიზმატიკის „სპილენძის ხანა“. „ვერცხლის კრიზისი“, რომელიც უკვე

XI საუკუნიდან მთელ წინა აღმოსავლეთს მოედო. არც საქართველოს ასცდა.

სპეციალურ ლიტერატურაში პირდაპირ აღნიშნულია, რომ XII საუკუნის დასაწყისიდან მეზობელი ქვეყნების მსგავსად საქართველომაც შეწყვიტა ვერცხლის ფულის მოჭრა და სპილენძზე გადავიდა. ირკვევა აგრეთვე, რომ ვერცხლის კრიზისი ჩვენში ყველაზე გვიან დაწყებულა და შედარებით ადრე დამთავრებულა. სავსებით ბუნებრივია, ჩვენში ვერცხლის მონეტა რომ არ გამქრალიყო და მის ნაცვლად არ შემოეღოთ სპილენძისა, რომელიც იძულებით „ვერცხლად" საღდებოდა, აქ მოჭრილი და საქართველოს ფარგლებს გარეთ გატანილი ვერცხლის ფული უკან აღარ დაბრუნდებოდა.

ალ ფარიკის ცნობა იმის შესახებ, რომ დავით აღმაშენებელს მუსლიმანური ტიპის მონეტა მოუჭრია, ფაქტებითაც დასტურდება. პროფ. ე. პახომოვის კოლექციაში დაცულია სპილენძის მონეტა, რომელიც XII საუკუნისათვის დამახასიათებელ ნიშნებს ატარებს და უფრო დავით აღმაშენებელს უნდა ეკუთვნოდეს, ვიდრე მის შვილიშვილს, რომელსაც აგრეთვე დავითი ერქვა. სამწუხაროდ, მონეტა ძალიანაა გაცვეთილი და საბოლოო დასკვნების საშუალებას არ იძლევა.

დავით აღმაშენებელს უნდა მიეწეროს სპილენძის მონეტა, რომელსაც შუბლზე მოთავსებული აქვს გვირგვინოსანი მხედრის გამოსახულება, ხოლო ზურგზე სამსტრიქონიანი არაბული წარწერა „მეფე მეფეთა დავითი, ძე გიორგისა, მახვილი მესიისა" (იხ. № 37). აღსანიშნავია, რომ მკვლევართა უმრავლესობა ამ მონეტას ულუ დავითს, ლაშა გიორგის ძეს აკუთვნებს და XIII საუკუნის შუა წლებით ათარიღებს.

XII საუკუნის დაწყებისთანავე მონეტის ტიპი, გარეგანი სახე და მოყვანილობა მკვეთრად იცვლება; აქამდე მიღებულ კანონზომიერ მოყვანილობას — სიმრგვალეს, მონეტა კარგავს. ამიერიდან ფულის ნიშანი შემთხვევითი მოყვანილობის სპილენძის ფირფიტების სახით იჭრება. ამიტომ ხშირია შემთხვევა, რომ ფირფიტის სიმცირის გამო სიქის ანაბეჭდი მასზე მთლიანად ვერ თავსდებოდა. წინა აღმოსავლეთის სხვა მეზობელ ქვეყნებში შემოღებულმა ამ

წესმა ჩვენშიაც მტკიცედ მოიკიდა ფეხი. საფიქრებელია, რომ უწესოდ მოჭრილ მონეტებს აღებ-მიცემის დროს ღებულობდნენ წონისა და არა თვლის ანგარიშით.

ვიდრე დავით აღმაშენებლის ასეთი სპილენძის მონეტის არსებობა საეჭვოა, გადაწყვეტით არ შეიძლება იმის თქმა, თუ როდის იქნა შემოღებული ეს წესი — უშუალოდ მის დროს, თუ მისი მემკვიდრე დემეტრე პირველის მეფობაში.

ცხადია მხოლოდ, რომ დემეტრე პირველის დროიდან და რუსუდანის მეფობაში მომხდარ ფულის ახალ რეფორმამდე, ესე იგი საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე, ეს „უწესოდ მოჭრილი" სპილენძის მონეტა განუწყვეტლივ იჭრება საქართველოში.

სპილენძისაგან მოჭრილ იმდროინდელ ქართულ მონეტებზე მოთავსებული გამოსახულებანი და წარწერებიც შესამჩნევად იცვლება: თავდაპირველად უპირატესობა არაბულ ზედწერილებს მიეცა, ქართულს —სულ უმნიშვნელო ადგილი (დემეტრე პირველისა ან გიორგი მესამის სახელის ინიციალი) დაეთმო; გამოსახულებათა ნაცვლად ჩნდება ორნამენტები, ვარდულები და სხვ.

დემეტრე I დროს სამონეტო ტიპი რამდენჯერმე გამოიცვალა, მაგრამ ძირითადი სქემა უცვლელი რჩებოდა. მონეტის შუბლზე ჩვეულებრივ მოთავსებულია დემეტრეს სახელის ინიციალი — ასომთავრული დონი. გარშემო განლაგებულია არაბული ზედწერილი „მეფე მეფეთა. მესიის მახვილი, დემეტრე", რომელიც ზოგჯერ ჩარჩოს სახით არის სტილიზებული. ზურგზე ხან ორსტრიქონიანი არაბული წარწერაა — „მაჰმუდ ძე მუჰამედისა", ხან ხუთლერძიანი ვარდული, რომელსაც ბუდეებში არაბულადვე ჩაბმული აქვს ხალიფასი და სელჯუკთა სულტნის სახელები (იხ. №№ 38 და 39).

დემეტრე პირველის ძე და გიორგი მესამის უფროსი ძმა ქვეყანას სულ რამდენიმე თვეს განაგებდა და, ალბათ ამიტომ, მისი მონეტები ჯერჯერობით უცნობია. მაგრამ ასეთი მონეტების აღმოჩენა მოსალოდნელია, მით უმეტეს, რომ ნაპოვნია ამ ეპოქისათვის შესაფერისი მონეტები, რომლებიც ზედწერილების შემდეგომ შევსებას და შესწავლას მოითხოვს. შესაძლებელია, მასალის შესწავლის შემდეგ წინასწარი მოსაზრება გამართლდეს და ჯერ შეუსწავლელი ეს

მონეტები სწორედ ხსენებულ ისტორიულ პირს მიეკუთვნოს. სამწუხაროდ, ყველაფერი ეს ჯერჯერობით იმ მიზეზით ძნელდება, რომ ცალებს, რომელიც ამჟამად ჩვენს ხელთაა, ზედწერილის მცირე ნაწილები შერჩა და მტკიცე დასკვნის გამოტანის საშუალებას არ იძლევა.

გიორგი მესამის უწესოდ მოჭრილი სპილენძის მონეტები ორი ტიპისაა: პირველი — დემეტრეს მონეტის ვარიანტს წარმოადგენს და განსხვავდება მეფის სახელის ინიციალით. ასომთავრული დონის ნაცვლად აქ გიორგის ინიციალია ასომთავრულადვე. ამიტომ მონეტას აღარ აღვწერთ და ტაბულაზე მოთავსებული № 40 მისი გამოსახულებით დავკმაყოფილდებით.

გიორგი III-ის ასევე უწესოდ მოჭრილ № 41 მეორე ტიპის სპილენძის მონეტის შ უ ბ ლ ზ ე ხვეული ხაზებისაგან შემდგარი ვარდულის ცენტრში მოთავსებულია გიორგის ასომთავრული ინიციალი, ვარდულის ბუდეებში არაბულად წერია: „მეფეთა მეფე გიორგი, მესიის მახვილი," ხოლო ზ უ რ გ ზ ე — ხვეული ვარდულის ბუდეებში არაბულად წერია: „ალ მუკტაფი დიამრ ალლაჰ, მართლმორწმუნეთა მბრძანებელი".

XII საუკუნის ქართულ მონეტაზე უცხო მფლობელთა სახელების გაჩენასა და არაბული წარწერის ხმარებას ზოგი მკვლევარი ქართველ მეფეთა ამ მფლობელებისაგან დამოკიდებულებით ხსნიდა.

აკადემიკოსმა ი. ჯავახიშვილმა ეს მოსაზრება უარყო და განმარტა, რომ მსგავსი ღონისძიებანი ტარდებოდა მეზობელ მუსლიმანურ ქვეყნებში ქართული ფულის გავრცელების საჭიროებითო. ქართველ მეცნიერს მხარს უჭერენ რუსი ნუმიზმატი პროფ. ა. ბიკოვი და ინგლისელი ქართველოლოგი პროფ. დ. ლანგი.

უწესოდ მოჭრილი მონეტის გამოშვება და ამ მონეტებისათვის უჩვეულო ფორმის მიცემა იმ ვერცხლის კრიზისის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს, რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი.

მალე უწესოდ მოჭრილ მონეტებთან ერთად ჩნდება კანონზომიერი მრგვალი ფორმისა და დაახლოებით ერთი ზომისა და წონის მონეტები, რომლებიც ეტყობა, ვერცხლის მაგივრობას სწევდა.

მხედველობაში რომ არ მივიღოთ გვირგვინოსანი მხედრის გამოსახულებიანი, დავითის სახელით აღბეჭდილი ზემოხსენებული მონეტა. პირველი ასეთი, უკვე „წესიერად მოჭრილი“ მონეტა გიორგი მესამის დროს ჩნდება.

ამ მონეტის შუბლზე გამოსახულია სამეფო სამოსელში გამოწყობილი გიორგი III, რომელიც ფეხმორთხმით პირდაპირ ზის. მარჯვენა (ზოგჯერ მარცხენა) ხელი დოინჯშემოყრილია, ხოლო მეორე გაწვდილ ხელზე შევარდენი უზის. მონეტის არეზე გაფანტულია ქართული წარწერა, რომელიც იუწყება მეფის სახელს (შემოკლებულად — გი) და 394 ქორონიკონს, რომელიც 1174 წელს უდრის. ზურგზე სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: „მეფე მეფეთა გიორგი, ძე დემეტრესი, მესიის მახვილი“ (იხ. № 42). ამ მონეტის ქართული ზედწერილის ასოთა განლაგება კომპოზიციურად დაკავშირებულია გამოსახულებასთან და, ალბათ ამიტომაა, რომ მეფის სახელის აღმნიშვნელი ასოები გადმოცემულია მხედრული ნიშნებით და მეორდება ასომთავრული მონოგრამით.

ქართულ ნუმიზმატიკაში მხედრული დამწერლობის პირველ მაგალითს გიორგი მესამის ეს მონეტა იძლევა. გარდა ამისა, კვლავ ჩნდება თარიღი, რომელიც X საუკუნის შემდეგ ქართულ მონეტებზე აღარ თავსდებოდა, მაგრამ ახლა იგი ქართული ქორონიკონითაა აღნიშნული და მოჭრისა და გამოშვების დროს კი აღარ აღნიშნავს, არამედ თვით მონეტის ტიპის დამტკიცების დროს. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველგვარი ცვლილებების გარეშე იმავე თარიღის შემცველი მონეტა ამა თუ იმ მეფის მფლობელობის ზოგჯერ მთელ მანძილზე იჭრებოდა. ასეთი წესიერი და უწესო მონეტების პარალელური გამოშვება წარმოებდა გიორგი III დროიდან რუსუდანის მმართველობაში მომხდარ სამონეტო რეფორმამდე.

საფიქრებელია, რომ „წესიერად მოჭრილი“ მონეტები, რომლებსაც განსაზღვრული საშუალო წონა და მრგვალი ფორმა ჰქონდა, „დრამის“, ანუ ვერცხლის ფულის ფუნქციას ასრულებდა და აღებ-მიცემობის დროს ღებულობდნენ თვლისა და არა წონის ანგარიშით. ამრიგად, მათ შეცვალეს მიმოქცევიდან გამქრალი ვერცხლის ფული, რაც დასტურდება იმდროინდელი წერილობითი წყა-

ოლებითაც. აღმოსავლურ ქვეყნებში მიღებული იყო ვერცხლის მონეტების შემდეგი წესით „დახურდავება“: თუ მცირე ნომინალები არ იყო, ვერცხლის მონეტას თანაბარ ნაწილებად ჭრიდნენ. ამ წესით XII-XIII საუკუნეებში ქართული ფულის „დახურდავების“ მაგალითებს იძლევიან ნახევარ ან ოთხ თანაბარ ნაწილად გაჭრილი თამარისა და რუსუდანის წესიერად მოჭრილი ცალები. ის გარემოება, რომ მონეტების გადანაჭერი ადგილები და ნახევრებისა და მეოთხედების დანარჩენი ნაწილები თანაბრად არის დაფარული ჟანგით, მოწმობს, რომ მონეტების ასეთი წესით „დახურდავება“ ძველადვე ხდებოდა.

გიორგი მესამის მმართველობის უკანასკნელ დროს, როდესაც მან თავისი ასული თამარი თანამოსაყდრედ გამოაცხადა, ეკუთვნის უწესოდ მოჭრილი შემდეგი ტიპის სპილენძის მონეტა:

№ 43. მონეტის შ უ ბ ლ ი: გრეხილორნამენტოვანი ნაკვთებით გამოყვანილი ექვსბუდიანი ვარდულის ცენტრში გიორგის სახელის დაქარაგმებული ასომთავრული ორი ნიშანია — „გ-ი“. ვარდულის გარე ბუდეებში ასომთავრულივე ზედწერილია: „ადიდენ ღმერთმან მეფეთა მეფე“;

ზ უ რ გ ი: ასეთივე. ოღონდ რვაბუდიანი ვარდულის ცენტრში თამარის ასომთავრული ინიციალია, ან მისი სახელის სხვადასხვანაირი დაქარაგმება — „თრ“, „თმრ“ ან „თმ“. ვარდულის გარე რვა ბუდეში მოთავსებულია ასომთავრულივე ზედწერილი: „ადიდენ ღმერთმან მეფე და დედოფალი“.

ეს მონეტა, რომელზედაც მხოლოდ და მხოლოდ ქართული წარწერებია, ქართულ ნუმიზმატიკაში ამ მხრივ ერთ-ერთ იშვიათ მაგალითს წარმოადგენს და იმდროინდელ სხვა ნიმუშებთან შედარებით ნაკლები რაოდენობით არის შემონახული. განსაკუთრებით იშვიათი და საინტერესოა ამ ტიპის მსხვილი ცალები, რომლებმაც გარშემოვლებული ზედწერილების ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ფრაგმენტები შეინარჩუნეს. ზედწერილების მართებული შინაარსის აღდგენა, რა თქმა უნდა, გაცილებით უფრო ადვილად მოხერხდება, თუ გადარჩენილია ზედწერილის მნიშვნელოვანი ნაწილი.

მონეტას თარიღი არ აწერია და, ვინაიდან გიორგის სახელის

მქონე თამარის თანამედროვე სამი ისტორიული პირია (მამა, პირველი მეუღლე და ძე), მონეტის ზუსტი განსაზღვრა და ამა თუ იმ გიორგისადმი მიკუთვნების საკითხი ერთ ხანს აზრთა სხვაობას იწვევდა. უმრავლესობა ამ მონეტას დედოფლის პირველ მეუღლეს გიორგი რუსს მიაკუთვნებდა. მაგრამ ზოგიერთი დამატებითი ნიშნები და ანალოგიები საშუალებას გვაძლევს, გავარკვიოთ ეს საკითხი. დღეს ფიქრობენ, რომ მონეტის მომჭრელი თამარის მამა, მეფეთა მეფე, გიორგი მესამე უნდა იყოს.

უშუალოდ თამარის სახელით აღბეჭდილი უწესოდ მოჭრილი სპილენძის მონეტა შემდეგი ტიპისაა: შ უ ბ ლ ზ ე: წნულ ორნამენტოვანი ჩარჩოს ცენტრში მოთავსებულია თამარის ხელრთვა. გარშემო დაქარაგმებული ასომთავრული ზედწერილია: „სახელითა ღმრთისადთა იქნა ჴედაჲ ვერცხლისი ამის ქორონიკონსა 407" (=1187 წ.);

ზ უ რ გ ზ ე: შემორკალული ხუთსტრიქონიანი არაბული ზედწერილი „დედოფალი დიდებული, შვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, თამარ, ასული გიორგისა, მესიის თაყვანისმცემელი, განადიდოს ღმერთმან ძლევანი მისნი". რკალის ირგვლივ არაბულადვე გარშემოვლებულია მეორე ზედწერილი: „განადიდოს ღმერთმან დიდება მისი, განაგრძოს ჩრდილი მისი და განამტკიცოს კეთილდღეობა მისი". (იხ. № 44).

მონეტის ცენტრში ჩასმული ამ სახის ხელრთვა-ვეშზელი ძალიან ემსგავსება დედოფლის საკუთარ ხელისმოწერას, ე. წ. ფაქსიმილეს, მოთავსებულს ვანის სახარებაზე.

ასეთივე ტიპის სხვა ვარიანტებზე ხშირია 430 ქორონიკონი (=1210 წელი). საერთოდ, ეს სამონეტო ტიპი მეტად გავრცელებულია; ცნობაში მოყვანილმა ამ მონეტების საერთო რაოდენობამ ათასეულებს გადააჭარბა და ამიტომ ნაირ-ნაირი ვარიანტების რაოდენობაც სათანადოდ მრავალრიცხოვანია. ზოგი მათგანი ხშირი და გავრცელებულია, ზოგიც მხოლოდ რამდენიმე ცალად არის ცნობილი.

ამ სამონეტო ტიპის ვარიანტთა დიდი რაოდენობა საკვლევით ბუნებრივია: მონეტის გამოშვების ტირაჟი, ე. ი. მოჭრილი ცალების

რაოდენობა ყველა ნიშნის მიხედვით უამრავი ყოფილა და მათ დასამზადებლად სათანადო რაოდენობის სიქებიც (შტამპები) იყო საჭირო. უეჭველია, რომ ყოველი ახალი შტამპის, ანუ სიქის ამოჭრის დროს. უკვე გამოყენებულ ძველ სიქასთან შედარებით, ხელოსანს ესა თუ ის ცვლილება შეჰქონდა. ადგილის დაზოგვის გამო, ყველა ამ წვრილმან ვარიანტს აქ უკვე აღარ აღვწერთ.

ფულის ორნაირი წესით პარალელურად მოჭრის ტრადიცია თამარმაც განაგრძო და წესიერად მოჭრილი სპილენძის მონეტების ძალიან დიდი რაოდენობა დაგვიტოვა.

ამ მონეტის შ უ ბ ლ ი ს ცენტრში მოთავსებულია ნაკვთი, რომელიც ბაგრატიონთა საგვარეულო ნიშანს უნდა წარმოადგენდეს; მარცხნივ და მარჯვნივ ასომთავრულად დაქარაგმებული თამარის და დავითის სახელებია. კუთხეებში უზის ასომთავრულადვე გადმოცემული ქორონიკონი 420 (=1200 წ.).

ზ უ რ გ ზ ე — ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: „დედოფალი დედოფალთა, შვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, თამარი. ასული გიორგისა, მესიის თაყვანისმცემელი“ (იხ. № 45).

საინტერესო და შინაარსიანია მონეტის ზურგზე მოთავსებული არაბული ზედწერილი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ თამარს ახსენებს და ადიდებს. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს დედოფლის მეუღლე დავით სოსლანი უკვე ტახტის მემკვიდრე ლაშა გიორგის მშობელი იყო, ის აქ სრულიად არ არის მოხსენებული. აქედან უდავო ხდება, რომ, რაკი თამარის მეორე მეუღლეს, დავით სოსლანს, საქართველოს მეფისა და დედოფლის თანაბრობის პრეტენზია არ ჰქონია. თამარისა და გიორგის სახელით აღბეჭდილ მონეტაზე მოხსენებული სახელიც. რა თქმა უნდა, არ შეიძლება თამარის პირველ მეუღლეს ეკუთვნოდეს.

გაცილებით ნაკლები რაოდენობით შემოგვრჩა ასეთივე სამონეტო ტიპის ვარიანტი, რომელსაც თარიღი არ ახლავს. ვინაიდან ეს სახესხვაობა უკვე აღწერილი მონეტისაგან მხოლოდ ამ დეტალით განსხვავდება, მის გამოსახულებასა და აღწერილობას უკვე არ დავურთავთ. ამ უკანასკნელი მონეტის ზურგზე მოთავსებული არაბული ზედწერილი სტრიქონიდან სტრიქონზე სიტყვების გადატანის ორ ვარიანტს იძლევა.

ერთიმეორისაგან შესამჩნევად განსხვავებული სამონეტო ტიპის გამოშვების განმგრძობი გიორგი ლაშაც იყო. მისი სპილენძის მონეტები თამარის მონეტების მსგავსად იჭრებოდა, ოღონდ აქ მონეტის შ უ ბ ლ ზ ე წნულ ორნამენტოვან ჩარჩოს ცენტრში მოთავსებულია ასომთავრული ზედწერილი „გიორგი ძე თამარისი". ჩარჩოს შეშოვლებული აქვს ისეთივე ზედწერილი, როგორიც ზემოაღწერილ თამარის უწესოდ მოჭრილ 430 ქორონიკონიან (1210 წელი) მონეტას.

ზ უ რ გ ი: შემორკალული ოთხტრიქონიანი არაბული ზედწერილი: „მეფე მეფეთა, მშვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, გიორგი ძე თამარისა, მესიის მახვილი", რომელსაც გარშემოვლებული აქვს სპარსული ზედწერილი: „სასელითა უწმინდესის ღვთისა იჭედა ესე ვერცხლი წელსა 430" (იხ. № 46).

დიდ იშვიათობას წარმოადგენს ამ ტიპის ე. წ. „ფიგურული ცალები", ესე იგი მონეტები, რომლებსაც მოჭრამდე განსაკუთრებული განსაზღვრულ მოხაზულობა-კონტურს აძლევდნენ; მაგალითად: ნალისა, ფრინველისა, თევზისა, ალამის თავისა და სხვ.. ასეთი „ფიგურიანი" ცალები ჩვეულებრივ სპილენძის მოზრდილი ფირფიტებისაგან მზადდებოდა (უწესოდ მოჭრილი ლაშა გიორგის მონეტების წონა 1,5—200 გ. შუა მერყეობს).

ლაშა გიორგის სახელით აღბეჭდილი უწესოდ მოჭრილი მონეტებიც ძალიან ხშირია; ცნობაში მოყვანილ ამ მონეტათა საერთო რაოდენობაც ათასებით განისაზღვრება. ასეთი მონეტების პარალელურად, მაგრამ გაცილებით ნაკლები რაოდენობით ჩნდება მისივე წესიერად მოჭრილი № 47 სპილენძის ნიმუშები, რომელთა შუბლის მთელი არე დაკავებული აქვს ოთხსტრიქონიან ასომთავრულ ზედწერილს: „ქ. გიორგი მეფისა, თამარის ძისასა, ჯავახთ უფლისა". ხოლო ზურგისა — ოთხსტრიქონიან არაბულ ზედწერილს: „მეფე უმაღლესი, შვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, გიორგი ძე თამარისა, მესიის მახვილი".

ასეთივე წესიერად მოჭრილ მონეტათა კატეგორიას ეკუთვნის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული ლაშა გიორგის მონეტის უნიკალური ნიმუში.

№ 48. წონა — 5.60 გ., დიამეტრი — 23-24 მმ. მონეტის შუბლი: მთელი ტანით პირდაპირ მდგომი გვირგვინოსნის გამოსახულება ალმით მარჯვენასა და გაურკვეველი საგნით — მარცხენა ხელში. გამოსახულების მარცხნივ და მარჯვნივ შერჩენილია რამდენიმე ასომთავრული ნიშანი, რომელიც იკითხება: „გიორგი ძე თამარისა... ოცდა ათს“.

ზურგი: შემორკალული ვარდულის ოთხ ფურცელში მოთავსებულია არაბული წარწერა: „წელსა ექვსას ექვსსა“ (1209—1210). ფურცლებს შორის სეგმენტებში აღბეჭდილია მეორე არაბული ზედწერილი: „მეფეთა მეფე გიორგი, ძე თამარისა, მახვილი მესიისა“.

ლაშა გიორგის დროიდან ქართულ მონეტებზე ჩნდება ერთი ფრიად საინტერესო დეტალი: თავისი შთამომავლობის აღსანიშნავად ის ახსენებს თამარის, ესე იგი დედისა და არა მამის სახელს. ასეთივე წარწერა მეორდება რუსუდანის მონეტებზედაც, რის შემდეგ ორიგინალური და უნიკალური ეს მოვლენა ჩვენში ქრება.

გიორგი III-ის, თამარის, ლაშა გიორგის და რუსუდანის მონეტები ძალზე ფართოდ გავრცელებული ყოფილა. ამ მონეტების ცალკეული ცალები ისევე როგორც ზოგჯერ ფულადი განძები, უბვად აღმოჩნდა საქართველოს მიწა-წყალზე, მისი ყმადნაფიცი ქვეყნებისა და ზოგჯერ მეზობელ სახელმწიფოთა ტერიტორიაზე.

აქვე შევეხებით მონეტას, რომელიც უცხო მფლობელის სახელით არის აღბეჭდილი, მაგრამ ამ სახელის მქონე ისტორიულმა პირმა ჩვენს წარსულზე წარუხოცელი კვალი დატოვა და ფულს თბილისის ზარაფხანაში ჭრიდა. ეს იყო ჯალალ ედ-დინი. ამიტომ ქართულ ნუმიზმატიკასთან ამ ნიმუშს მჭიდრო კავშირი აქვს.

რუსუდანის მმართველობის დროს ჩვენმა ქვეყანამ ბევრი უბედურება განიცადა: ჯერ კიდევ მონღოლთა საბედისწერო შემოსევამდე ბაგრატიონთა აყვავებული სახელმწიფოს საფუძვლები ჯალალ ედ-დინის უეცარმა თავდასხმამ შეარყია.

მონღოლთა ძლევამოსილი შეტევის შედეგად საკუთარი სამშობლოდან განდევნილმა ხვარაზმის უფლისწულმა ჯალალ ედ-დინმა თავისი ლაშქრის ნაშთებით სპარსეთი დაიმორჩილა და ბო-

ლოს საქართველოს საზღვრებს მოაღწია. დაიპყრო მთელი მისი აღმოსავლეთი ნაწილი თბილისითურთ და რუსუდან დედოფალი მთელი სამეფო კარით იმერეთს გააქცია. გამარჯვებულ მტერს ხელთ ჩაუვარდა უზარმაზარი დავლა და მთელი სახელმწიფო ხაზინა; მტრის ხელში ჩავარდნილი ქართული ფულის მთელი მარაგი ზარაფხანაში ხელმეორედ გადამუშავდა; ქართულ მონეტებზე ახალი სიქის დარტყმით ჯალალ ედ-დინმა ისინი საკუთარ მონეტებად აქცია.

ამ ძალზე გავრცელებული, ახლად გადაჭედილი სპილენძის მონეტის შ უ ბ ლ ზ ე მოთავსებულია ორსტრიქონიანი არაბული ზედწერილი — „სულტანი უზენაესი", შემოვლებული მეორე არაბული ზედწერილით: „იჭედა ესე დირჰემი წელსა ექვსას ოცდასამსა" (=1226 წელი); ზ უ რ გ ზ ე დ ა ც ორსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: „ჯალალ ად დუნია ვედდინ" შემოვლებულია მეორე არაბული ზედწერილით: „განადიდოს ღმერთმან დიდება მისი, განაგრძოს ჩრდილი მისი და განამტკიცოს კეთილდღეობა მისი".

ხშირია შემთხვევები, როდესაც ჯალალ ედ-დინის სიქის ქვეშ შერჩენილია ლაშა გიორგისა და თამარის ფულის წარწერათა დაუზიანებელი ნაწყვეტები. უფრო იშვიათია შემთხვევები, როდესაც გიორგი მესამისა და დემეტრე პირველის მონეტის დეტალებიც მეღავნდება.

ჯალალ ედ-დინის მონეტათა შორის იშვიათი ვარიანტებიც არის ცნობილი; მაგალითად. სულ ორი ან სამი ცალია, რომელზედაც შუბლის გარშემოვლებული ზედწერილი გადანაცვლებულია მონეტის ზურგზე და პირიქით (ტაბულაზე მოცემული № 49 სწორედ ამ ვარიანტს ეკუთვნის).

საქართველოში ჯალალ ედ-დინის თარეში ხანგრძლივი არ იყო. სულ მალე ის საქართველოდან გააძევეს და რუსუდან დედოფალი თავისი კარით თბილისს დაუბრუნდა. მაგრამ, სანამ ეს მოხდებოდა. სამი წლით ადრე რუსუდანის სახელით აღბეჭდილი სპილენძის ფული გაჩნდა. რუსუდანის დროს მონეტის მოჭრის საქმეში ორი თვალსაჩინო ცვლილება მოხდა:

1. შეწყდა უწესოდ მოჭრილი მონეტების გამოშვება და

2. სულ მალე ვერცხლის ფულიც გაჩნდა.

მართალია, ეს ეგრეთ წოდებული „წესიერად“ მოჭრილი მონეტა დაკანონებულ ზომასა, წონასა და მოყვანილობას ყოველთვის მტკიცედ არ ინარჩუნებს და ზოგჯერ კუთხოვან ფირფიტებზეა გამზადებული (წონა 1 — 16,0 გ. შორის მერყეობს), მაგრამ გამოშვებული პროდუქციის ძირითადი ნაწილი მაინც არ არღვევს ახლად შემოღებულ პრინციპს. ამ მონეტის შ უ ბ ლ ი ს მთელი არე რთულ ორნამენტულ ჩარჩოს უკავია, რომლის ცენტრში მოთავსებულია რუსუდანის დაქარაგმებული სახელი, ხოლო ორნამენტის ბუდეებში თარიღია — „ქორონიკონსა 447“ (=1227 წ.).

ზ უ რ გ ი: ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: „დედოფალი მეფეთა და დედოფალთა, შვენება ქვეყნისა, სამეფოსი და სარწმუნოებისა, რუსუდან, ასული თამარისა, მესიის თაყვანისმცემელი, განადიდოს ღმერთმან ძლევანი მისნი“ (იხ. № 50).

ამ ტიპის მონეტა ისეთი დიდი რაოდენობით არის გამოშვებული, რომ ცნობაში მოყვანილ სახესხვაობათა დაწვრილებით აღწერას სპეციალური წიგნი დასჭირდებოდა. მხატვრულად და ფაქიზად შესრულებული ნიმუშებიდან მოკიდებული, ვიდრე უხეშად და ზოგჯერ ბარბაროსულად დამახინჯებულ ცალებამდე, ეს უზარმაზარი ბასალა მონეტის ნაკეთობის ყველა საფეხურს შეიცავს. ყოველივე ეს საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ თარიღი, რომელიც პირველად მონეტაზე 1227 წელს გაჩნდა უცვლელად რჩება რუსუდანის დედოფლობის ბოლომდე და სულ უკანასკნელ მონეტებსაც ისეთივე თარიღი უზის, როგორც პირველებს.

ზემოთ უკვე ნათქვამი გვქონდა, რომ თითქმის ერთნახევარი საუკუნის მანძილზე ქართული ვერცხლის ფული გაქრა. მეზობელ აღმოსავლურ ქვეყნებში ამავე დროს გაჩენილი ვერცხლის დირჰემის მსგავსად, ჩვენში ამ დროს შემოღებული დრამაც ნორმალური წონისა იყო (2,35-2,70 გ შორის მერყეობს) და კარგი ხარისხის ვერცხლისაგან იჭრებოდა. რუსუდან დედოფლის დრამის შ უ ბ ლ ზ ე მოთავსებულია ქრისტეს წელზედა გამოსახულება ირგვლივ განლაგებული ასომთავრული ზედწერილით: „სახელითა ღვთისათა იჭედა ქორონიკონსა 450“ (1230 წ.). ზ უ რ გ ზ ე — რთული ორნა-

მენტული ჩარჩოს ცენტრში მოთავსებულია რუსუდანის დაქარაგმებული სახელი „რ-ს-ნ“. გარშემოვლებული არაბული ზედწერილით — „დედოფალი დედოფალთა, მშვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, რუსუდან ასული თამარისა, მესიის თაყვანისმცემელი. (იხ. № 51).

ამ მონეტის ვარიანტთა სიმრავლის მიუხედავად უშუალოდ თვითონ ნიმუშები არც ისე ხშირად გვხვდება და საკმაო იშვიათობას წარმოადგენს, ბევრად უფრო იშვიათია სულ რამდენიმე ცალად ცნობილი ამ მონეტის წილადები — ნახევარდრამიანები, რომლებიც აღწერილისაგან განსხვავდება შესაბამისად მცირე ზომითა და წონით (1.25-1,30 გ.) და მონეტის შუბლისა და ზურგის გარშემოვლებული ზედწერილის უქონლობით (იხ. № 52).

ქართული ნუმიზმატიკის ამ მონაკვეთზე მსჯელობა არასრული იქნებოდა, თუ არ მოვიყვანდით რამდენიმე მოკლე ცნობას დამღების შესახებ. ქართულ ფულზე ეს დამღები ანუ კონტრომარკები XII საუკუნის უკანასკნელ ოცწლედში გაჩნდა და განსაკუთრებით XIII საუკ. პირველ მეოთხედში მიიღო გავრცელება.

სპეციალური პუნსონის საშუალებით მონეტაზე დანაბეჭდის, ანუ კონტრომარკის დარტყმა, მონეტის რაიმე მიზნით დადამღვა, უძველესი დროიდანვე იყო მიღებული. სხვადასხვა დანიშნულებისა და შინაარსის ასეთი დამღადაკრული ძველი ბერძნული და რომაული მონეტები საკმაო რაოდენობით არის გადარჩენილი. დამღის დაკვრა ადრინდელ ბიზანტიურსა და სასანურ მონეტებზე უკვე ნაკლებად არის მიღებული, ხოლო ომაიანთა და აბასიანთა არაბეთში ეს წესი გავრცელებული არა ჩანს. მონეტის დადამღვას სხვადასხვა დანიშნულება ჰქონდა: ან წინამორბედების მიერ გამოშვებულ და უკვე ბრუნვიდან გამოსულ, ასე ვთქვათ, „მკვდარ“ მონეტას, რომელსაც თავის დროზე უდამღოდაც განსაზღვრული ფასი ჰქონდა, ამ უბრალო ხერხით ბრუნვის უნარს უბრუნებდნენ, ან უცხოურ მონეტას დამღავდნენ, აქცევდნენ საკუთარ ფულად. ცხადია, რომ წმინდა ეკონომიური მოსაზრებებით გამოწვეული დადამღვის ეს მარტივი და უბრალო ხერხი საგრძნობლად ამცირებდა მონეტის გამოშვების ხარჯებსაც.

XII საუკუნის დასასრულს ჩვენში შემოღებული დადამღვის წესი მონეტათა ორივე ჯგუფზე ვრცელდებოდა: უწესოდ მოჭრილი მონეტებისათვის ერთი სახის განსაკუთრებულ პუნსონებს ხმარობდნენ, ხოლო წესიერად მოჭრილი მონეტებისათვის — მეორე სახისას. დარღვევა ძალიან იშვიათ შემთხვევაში ხდებოდა და, ალბათ, უბრალო ტექნიკური მიზეზით აიხსნება. ძველ საქართველოში მონეტათა დადამღვის ხმარების ქრონოლოგიური ჩარჩოების აღდგენა ძნელეს არ წარმოადგენს, რადგან ეს წესი ხანგრძლივი არ ყოფილა; უმთავრესად დადამღულია თამარის, ლაშა გიორგისა და რუსუდანის მონეტები. დემეტრე პირველის, გიორგი მესამისა და დავით ნარინის მონეტების დადამღვის შემთხვევები ძალიან იშვიათია.

ერთ და იმავე მონეტას ხშირად ორ სხვადასხვა დამღას არტყამდნენ; ამგვარი მონეტების მიხედვით შესაძლებელი ხდება სხვადასხვა დამღის ხმარებაში შემოღების თანამიმდევრობის დადგენა. რადგან გვიან შემოღებული დამღა ადრინდელს ჟეჟავს ან სრესს.

დამღების შესახებ, არსებითად, აქ მხოლოდ ზოგადი ცნობებია მოყვანილი.

ასეთია, საერთოდ, ძალიან მოკლე და ზოგადი ცნობები XII საუკუნის დასასრულისა და XIII საუკუნის დასაწყისის ქართულ მონეტებზე დარტყმული დამღების შესახებ. ამ დამღების შინაარსის გახსნა და განმარტება, მათი მნიშვნელობისა და დანიშნულების გამორკვევა მეცნიერების უპირველეს ამოცანას წარმოადგენს.

ქართული ნუმიზმატიკური მემკვიდრეობის ეს განაკვეთი მთავრდება მონღოლთა შემოსევის წინა პერიოდში მოჭრილი მონეტებით.

XIII საუკუნის ქართველ მეფეთა სახელით აღბეჭდილი და XIII-XIV საუკუნეების ქართულ-მონღოლური მონეტები

ამ არსებითად ორი სხვადასხვა სერიის მონეტათა ერთ განაკვეთში გაერთიანება დასახული სქემის ერთგვარი დარღვევაა, რაც გამოწვეულია მასალის ქრონოლოგიური თანმიმდევრობის საჭიროე-

ბით. სხვანაირი განლაგება ხშირ განმეორებას გამოიწვევდა და საგრძნობლად გაართულებდა საგნის ათვისებასაც.

მონღოლთა შემოსევამ ჩვენს ქვეყანას გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა. თითქმის ორნახევარ საუკუნეს იბრძოდა ქართველი ერი თავისი დამოუკიდებლობისა, თავისუფლებისა და კულტურის შესანარჩუნებლად. საქართველო ჯერ დიდ ყაენებს ექვემდებარებოდა, ხოლო შემდეგ, 1256 წლიდან, სპარსეთის ელხანთა გავლენის სფეროში მოჰყვა და უარეს პირობებში ჩავარდა.

ჩრდილოეთით რუსეთმა, ხოლო სამხრეთით იმ დროს ჯერ კიდევ ძლიერმა საქართველომ საგრძნობლად შეასუსტეს მომთაბარე დამპყრობლების შემოტევა და ფასდაუდებელი დახმარება გაუწიეს დასავლეთის ქვეყნებს. მაგრამ ამ თავგანწირულმა ბრძოლამ ქართველ ერს უდიდესი ზიანი მიაყენა, — საქართველო ახალ ისტორიულ გარემოცვაში მოექცა. რამაც დაასუსტა მისი პოლიტიკური და ეკონომიური სიძლიერე და კულტურული წინსვლაც კარგა ხნით შეაჩერა.

განვლილმა მრისხანე მოვლენებმა წარუხოცელი კვალი დატოვა საქართველოს ნუმიზმატიკურ ძეგლებზე. მკვეთრად იცვლება მონეტის გარეგნობა და ზედწერილების შინაარსი; იმდროინდელი ქართული მონეტა განსაკუთრებული სიმართლით მოგვითხრობს იმ ტრაგედიაზე, რომელსაც ჩვენი ერი განიცდიდა და ამავე დროს არანაკლები სიმძლავრით ამჟღავნებს ჩვენი წინაპრების გმირულ სიდიადეს, თავგანწირულ და შეუპოვარ ბრძოლას ღირსებისა და თავისუფლების შესანარჩუნებლად.

შექმნილი პირობების შესაბამისად. პარალელურად წარმოიშვა დამოუკიდებელი და ერთიმეორისაგან სრულიად განსხვავებული მონეტების ორი სერია: 1. საკუთრივ ქართული მონეტებისა, რომლებიც ქართველ მეფეთა სახელებს გვამცნობს და 2. უცხო ნიმუშების ყაიდაზე საქართველოშივე ჭოჭრილი და უცხო მფლობელთა (ჯერ ჩინგიზიდთა, ხოლო შემდეგ ჰულაგუიდთა) სახელებით აღბეჭდილი მონეტებისა მუსლიმანური ან მონღოლური წარწერებით, რომლებსაც თავისებური ქართული იერი ახასიათებს.

ჯერ კიდევ საქართველოს გაყოფამდე გაჩენილ მონეტათა ეს

ორივე ძირითადი სახე XIII საუკუნის მთელ მანძილზე იჭრებოდა და ზოგიერთი მათი ტიპი XIV საუკუნეშიც გვხვდება.

რუსუდან დედოფლის დრამებს მოსდევს ასეთივე ზომისა და წონის, მაგრამ მხოლოდ მუსლიმანური ზედწერილებით აღბეჭდილი დრამები. პირველი ასეთი თბილისში მოჭრილი მონეტა დათარიღებულია 637 ჰიჯრით (=1239/40 წ.წ.). თარიღისა და მოჭრის ადგილის (თბილისი) გარდა მონეტის შუბლზე არაბული ზედწერილია — „ყაან სამართლიანი". აქვე მოთავსებულია მოზიდული ძშვილდის გამოსახულება (№ 53). მონეტის ზურგზე — არაბული მუსლიმანური სიმბოლო, რომელიც მაჰმადის სახელს შეიცავს.

ამის შემდეგ, სახელდობრ, ჰიჯრის 642 წელს (=1244/45 წ.წ.) თბილისური დრამის ტიპი იცვლება; მეორე ტიპის დრამის ზომა, წონა და ძირითადი ელემენტები უცვლელი რჩება, მაგრამ მშვილდს სცვლის ცხენზე მჯდომი მშვილდოსნის უფრო რთული გამოსახულება. მონეტის შუბლზე მოთავსებულია თურქული ზედწერილი — „მანგილ ულუსბეკ" (ე. ი. „მონღოლთა მხედართმთავარი"), ზურგზე — არაბულად ისეთივე მუსლიმანური რელიგიური სიმბოლოა, როგორც ზემოაღწერილზე (№ 54).

მოჭრის ადგილი (თბილისი) და თარიღი მონეტების უმრავლესობაზე ცუდად არის შერჩენილი, მაგრამ ირკვევა, რომ ამ საკმაოდ იშვიათ მონეტებს, თბილისს გარდა განჯასა, ნახჭევანსა და სხვაგან ჭრიდნენ.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ზემოაღწერილ მონეტებზე მოთავსებული ამ სახის მუსლიმანური რელიგიური სიმბოლო (სადაც მაჰმადის სახელია მოხსენებული) XIII საუკუნის თბილისური მონეტისათვის გამონაკლისს წარმოადგენს.

მეორე ტიპის დრამასთან ერთდროულად უკვე სხვა სახის სპილენძის მონეტა ჩნდება, რომელზედაც შ უ ბ ლ ი ს ცენტრში, ასომთავრულ დონის მუცელში ჩასმულია თანი, რაც დავითის სახელის დაქარაგმებას წარმოადგენს. ირგვლივ განლაგებულია არაბულ-სპარსული ზედწერილი: „მსოფლიოს მფლობელის ყაენის მონა დავით მეფე"; მონეტის ზურგზე კი ოთხსტრიქონიანი არაბულ-სპარსული ზედწერილია: „ქალაქსა დმანისს ხანგრძლივ ჰყოს იგი

ღმერთმან (წელსა) ექვსას ორმოცდა ორსა“ (=1244/1245 წლები). იხ. № 55.

ამ მონეტის შუბლის ქვედა ნაწილში ხშირად 445 ქორონიკონი არის აღნიშნული, რომელიც 1245 წელს უდრის და ზოგჯერ მონეტის ზურგის მეხუთე სტრიქონზედაც მეორდება.

645 ჰიჯრას (=1247/1248 წ.წ.) ასეთივე ტიპის მონეტა თბილისშიაც ჩნდება, მაგრამ მასზე ქართულ ქორონიკონს აღარ ათავსებენ. ვინაიდან მონეტა ზემოაღწერილისაგან მხოლოდ დასახელებული ნიშნებით განსხვავდება (მოჭრის ადგილი — თბილისი, თარიღი ჰიჯრის 645, — ქორონიკონი არ ახლავს), მას უკვე აღარ აღვწერთ.

ქართულივე ქორონიკონითაა აღბეჭდილი ამავე დავით ნარინის ვერცხლის დრამები, რომლებიც მხოლოდ თბილისის ზარაფხანის ნიშანს ატარებს.

ამ მონეტის შ უ ბ ლ ზ ე გამოსახულია გვირგვინოსანი მხედარი. ზედა ნაწილში გვხვდება: დავითის სახელის შეწიაღებული დაქარაგმება, ქართული ასომთავრულით 467 ქორონიკონი (=1247) და ექვსქიმიანი ვარსკვლავი. ზ უ რ გ ზ ე — ოთხსტრიქონიანი სპარსული ზედწერილი: „ძალითა ღვთისათა, გუიუკ ყაენის მთავრობის მონა დავით მეფე“. ზედწერილის გვერდით, მარჯვენა მხარეს, სპარსულადვე: „იჭედა თბილისს“ (იხ. № 56).

ამ მონეტის წონითი მერყეობა (2,40—2,70 გ) რუსუდან დედოფლისა და იმავდროინდელ სელჯუკიანთ დრამებისას უახლოვდება. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი მონეტები ხშირად ყოფილა დავითის დრამების მოსაჭრელად გამოყენებული, — ახალი ქართული სიქის ქვეშ ხშირად სელჯუკთა სულტნის ქაიხოსრუ მეორის (1236—1245 წწ.) დრამის შერჩენილ დეტალებს შევნიშნავთ.

თბილური დრამის ასეთივე წონა ნარინის თანამოსაყდრე ულუ დავითის დრამებმაც შეინარჩუნა; მაგრამ ულუ დავითის სამონეტო ტიპი საფუძვლიანად შეცვლილია — ქართული წარწერები აქ მთლიანად ქრება. მონეტების გარეგნული სახე ძალიან მოგვაგონებს სელჯუკიანთ დრამებს, რომლებსაც გადასაჭედად ამ შემთხვევაშიც ხმარობდნენ.

ამ მონეტის შ უ ბ ლ ზ ე ოთხსტრიქონიანი სპარსული ზედწე-

რილია: „ძალითა ღვთისათა, მსოფლიოს მანგუ ყაენის ნებითა. წელსა ექვსას ორმოცდაათსა“ (=1253—1254 წლები). ხოლო ზ უ რ გ ზ ე — სპარსულადვე ოთხსტრიქონიანი ზედწერილი: „დავით მეფე ძე გიორგისა ბაგრატიონისა, იქედა თბილისს“ (იხ. № 57).

ასეთივე დრამები ჰიჯრას 651 და 652-შიაც იჭრებოდა. ულუ დავითის და ნარინ დავითის დრამები საკმაო იშვიათობას წარმოადგენს.

XIII საუკუნის პირველ ნახევარში მოჭრილი ქართული მონეტების ზედწერილების შედარება ფრიად საინტერესო სურათს იძლევა: თამარის, ლაშა გიორგისა და რუსუდანის მონეტებზე მოთავსებული ზედწერილები შეიცავს ამაყ ტიტულებს და ამაღლებულ ეპითეტებს, მაშინ, როდესაც მათი უახლოესი მემკვიდრენი, განსაკუთრებით დავით ნარინი, დამამცირებელი ეპითეტით კმაყოფილდებიან.

ყურადღების ღირსია აგრეთვე ისიც, რომ ულუ დავითის თანამოსაყდრე, მისი მამიდაშვილი და მოსახელე — ნარინი არაფერს ამბობს თავის ძეობაზე, რადგან ის სელჯუკთა უფლისწულის ძე იყო, მაშინ, როდესაც ულუ დავითი აღიარებს, რომ ის გიორგი ლაშას ძე არის და საყოველთაოდ აცხადებს ქართველ ბაგრატიონებისაგან შთამომავლობას.

თანამოსაყდრე ორ დავითს მიეკუთვნება კიდევ ერთი ვერცხლის მონეტა, რომელიც სულ ათიოდე ცალად არის ცნობილი. მონეტაზე მხოლოდ ქართული წარწერებია და ტიპოლოგიურად წინა პერიოდის ბიზანტიურ მონეტებს ემსგავსება. შ უ ბ ლ ზ ე გამოსახულია მთელი ტანით პირდაპირ მდგომი ორი მეფე, რომლებსაც მათ შუა აღმართული ალამი უკავიათ. გამოსახულებათა გვერდით, მონეტის კიდეებზე, — დაქარაგმებულია ასომთავრული ზედწერილი; მარცხნივ — „დავით მეფე“ და მარჯვნივ — „მეფეთა მეფე დავით“.

ზ უ რ გ ი — ტახტზე მჯდომი ღვთისმშობელი, გვერდით მოთავსებულია ზედწერილი: მარცხნივ „დდი“, მარჯვნივ „ღვთსი“ ე. ი. „დედა ღვთისაჲ“ (იხ. № 58).

მიუხედავად იმისა, რომ ამ სამონეტო ტიპს თარიღი არ ახლავს,

ის სულ ორი-სამი წლის ფარგლებით თარიღდება: მონეტების გამოშვება იმ დროს უნდა მიეკუთვნოს, როდესაც აჯანყების შემდეგ დამარცხებულმა გვირგვინოსანმა ბიძაშვილებმა დავით ულუმ და დავით ნარინმა მონღოლებისაგან დასავლეთ საქართველოს შეაფარეს თავი და 1261 წლამდე ქვეყნის ამ ნაწილს ერთად განაგებდნენ. მონეტის წონა (2,3—2,9 გ) სრულიად ნორმალურია XIII საუკუნისათვის.

XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან სამონეტო ტიპების ხშირ-ხშირი შეცვლა იწყება — 652-659 ჰიჯრას (=1254—1261 წწ.) თბილისის ზარაფხანა უშვებს მანგუ ყაენის სახელით აღბეჭდილ დრამებს, ხოლო 652-654 ჰიჯრას (=1254—1257წწ.) — ასეთივე ტიპის და ამავე სახელით აღბეჭდილ სპილენძის ფელსებს. აღსანიშნავია, რომ მანგუ ყაენის სახელით აღბეჭდილი ეს სამონეტო ტიპი მხოლოდ თბილისში იჭრებოდა, საერთოდ კი მისი სახელით აღბეჭდილი სხვა ტიპის მონეტები სხვაგან იშვიათად ჩანს.

მანგუ ყაენის სახელით მოჭრილი თბილური ვერცხლის დრამის შ უ ბ ლ ზ ე მორკალულ კვადრატში მოთავსებულია სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: „მანგუ ყაენი უმაღლესი და სამართლიანი“. კვადრატსა და რკალს შორის ოთხ სეგმენტში არაბულადვე აღნიშნულია მოჭრის ადგილი — თბილისი;

ზ უ რ გ ზ ე — რკალისა და კვადრატის ასეთივე შერწყმის ცენტრში — სამსტრიქონიანი რელიგიური ფორმულაა არაბულად: „არ არს ღმერთი გარდა ღმერთისა მხოლოისა, არ ჰყავს მას თანაზიარი“ (შაჰმადი ნახსენები უკვე აღარ არის). სეგმენტებში არაბულადვე მოცემულია თარიღი, რომელიც შეიცავს არა მარტო წელს, არამედ თვესაც (იხ. № 59).

მანგუ ყაენის სახელის შემცველი თბილური სპილენძის ფელსები ისეთივეა, როგორც მისივე დრამები. ამიტომ ამ მონეტას უკვე აღარ აღვწერთ.

ამ დროიდან შემოღებული მონეტის ზუსტი და ორიგინალური დათარიღების წესი XIII საუკუნის მთელ მეორე ნახევარს შერჩა და XIV საუკუნის მიჯნამდე მიაღწია; მაგრამ, როგორც აღნიშნული იყო, ეს თარიღი მონეტის კიდეებზე (გარე სეგმენტებში) თავსდე-

ბოდა და, რადგან სიქა მონეტის დისკოს ყოველთვის არ ემთხვევა, წარწერის სწორედ ეს ნაწილი მონეტაზე მთლიანად არ ხვდებოდა. ზემოაღნიშნულისა და იმის გამო, რომ კიდეზე განლაგებული ზედწერილი ჩვეულებრივ უფრო მალე ცვდება, სრულთარიღიანი ამდროინდელი დრამები საკმაო იშვიათობას წარმოადგენს.

ამ მონეტებს მისდევს უსახელო (ანონიმური) ე. წ. „ყაანურები", რომლებიც ორ სახეობად არის ცნობილი; პირველი ტიპის ვერცხლის „ყაანურს" შ უ ბ ლ ზ ე რთული გრეხილგეომეტრიული ექვსქიმიანი ვარსკვლავი უზის, რომლის ცენტრში არაბული ორსტრიქონიანი ზედწერილია: „ყაან სამართლიანი", ხოლო ზ უ რ გ ზ ე, შემორკალულ ოთხკუთხფიგურიან ჩარჩოში, — ამდროინდელი თბილური დრამებისათვის დამახასიათებელი არაბული ზედწერილი — რელიგიური სიმბოლო, (მაჰმადი არც აქ იხსენიება). ჩარჩოებსა და რკალს შორის სეგმენტებში არაბულადვე — მოჭრის ადგილი (თბილისი) და დაწვრილებითი თარიღი (იხ. № 60).

ჩვენამდე მოღწეული ცალების მიხედვით პირველი ტიპის „ყაანურები" 660-663 ჰიჯრას (=1261—1265 წწ.) იჭრებოდა.

მეორე ტიპის „ყაანურები" ზემოაღწერილი № 60 მონეტის ზურგის დეტალებით განსხვავდება: სეგმენტებში აქ მოთავსებულია ორნამენტი, ხოლო თარიღი სიმბოლოს პირველსა და მეორე სტრიქონს შუაა. თარიღი მომცრო არაბული ნიშნებით არის გადმოცემული და 663-678 ჰიჯრის (1264—1280 წწ.) რომელიმე ერთ-ერთ წელს შეიცავს.

მანგუ ყაენის დრამების მსგავსად „ყაანურიც" თარიღის დაწვრილებით ცნობებს შეიცავს: აღნიშნულია წელი, თვე და ზოგჯერ რიცხვიც კი. მაგრამ მთლიანად შერჩენილი წარწერები აქაც იშვიათობას წარმოადგენს, რადგან ეს საჭირო ცნობა ან მონეტის კიდეზეა მოთავსებული, ან უფრო წვრილი შრიფტით არის მოცემული, რაც ადვილად იშლებოდა.

„ყაანურების" მსგავსად გაცილებით უფრო ნაკლები რაოდენობით სპილენძის ფელსებიც იჭრებოდა, რასაც როგორც შეუსწავლელ მასალას, ჯერ არ აღვწერთ; აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ გადარჩენილი ცალების საერთო რაოდენობის სიმცირის მიუხედავად, ტიპების რაოდენობა აქ უფრო მეტი ჩანს.

ზემოაღწერილი სპეციფიკური მონეტები ზუსტად ასახავენ ამ რთულ ურთიერთდამოკიდებულებას, რომელიც დასაწყისშივე დამყარდა ქართველებსა და მონღოლებს შორის. სამონეტო ტიპების ხშირი ცვლა ამჟღავნებს ერთგვარ ცვალებადობას და მერყეობას ურთიერთდამოკიდებულებაში, ხოლო მონეტათა ზედწერილების შინაარსის ისეთი ფორმის არჩევა, რომელიც ორივე მხარისათვის მისაღები გახდა, გვიჩვენებს, რომ ისინი ანგარიშს უწევდნენ ერთმანეთს.

პირველი თბილური უსახელო დრამა (№ 53), მოჭრილი XIII საუკუნის ორმოციანი წლებისათვის, იხსენიებს მხოლოდ დიდი ყაანის ტიტულს; სახელი აქ არც იყო მოსალოდნელი, რადგან მონღოლთა კარზე ამ დროს უთანხმოება და ბრძოლა სუფევდა 1244/45წწ. ამ დრამას ცვლის ულუსბეკის — მონღოლთა მხედართმთავრის — დრამები (№ 54). ორივე თბილური სამონეტო ტიპის მოჭრას, როგორც ჩანს, ადგილობრივი მონღოლური ადმინისტრაცია ანსორციელებდა. ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ მონეტებზე მოთავსებული მუსლიმანური სიმბოლო ამ შემთხვევაში შეიცავს მაჰმადის სახელს.

მაგრამ იმავე 1244/45 წწ. უკვე დმანისში და არა თბილისში იწყება დავით ნარინის სახელით (№ 55) სპილენძის მონეტის გამოშვება. რადგან თვითონ დავით ნარინი ამ დროს შორეულ ყარაყორუმში იმყოფებოდა, მონეტას ალბათ საქართველოში დარჩენილი მისი მომხრენი და დედა რუსუდან დედოფალი ჭრიდნენ. მონეტაზე დავითი „დიდი ყაანის მონად“ არის აღიარებული. ყარაყორუმიდან დაბრუნების შემდეგ, სახელდობრ 1247 წელს დავით ნარინი ჭრის თბილისში სპილენძის მონეტას და ვერცხლის დრამას (№ 56) ყაანის სახელის მოხსენიებით.

ნარინის თანამოსაყდრედ და საქართველოს უფროს მეფედ დანიშნული ლაშა გიორგის ძე ულუ დავითი № 57 დრამების მოჭრას იწყებს მხოლოდ 1253 წლიდან, „უმცროს“ მეფე ნარინ დავითზე უფრო გვიან. დამახასიათებელია აგრეთვე, რომ ულუ დავითის დრამებზედაც მოხსენებულია საქართველოდან საგრძნობი მანძილით დაშორებული დიდი ყაანი და არა მონღოლთა ჰელისუფლების

ადგილობრივი წარმომადგენელი, რომელსაც საქართველოზე მბრძანებლობის პრეტენზია ჰქონდა.

1256 წლიდანაც კი, როცა სპარსეთის ელხანები საქართველოს უშუალო მბრძანებლებად იქცნენ და მონეტებზე საქართველოს მეფის სახელი დროებით ქრება, მდგომარეობა ამ მხრივ უცვლელი რჩება: 1254 წლიდან 1260 წლამდე იჭრება მონეტები „დიდი და სამართლიანი მანგუ ყაანის" სახელით (№ 59), ხოლო 1259 წლის შემდეგ, 1280 წლამდე, კვლავ უბრუნდებიან უსახელო მონეტის გამოშვებას და უშვებენ ე. წ. „ყაანურებს", რომლებზედაც აღნიშნულია „სამართლიანი ყაანის" ტიტული (№ 60).

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ იმდროინდელ თბილურ მონეტათა გარკვეული ნაწილი გამოირჩევა წარწერების ზოგიერთი დამახასიათებელი უსწორობით. განსაკუთრებით საინტერესოა, რომ მონეტაზე აღბეჭდილი მუსლიმანური რელიგიური სიმბოლო ისეა ფორმულირებული, რომ მაჰმადის სახელს არ შეიცავს. სპარსეთის ელხანის სახელი ქართულ მონეტაზე მხოლოდ 1280 წლიდან ჩნდება. მაგრამ ამ შემთხვევაშიც ქართულ მონეტას ისეთი სახე ეძლევა, რომ მისი ქართული წარმოშობა თვალნათლივ ჩანს: წესად ქცეულ მუსლიმანურ სარწმუნოებრივ სიმბოლოს ქართველები უპირისპირებენ წარწერას, რომელიც შეიცავს ქრისტიანულ ლოცვას, ამის შედეგად უცხოური ზედწერილის მიუხედავად, ეს ქართული მონეტები მკაფიოდ გამოირჩევიან უცხო სინქრონული სხვა მონეტებისაგან.

680 ჰიჯრის დაწყებისთანავე (=1281/82 წწ.) მონეტის ტიპი კვლავ იცვლება, ჩნდება ფრიად თავისებური და ორიგინალური, ეგრეთ წოდებული ქართულ-ჰულაგუიდური ვერცხლის დრამები, რომლებმაც XIII საუკუნის მიჯნამდე მოაღწიეს.

ასეთი მონეტის შ უ ბ ლ ზ ე აბაყა ელხანის (1265—1282) სახელის შემცველი ოთხსტრიქონიანი მონღოლური წარწერაა.

ამ სახელის გარდა ასეთ მონეტებზე გვხვდება აჰმედის (1282—1284), არღუნის (1284—1291), ქეღათუს (1291—1295), ბაიდუსი (1295) და ყაზან ყაენის (1295—1304) სახელებიც. აჰმედის შემდეგ ელხანთა სახელი ზედწერილის ბოლოში არაბულადაც არის ამოტვიფრული.

ზ ურ გ ზ ე. შემორკალულ კვადრატში. ოთხ სტრიქონად განლაგებულია არაბულად გადმოცემული ქრისტიანული ლოცვა: „სახელითა მამისაჲთა. და ძისაჲთა. და სულისა წმინდისაჲთა. ღვთისა ერთისა“ და ქრისტიანულივე ემბლემა — ჯვარი. დაწერილებითი თარიღი აქაც კვადრატსა და რკალს შორის დარჩენილ სეგმენტებში თავსდება (იხ. № 61).

XIII საუკუნის მეორე ნახევრის დრამების წონა თავდაპირველად არ სცილდებოდა რუსუდანის დროს დაწესებულ ნორმებს. მაგრამ XIII საუკუნის ბოლოსათვის მკლავნდება წონის თანდათანობითი დაცემის ტენდენცია. პარალელურად თანდათან ეცემა ტექნიკურ-მსატვრული შესრულებაც, შეიმჩნევა მოკრის დაუდევრობა და სინჯის დაკლება, წარწერათა დამახინჯება. განსაკუთრებით თარიღისა.

უკანასკნელ დრომდე ნუმიზმატიკურ ლიტერატურაში ამ მონეტებს „საქართველოსათვის მოკრილ“ ან „ქრისტიანულ-ჰულაგუიდურ“ დრამებს უწოდებდნენ. ასეთ განსაზღვრას ფულის მოკრის ადგილისა და წარმოშობის საკითხში ზედმეტი ბუნდოვანება შეჰქონდა; ამ მონეტათა მოკრის ადგილი უნდა გვეძებნა ჰულაგუიდთა გავლენის სფეროში შემავალი ყველა ქრისტიანი ხალხების ტერიტორიაზე. რადგანაც არსებობს სრულიად გარკვეული მონაცემები, რომ მონეტები საქართველოშია მოკრილი, უფრო მართებულად მივიჩნიეთ მათთვის ქართულ-ჰულაგუიდური დრამები გვეწოდებინა.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ამ განაკვეთში გარჩეული მონეტებით მასალა ვერ ჩაითვლება ამოწურულად. ჩნდება ცალკეული ნიმუშები, რომლებიც აქ აღწერილ მონეტებთან ერთგვარ ნათესაობას ამჟღავნებს. მაგრამ ჯერჯერობით შეუსწავლელია. შევეხოთ მხოლოდ იმას, რომელიც უკეთ არის ცნობილი, უფრო დამახასიათებელია ამ ეპოქისათვის და უკეთ შეინარჩუნა მისი ინდივიდუალური ნიშნები

განსაკუთრებით აღსანიშნავია მონეტები, რომლებიც ქართველ მეფეთა სახელებს შეიცავს და ქართული წარწერებით არის აღბეჭდილი. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ამ დროს მეტად მძიმე პირობებში იმყოფებოდა, ასეთი ტიპის მონეტა არ გამქრალა. მისი გამოშვება შემდეგშიაც არ შეწყვეტილა.

პირველი ასეთი, ჩვენთვის ცნობილი მონეტა სპილენძისაა და დემეტრე თავდადებულს ეკუთვნის. ამ მონეტის შუბლზე მოთავსებულია რთული ორნამენტული ჩარჩო № 50, რუსუდანის სპილენძის მონეტაზე მოთავსებული ჩარჩოს მსგავსი; ცენტრში ასომთავრულად დემეტრეს სახელის დაქარაგმებაა; ჩარჩოს გარე ბუდეებში — სხვადასხვანაირად განლაგებული ქართული წარწერა „მეფე" ან „მეფეთ მეფე" და, იშვიათ შემთხვევაში, ქორონიკონი 500 (= 1280 წ.).

ზურგის ცენტრში ისეთივე ნიშანია, როგორც თამარისა და დავითის № 45 მონეტაზე, ოღონდ უფრო ფაქიზად არის შესრულებული. შემორკალულ საგვარეულო ნიშნის ირგვლივ ასომთავრულად დაქარაგმებულია ზედწერილი — ქრისტიანული ლოცვა „გვრწამს მამაჲ, ძეჲ და სული წმინდაჲ" (იხ. № 62).

ამრიგად, დემეტრე მეორის ქართულწარწერიანი სპილენძის მონეტა ქართულ-ჰულაგუიდურ № 61 დრამასთან ერთდროულად (ან შეიძლება ცოტა ადრეც კი) გაჩენილა და, როგორც ეს გარკვევით ჩანს, თითქმის ერთნაირ ქრისტიანულ ლოცვას შეიცავს.

ქართულ მონეტაზე აღბეჭდილი ქრისტიანული ლოცვა ალბათ მონღოლურ მონეტაზე მოთავსებულ მუსლიმანურ რელიგიურ სიმბოლოს უპირისპირდება და ამავე ფორმით დემეტრე მეორის უახლოეს მემკვიდრეთა — დავით შეშვიდისა და ვახტანგ მესამის-- მონეტებზედაც უცვლელად გადადის.

ამ მონეტების მომჭრელ პირებს თანამიმდევრობით დავასახელებთ და პირველ რიგში დავითის ვერცხლის დრამაზე შევჩერდებით, რომელსაც შუბლზე მოთავსებული აქვს ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი „ფადიშაჰი უზენაესი, სულტან მაჰმუდ ყაზან ყაანი, ხანგრძლივ ჰყოს ღმერთმა მეფობა მისი", ხოლო ზურგზე — კვადრატულ ჩარჩოში არაბულად გადმოცემული ისეთივე ოთხსტრიქონიანი ქრისტიანული ლოცვა, რომელიც უკვე № 61 მონეტაზე შეგვხვდა. მაგრამ აქ ჯვრის ნაცვლად მოცემულია დაქარაგმებული ქართული წარწერა „მეფე დავით". სეგმენტებში თარიღია, რომელიც შერჩენილი ფრაგმენტების მიხედვით 696 ჰიჯრას (= 1296/97) აღნიშნავს (იხ. № 63).

აღწერილი მონეტა წარმოადგენს ქართულ-ჰულაგუიდური დრამის განმეორებას, იმ განსხვავებით, რომ შუბლის მონღოლური წარწერა აქ არაბულით არის შეცვლილი, ხოლო ზურგზე ჯვრის ნაცვლად დავითის ტიტული და სახელია. ყაზან ყაანსა და დავით VII შორის თავდაპირველად დამყარებული კეთილი დამოკიდებულება 1297 წლისათვის დაირღვა, რადგან მონღოლთა თავხედობა ყოველგვარ საზღვარს გადასცილდა: ელხანთა სამფლობელოში ყველა სხვა რჯულის მოსახლეს რჯულზე ხელის აღება და ისლამის სარწმუნოების მიღება მოსთხოვეს. ამ ბრძანების შეუსრულებლობის შემთხვევაში ყველას ზედმეტ ვადასახადს აწერდნენ და დიაცის კაბის ტარებას ავალებდნენ. ამ წინადადებამ და ტაძრების ნგრევამ საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია. დავითსა და ყაანს შორის მწვავე განხეთქილება ჩამოვარდა და მშვიდობიანი მოლაპარაკება შეწყდა. მას შემდეგ, რაც ყაზანმა დავითთან შერიგებაზე უარი თქვა, სამეფო ტახტი დავითის ძმას, ვახტანგ მესამეს, ვადაეცა. მთაში გახიზნული დავითი, რომელიც თავის თავს კანონიერ მეფედ თვლიდა და მთიულეთიდან ებრძოდა ყაანს, როგორც ნუმიზმატიკური ფაქტებით დასტურდება, კიდევ დიდხანს ჭრიდა საკუთარ ფულს თავისი სახელით. ეს ნუმიზმატიკური ძეგლი საუცხოოდ ასახავს იმ დროისათვის საქართველოში შექმნილ რთულ პოლიტიკურ სიტუაციას.

უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ დავით VII-ის სპილენძის მონეტები დემეტრე II-ის მონეტების თითქმის სრულ ანალოგიას წარმოადგენს, იმ განსხვავებით, რომ იგი უფრო მცირე ზომისა და წონისაა, დაქარაგმებულია დავითის სახელი და უზის 530 ქორონიკონი (=1310 წ).

რადგან ურჩი დავითი სიკვდილამდე მთაში იყო გახიზნული, საფიქრებელია, რომ ეს სპილენძის მონეტები სადღაც მთიულეთში იჭრებოდა.

1297 წლიდან 1310 წლამდე, ესე იგი დავითის მიერ ვერცხლის მონეტის მოჭრიდან სპილენძის მონეტის გამოშვებამდე, ხარვეზი ცარიელი არ დარჩენილა და შევსებულია ეროვნული ხასიათის მონეტებით. მაგრამ ეს ნიმუშები უკვე აღბეჭდილია დავითის ძმის

ვახტანგ მესამის სახელით. რომელიც აგრეთვე ვერცხლისა და სპილენძის მონეტებსაც ჭრის. ტრადიციის მიხედვით ვახტანგის დრამები ძირითადად ქართულ-ჰულაგუიდური დრამის მსგავსად იჭრება. მაგრამ ამ უკანასკნელის შესამჩნევ სახესხვაობას წარმოადგენს.

შ უ ბ ლ ზ ე მონღოლური ოთხსტრიქონიანი ზედწერილია: დიდი ხაკანის ნაცვლის ყაზანის მიერ ნაჭედი". ხოლო ზ უ რ გ ზ ე ცენტრში, — მორკალული ჯვრის ნიშანი. რომლის ორგვლივ არაბულად განლაგებულია ზემოხსენებული ქრისტიანული ლოცვა და მოცემულია ასომთავრული ნიშნების ორი მონოგრამა, რომელიც ნიშნავს „მეფე ვახტანგს". ჩარჩოს გარეგან სეგმენტებში არაბულად აღნიშნულია თარიღი: „იჭედა წელსა 698" (=1298/1299წწ.) და გამოშვების ერთ-ერთი თვე (იხ. № 64).

ვახტანგ მეფის 699 ჰიჯრით (1299/1310 წწ.) დათარიღებული დრამა ზემოაღწერილისაგან უმნიშვნელო დეტალით განსხვავდება. ჯვრის ტოტებს შორის აქ ჩასმულია თითო წერტილი ან ვარსკვლავი.

ვახტანგ მესამის დროს სამი ძირითადი ტიპის სპილენძის ფული მოიჭრა. სრული თარიღი, მართალია, არც ერთ მათგანს არ შერჩენია, მაგრამ მონეტებზე აღბეჭდილი სახელების საშუალებით შესაძლებელია მათი დაახლოებითი დათარიღება.

ვინაიდან ვახტანგ მესამის სპილენძის ფულის პირველი ტიპი მისივე ვერცხლის დრამის სრულ განმეორებას წარმოადგენს, ამ მონეტის გამოსახულება და აღწერილობა არ გვჭირდება. საფიქრებელია, რომ ამ ტიპის ზოგიერთი ცალი, ვერცხლის წყალში ამოვლების შემდეგ, ვერცხლისავე დრამებად საღდებოდა. ამიტომ, შესაძლებელია, რომ ასეთი ნიმუშები იშვიათი ნაყალბევიც იყოს. დანარჩენი სპილენძის ფულსები სხვა სახისაა, — მაგალითად, მეორე ტიპის შ უ ბ ლ ზ ე სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილია: „ხელმწიფე მსოფლიოსი. ყაზან მაჰმუდ. ხანგრძლივ იყოს მეფობა მისი". მესამე სტრიქონქვეშ ასომთავრული ორი მონოგრამაა ისეთივე, როგორც მისივე დრამაზე — „ვახტანგ მეფე", ხოლო ზ უ რ გ ზ ე — შემორკალულ ჩარჩოში სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: „არ არს ღმერთი გარდა ალლაჰისა მსოლოისა, არა

ჰყავს მას თანაგამზრახი“. სეგმენტებში წარწერებია, რომელთა წაკითხვა ჯერ ვერ მოხერხდა. (იხ. № 65).

აოც ერთმა ზემოხსენებულმა ნიმუშმა თარიღი არ შეინარჩუნა. მაგრამ ვინაიდან ვახტანგ მესამე 1298 წ. ასულა ტახტზე, ხოლო ყაზან ყაენი 1304 წ. გარდაიცვალა, მონეტების გამოშვებაც ამ ორ თარიღს შორის თავსდება.

ვახტანგ III სპილენძის ფელსის მესამე ტიპის შუბლზე ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილია: „სულტანი უმაღლესი. ღიას ედ დუნია ვედდინი, სუდაბენდე მუჰამედ. ხანგრძლივი ჰყოს ღმერთმა მეფობა მისი“, მოთავსებული კვადრატულ ჩარჩოში. ჩარჩოს გარეთ გაურკვეველი წარწერაა.

ზურგზე — სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: „არა არს ღმერთი გარდა ალლაჰისა. მუჰამედი ალლაჰის მოციქული“. ქვემოთ ვახტანგის სახელი, სამი ქართული ასოსაგან შემდგარი მონოგრამით (იხ. № 66).

ამ უკანასკნელი სამონეტო ტიპის 1304-1308 წწ. ფარგლებით დათარიღების საშუალებას გვაძლევს მონეტაზე დასახელებული ხუდაბენდე მუჰამედი (ოლჯაითუ), რომელიც მხოლოდ 1304 წ. ავიდა ტახტზე, ხოლო ვახტანგ მესამე 1308 წელს გარდაიცვალა.

თითქმის მთელი XIII საუკუნის მანძილზე გარეშე მტრების განუწყვეტელმა შეტევებმა და საქართველოში მომხდარმა პოლიტიკურმა ძვრებმა (ჯალალ ედ-დინის მოულოდნელი თავდასხმა, მონღოლთა მრავალგზის შემოსევა, ქვეყნის შიგნით არეულობა) მძიმე გავლენა იქონია საქართველოზე: მისი ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა შეირყა, სამეფო საგვარეულო სახლი ლიხთამერთა და ლიხთიმერთა ორ დინასტიად გაიყო, რითაც მოხერხებულად ისარგებლეს მონღოლებმა. საქართველოში დასუსტებულ ცენტრალურ ხელისუფლებას ელხანებმა დაუპირისპირეს ნეფის ურჩი ცალკეული ფეოდალი.

ცნობილია, მაგალითად, XIII საუკ. მეორე ნახევრის ერთ-ერთი უძლიერესი ფეოდალის საღუნ მანკაბერდელის საქართველოსათვის დამღუპველი მოღვაწეობა: ქალაქი დმანისი და მთელი მისი მიდამოები ფაქტიურად მის პირად სამფლობელოდ იქცა. ამდრო-

ინდელი ნუმიზმატიკური ძეგლები გვიდასტურებენ, რომ ცალკე სამფლობელოებად გამოყოფილი ანისი და ახალციხე XIII-XIV საუკუნეთა მიჯნიდან საკუთარ სამონეტო პროდუქციას იძლევიან. შესაძლებელია, რომ ასეთსავე ღონისძიებას სხვა ფეოდალებიც მიმართავდნენ. კერძოდ, დმანისში ეს იმიტომაც უნდა მომხდარიყო, რომ ფულის მოჭრა აქ ჯერ კიდევ 1244 წელს დაწყებულა. ავტონომიური ანუ ე. წ. ფეოდალური მონეტა ისეთ ყაიდაზე მოიჭრებოდა, რომელიც მოსახლეობაში უკვე სარგებლობდა ფართო გასავლით. ცნობილია, რომ ქართულ-ჰულაგუიდურმა დრამებმა XIII საუკუნის უკანასკნელ ოცწლედში განსაკუთრებული გავრცელება ჰპოვეს; სწორედ ამ დროს ჩნდება ასეთივე ყაიდის ფრიად ორიგინალური და თავისებური სპილენძის მონეტები. მოვიყვანთ ყველაზე უფრო დამახასიათებელ ასეთი სპილენძის მონეტის აღწერილობას. პირველი ტიპის ასეთი მონეტის შ უ ბ ლ ზ ე ოთხსტრიქონიანი მონღოლური ზედწერილია: „სახელითა ყაანისა ჭედა აბაღამ“, ხოლო ზ უ რ გ ზ ე — ტოლმკლავა ჯვრის ტოტებს შუა სომხურად დაქარაგმებულია „ღმერთი იესო ქრისტეს“ ინიციალები. ჯვრის ტოტების პარალელურად, ოთხივე მხრიდან, არაბული ზედწერილია: „სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა, ღვთისა ერთისა“ (იხ. № 67).

შემდეგი სამონეტო ტიპის გამოსახულება არ მოგვყავს, რადგან კარგად დაცული მონეტა ვერ მოიძებნა. ამ მონეტის შ უ ბ ლ ი ვახტანგ მესამის (№ 64) დრამების განმეორებას წარმოადგენს იმ განსხვავებით, რომ ჯვრის გარშემო განლაგებული ზედწერილი ძალიან დამახინჯებულია. ხოლო ზ უ რ გ ზ ე გამოსახულია უხეშად შესრულებული მარჯვნივ მიბრუნებული ლომი სხივოსანი მზით — ეგრეთ წოდებული „რანკით“ ზურგზე.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცულია უნიკალური სპილენძის მონეტა (წონა 3,43 გ.), რომელიც ზემოაღწერილი ნიმუშის გამარტივებულ სახეობას წარმოადგენს. შუბლზე, შემორკალულ კვადრატულ ჩარჩოში მოთავსებულია ჯვრის გამოსახულება. ხოლო ზურგზე — რანკი, როგორც წინა მონეტაზე (იხ. № 68). აღწერილი სამი სპილენძის მონეტა, საქართველოს რომელიმე ერთ-

ერთ ფეოდალს, კერძოდ, სომხითის მმართველს მოუჭრია და ფეოდალურ მონეტათა შორის ქრონოლოგიურად პირველი ადგილი უკავია.

მონეტათა მოჭრის ადგილი დადგენილი არ არის, მაგრამ საკითხს, სახელდობრ დმანისში უშვებდნენ მათ თუ ანისში, არსებითი მნიშვნელობა არც უნდა ჰქონდეს. უდავოა, რომ ამა თუ იმ პერიოდის ცალკეული მძლავრი ფეოდალები ფაქტიურად დამოუკიდებელნი იყვნენ და ქართველთა მეფეს ზოგჯერ ებრძოდნენ კიდეც, მაგრამ მის უზენაესობას მაინც ცნობდნენ და საქართველოს სამეფოს ნაწილს წარმოადგენდნენ. მაშასადამე, ასეთ სამფლობელოებში მოჭრილი მონეტებიც ქართულ ნუმიზმატიკურ მემკვიდრეობას წარმოადგენს.

XIII—XIV სს. მიჯნაზე სამონეტო საქმეში მნიშვნელოვანი ცვლილებანი ხდება და ელხანთა სამფლობელოში ყაზან-ყაენის რეფორმით საერთო ჰულაგუიდური ტიპის მონეტა მკვიდრდება. ახლად შემოღებული სამონეტო ტიპი უმნიშვნელო ცვლილებებით იჭრება ელხანთა სახელმწიფოს დამხობამდე. ქართულ-ჰულაგუიდური მონეტა სპეციფიკურ თვისებებს კარგავს, მასზე ქრება ქართული თუ ქრისტიანული წარწერები და მათ ადგილს იჭერს უცხოური (მუსლიმანური რელიგიური სიმბოლო, მონღოლთა მფლობელების სახელები, ტიტულები და სხვ.). ქორონიკონი სულ აღარა ჩანს და თარიღი ჰიჯრითაა.

თბილისში მოჭრილმა ამ ტიპის ვერცხლის მონეტამ ჩვენამდე დიდი რაოდენობით მოაღწია, სპილენძისა ნაკლებია. თავის ჭეშმარიტ წარმოშობას ეს სამონეტო ტიპი ამჟღავნებს მასზე აღბეჭდილი მოჭრის ადგილით (თბილისი, ანისი, ყარაღაჯი ან აბალციხე).

თბილური დრამის წონის შემცირებამ ჯერ კიდევ XIII საუკუნის დამლევიდან იჩინა თავი და შედარებით მოკლე ხნის მანძილზე, XIV საუკუნის 50-იანი წლებისათვის, თავის პირველად წონას ძალიან დაშორდა. თემურ-ლენგის მრავალგზისი გამანადგურებელი შემოსევის შედეგად საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა კატასტროფულად დაეცა, ვერცხლის მონეტის წონა სულ უფრო და უფრო კლებულობდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ლითონის სიფრიფანა ფირფიტებს (წონით 1/2 გ) თითქმის დაკარგული აქვს მონეტის

გარეგნობა. მაგრამ ასეთი საბოლოოდ დაკნინებული მონეტის შესახებ საუბარი ერთ-ერთ შემდგომ განაკვეთში გვექნება; ახლა კი, კიდრე XIV საუკუნის პირველი ნახევრის სამონეტო ტიპების აღწერილობას დავუბრუნდებოდეთ, მოვიყვანთ აკადემიკოს ვ. ბარტოლდის ფრიად საინტერესო გაანგარიშებას. იმდროინდელი ისტორიკოსი ხამდალაჰ ყაზვინი იტყობინება, რომ XIII საუკუნის ოცდაათიან წლებამდე, საქართველოში მონღოლთა პირველ შემოსევამდე, ჩვენი ქვეყნის ყოველწლიური სახელმწიფო შემოსავალი 500 თუმანს შეადგენდა. იმდროინდელი მონღოლური თუმანი ათი ათას ოქროს დინარს ანუ 60 ათას ვერცხლის დრამას უდრიდა და, მაშასადამე, საკუთრივ საქართველოს ყოველწლიური შემოსავალი, ემადნაფიცი სამფლობელოების გარდა, 30 მილიონ ვერცხლის დრამას შეადგენდა.

თანამედროვე ფულზე გადაყვანით ერთი მონღოლური თუმანი XX საუკუნის პირველი ათეულის ფასებში 7500 ოქროს მანეთს უდრის, მაშასადამე, 500 მონღოლური თუმანი 3.750.000 ოქროს მანეთს, ანუ 10 მილიონ ოქროს ფრანკს შეადგენს.

შესადარებლად აკად. ვ. ბარტოლდს მოჰყავს ცნობები იმის შესახებ, რომ 1300 წელს ინგლისის წლიური შემოსავალი 4 მილიონ ფრანკს სჭარბობდა, ხოლო საფრანგეთისა 3 მილიონ ფრანკს შეადგენდა.

ამ ზოგადი შენიშვნის შემდეგ, დავუბრუნდეთ XIV საუკუნის პირველი ნახევრის მონეტათა აღწერილობას და შევჩერდეთ ყველაზე უფრო გავრცელებულ ძირითად ტიპებზე.

ყაზან ყაენის მმართველობის დროს (1295—1304 წწ.) ჩატარებული რეფორმების შედეგად ელხანთა გავლენის ქვეშ მოქცეულ ყველა ქვეყანაში მოხდა ფულის ნიშნების გაერთსახოვნება და თბილურმა დრამამაც მორიგი ცვლილება განიცადა. ამ ახალი ტიპის დრამის შუბლზე მოთავსებული არაბულ-მონღოლური წარწერა იუწყება ყაზან ყაენის სახელს, ხოლო ზურგზე არაბულად გადმოცემულია მუსლიმანური რელიგიური ფორმულა, მოჭრის ადგილი და თარიღი. აქვე მოთავსებულია ტიბეტური სამი ნიშანი, რომელიც ელხანის სახელს იმეორებს. ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ რელიგიუ-

რი ფორმულა ქართულ ფულზე ალლაჰის გარდა, მის მოციქულს, მაჰმადსაც, ახსენებს. ამავე ტიპის დრამები იჭრებოდა ახალციხეში და ანისში (იხ. № 69).

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში შემოსული ასეთი დრამების მოზრდილი განძის შემადგენლობით ირკვევა, რომ ამ სახის თბილური და ახალციხური დრამები უკვე 698 ჰიჯრას (=1298—1299 წწ.) გაჩნდა. ასეთი ტიპის თბილური დრამები ზოგიერთი ცვლილებებით ჰულაგუიდების დამხობამდე იჭრებოდა, ხოლო ახალციხური ზარაფხანის პროდუქცია უფრო ადრე ქრება. ირკვევა, რომ თბილური დრამების მსგავსად ანური დრამებიც ხანგრძლივად იჭრება.

ამდროინდელი სამონეტო ტიპები სულ უფრო და უფრო ბშირ ცვლილებებს განიცდის და ამიტომ საერთო ჰულაგუიდური ტიპის ჩვენში მოპრილი ყველა ვარიანტის აღწერას რომ შევუდგეთ, ფაქტიურად შევიჭრებით მონღოლთა ელხანების მრავალრიცხოვანი ნუმიზმატიკური ძეგლების აღწერა-შესწავლაში, რაც დასახულ მიზანს დაგვაშორებდა.

ზემომოყვანილი მიზეზების გამო დავჯერდებით უბრალო სიას, სადაც მოყვანილი იქნება საჭირო ცნობები: მონეტაზე აღბეჭდილი ამა თუ იმ ელხანის სახელი, მისი მმართველობის თარიღები, დრამის საშუალო წონა, რომელიც წარმოდგენას იძლევა ამდროინდელი დრამის შეუჩერებელი დაკნინების შესახებ, და ტაბულაზე მოთავსებული გამოსახულების ნომრები.

1. ყაზან ყაანის (1295—1304 წწ.) დრამა. წონა — 2,1—2,3 გ. № 69

2. ოლჯაითუს (1304—1316 წწ.) დრამა. წონა — 1,75—1,80 გ. № 70

3. აბუსაიდის (1316—1333 წწ.) ორდრამიანი. წონა 3,41 გ. № 71

4. სულეიმანის (1339—1344 წწ.) ორდრამიანი, წონა — 1,35 გ. № 72

5. ანუშირვანის (1344—1353 წწ.) ორდრამიანი, წონა — 1,20 გ, № 73.

დამკვიდრებული ტრადიციით ამა თუ იმ მონეტის რომელიმე

ქვეყნისადმი მიკუთვნება ჩვეულებრივ ხდება გარეგნული ნიშნების მიხედვით. მაგრამ ეს ყოველთვის სწორი არ არის.

მაგალითად, ცნობილმა რუსმა ნუმიზმატმა ი. ტოლსტოიმ გამოაქვეყნა მონეტა, რომელზედაც არაბული წარწერით თოხთამიშ ხანის სახელია აღბეჭდილი. რუსული წარწერა, მოჭრის ადგილი, ან რუსი მთავრის სახელი მონეტაზე აღბეჭდილი არაა, მაგრამ მიუხედავად ამისა, სხვადასხვა ნიშნის მიხედვით, მეცნიერმა შესაძლოდ ცნო დიმიტრი დონელისადმი მისი მიკუთვნება.

ამ მონეტასთან შედარებით ჩვენში მოჭრილი ზემოაღწერილი №№ 59 — 65[1] მონეტები გაცილებით მეტი უფლებით ჩაითვლება ქართულად, თუნდაც იმიტომ, რომ მათი ზედწერილები ქართველების იდეოლოგიას ასახავს და თბილისში მათი მოჭრის შესახებ ეჭვი არავის ეპარება. ეს დამახასიათებელი ნიშნები დიმიტრი დონელის მონეტას არ გააჩნია.

მაგრამ, ასეთი ანალოგიის გარდა, ჩვენს ხელთ არის საბუთები, რომლებიც განსაკუთრებული მნიშვნელობის ცნობებს შეიცავს და ამ სადავო საკითხს წყვეტს. ყაზან ყაანის თანამედროვე ისტორიკოსი რაშიდ-ად-დინი იუწყება, რომ იმ დროს, ფულის რეფორმის ჩატარებამდე, ელხანთა სახელმწიფოში შემავალ სხვადასხვა სამფლობელოში მოჭრილი მონეტის სინჯი დაკანონებულ ნორმაზე ნაკლებ ძვირფას ლითონს შეიცავდაო და აღნიშნავს: „ამ უწესობათა აღმოფხვრა ისლამის ხელმწიფემ გადაწყვიტა ასე: უპირველეს ყოვლისა, თავისი შეხედულებით მონეტის ნიმუში დაადგინა, ზეღ ისეთი ნიშანი დასვა, რომლის გაყალბებას ვერვინ შეძლებდა. და ბრძანა. მთელ მის სამფლობელოში ოქრო და ვერცხლი ამ ნიმუშის მიხედვით მოეჭრათ და ალაჰისა და მისი მოციქულის სახელიც მოეთავსებინათ. საქართველოშიც კი, სადაც მონეტები არასოდეს არ მოჭრილა ალაჰისა და მისი მოციქულის სახელით, აუცილებლობის გამო, აგრეთვე იწყეს ასეთი ფულის მოჭრა, რადგან სხვა მონეტებს აღარსად ექნებოდა გასავალი. ასე რომ, იმ მხარეებშიც საჭირო გახდა ასეთი მონეტის მოჭრა, თუმცა ქართველები არ ცნობდ-

[1] იხილეთ წიგნის ბოლოში დართულ მონეტათა გამოსახულებების ტაბულებში.

ნენ ყაანის ხელისუფლებას. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ფულს აღარსად მიიღებდნენ".

ისტორიკოსი პირდაპირ ამბობს, რომ ჩვენებურ მონეტაზე რეფორმამდე მაჰმადის სახელი მოხსენებული არ იყო, რაც სინამდვილეს შეეფერება. დასტურდება ის ცნობაც, რომ სხვადასხვა მხარის ფულის სინჯი სხვადასხვანაირი ყოფილა. ამ მონეტების შემოწმებით დადგენილია, რომ XIII საუკუნის მეორე ნახევრის ერანული და სელჯუკური ფულის სინჯი ქართულ ფულთან შედარებით გაცილებით მაღალი ყოფილა. დაბოლოს, აღსანიშნავია, რომ რეფორმის შემდეგ ქართველები მონეტას ჭრიან კანონით დაწესებული ნიმუშის მიხედვით „წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ფულს არსად ღებულობდნენ."

სხვადასხვა ხასიათის მონაცემები დამაჯერებლად მოწმობს უცხო ნიმუშების მიხედვით ჩვენში მოჭრილი მონეტების ქართულ წარმოშობას. რაც შეეხება ამ სახის მონეტებთან ერთად მოჭრილ ეროვნული ხასიათის მონეტებს, რომლებიც გაცილებით იშვიათად ჩნდება, ამასაც სათანადო ახსნა აქვს. ჰულაგუიდური ტიპის ქართული მონეტების მოჭრა გამოწვეული იყო წმინდა სავაჭრო-ეკონომიური მიზნებით, მუსლიმანურ ქვეყნებთან ეკონომიური კავშირის დასამყარებლად. ეკონომიურმა და პოლიტიკურმა პირობებმა XIII საუკუნის მეორე ნახევარში აიძულეს ქართველები, მიეცათ მონეტებისათვის ის სახე, რომელიც მას ფართო გავრცელების საშუალებას აძლევდა. ქართველ მეფეთა სახელით აღბეჭდილი მონეტები თუ მაინც გვხვდება, ეს იმით აიხსნება, რომ მათ ხელისუფლების რეგალიის განსახორციელებლად ჭრიდნენ.

თავი მეოთხე

ერთიანი სამეფოს რღვევის ხანა

კირმანეული თეთრი

დაუსრულებელი ბრძოლა, რომელსაც ქართველი ხალხი თურქ-სელჯუკების, მონღოლ-თათრებისა თუ სხვა დამპყრობლების წინააღმდეგ ეწეოდა, სახელმწიფოს ძალიან აუძლურებდა. სუსტდებოდა სამეფო ხელისუფლებაც, ხოლო ცალკეული გავლენიანი ფეოდალები ძლიერდებოდნენ და ამით ხელს უწყობდნენ საქართველოს მთლიანი სახელმწიფოს დაშლას. XIII საუკუნის 40-იან წლებში მონღოლებმა მოხერხებულად გამოიყენეს საქართველოს სამეფო ტახტზე ორი პრეტენდენტის (ულუ დავითისა და ნარინ დავითის) დანიშვნა, რამაც ხელი შეუწყო საქართველოს მთლიანობის დაშლასა და ლიხთამერისა და ლიხთიმერის ორი სახელმწიფოს შექმნას. სავსებით ბუნებრივია, რომ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში სამეფოების დაარსებისთანავე ლიხთიმერეთში საკუთარი ფულის მოჭრის ტენდენცია უნდა წარმოშობილიყო. სახელდობრ რომელ წელს დაიწყო დასავლეთ საქართველოში საკუთარი ფულის მოჭრა, უშუალოდ ამის დამადასტურებელი ფაქტი წერილობითი საბუთის სახით ჯერჯერობით არ მოგვეპოვება და სათანადო მითითებებს არც ნუმიზმატიკური მასალა იძლევა. მაგრამ საყოველთაოდ ცნობილია, რომ XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე, ჩვენი სამშობლოს ეს ორი ნაწილი — ლიხთამერი და ლიხთიმერი — ერთიმეორისაგან განსხვავებული ფულით სარგებლობდა.

მხოლოდ ზოგჯერ, როდესაც გარეშე ძალთა ჩარევით გათიშული საქართველოს ეს ორი ნაწილი მტრებთან საბრძოლველად საერთო გზას დაადგებოდა ხოლმე, მონეტაც საერთო ხასიათსა და იერს ღებულობდა, მაგრამ დასავლეთისა და აღმოსავლეთ საქართველოს სამონეტო ტიპები ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება. საყურადღებოა, რომ XIII საუკუნის მონღოლური ან ქართულ-ჰულაგუიდური მონეტები დასავლეთ საქართველოში ძალზე იშვიათად გვხვდება მაშინ, როდესაც აღმოსავლეთ ნაწილში მეტად ხშირია. ეს გარემოება ადვილად აიხსნება, თუ გავიხსენებთ, რომ იმერეთში მონღოლებმა ფეხის მოკიდება ვერ შეძლეს, იმერეთმა სრული დამოუკიდებლობა შეინარჩუნა და დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებთან კავშირის დამყარება ირჩია.

XIII საუკუნის მეორე ნახევრისთვის ვრცელდება ტრაპიზონული ვერცხლის ფული — ასპრები, რომლებიც საქართველოს დასავლეთ ნაწილში გაცილებით უფრო ხშირია, ვიდრე აღმოსავლეთში. ეს ფაქტი რა თქმა უნდა, მჭიდროდ არის დაკავშირებული იმდროინდელ პოლიტიკურ და კულტურულ-ეკონომიურ ვითარებასთან. მაგრამ აქვე და გაცილებით მეტი რაოდენობით ჩნდება ძალიან თავისებური და ჯერ სუსტად შესწავლილი მონეტები, რომლებიც ტრაპიზონულ ასპრებთან უდავო მსგავსების გამო ნუმიზმატიკურ ლიტერატურაში „ტრაპიზონული ასპრების ქართულ მინაბაძებად" არის აღიარებული.

ამ განსაზღვრას და გავრცელებულ ტერმინს კრიტიკულად რომ მივუდგეთ და ისტორიული ცნობების საფუძველზე გავუკეთოთ ანალიზი, ცხადი გახდება, რომ ამ ტერმინს გადასინჯვა სჭირდება. საქართველოსა და ტრაპიზონის საკეისროს ურთიერთ დამოკიდებულებაში საქართველო მუდამ აქტიურ როლს ასრულებდა; ეკონომიურად ან პოლიტიკურად ტრაპიზონის გავლენის ქვეშ საქართველო არასოდეს არ ყოფილა.

არსებული ფაქტების საფუძველზე კატეგორიულად დაისვა ამ გავრცელებული ტერმინის („ტრაპიზონის ასპრების ქართული მინაბაძი") გადასინჯვისა და ისტორიულ სინამდვილესთან სათანადოდ შეთანხმებული ტერმინით შეცვლის საკითხი. ზემონათქვამის გამო-

უფრო სწორად მივვაჩნია, ვიხმაროთ ამ მონეტების ძველ ქართულ ხელნაწერებში სმარებული ტერმინი — კირმანეული, რომელიც პერძნული სიტყვების „კირ მანუილის“ დამახინჯებულ ფორმას წარმოადგენს და ფართო გაგებით ბატონ (კირ) მანუილს, ანუ მისი სახელით მოჭრილ მონეტას ნიშნავს.

საყურადღებოა, რომ გარეგნული ნიშნებით ტრაპიზონულ ასპრებს შორის ზოგჯერ გვხვდება ცალები, რომლებიც არაფრით განსხვავდება ტრაპიზონში მოჭრილი მონეტებისაგან, მაგრამ მათ ჭეშმარიტ წარმოშობას ოდნავ შესამჩნევი დეტალებიც ამჟღავნებს. ამ ასპრების მოსაჭრელად გამოყენებული იყო თბილური დრამები (მანგუ ჯაანის სახელით აღბეჭდილი, ანონიმური ყაანური), მაგრამ განსაკუთრებული ყურაღღების ღირსია ის გარემოება, რომ ასეთი ასპრების გადაჭედვისათვის ზოგჯერ ნასმარია გაცილებით უფრო ადრიანდელი ქართული მონეტა, რომელსაც აშკარად ეტყობა ახალი სიქის ქვეშ შერჩენილი მონეტის დეტალები. ფრიად საყურადღებო და უცნაურ ამ მოვლენას განვმარტავთ კონკრეტული მაგალითით. მანუილ I-ის სახელით მოჭრილ ერთ-ერთ ასეთ „ასპრზე“ „ტრაპიზონული“ სიქის ქვეშ აშკარად ჩანს ქართულ-ჰულაგუიდური დრამის ამ ახალი სიქით გაქექილი, მაგრამ ნაწილობრივ გადარჩენილი დეტალები. გავიხსენოთ, რომ მანუილ I 1263 წელს გარდაიცვალა, მოვიგონოთ აგრეთვე, რომ № 61 ქართულ-ჰულაგუიდური დრამების მოჭრა მხოლოდ 1280 წ. დაიწყო. — გამოდის, რომ „ტრაპიზონული ასპრის“ მოსაჭრელად მანუილ I-მა გამოიყენა ქართული მონეტა, რომელიც 17 წლის შემდეგ გაჩნდა.

ერთი შეხედვით ამ გაუგებარი მოვლენის ასახსნელად და გასაგებად, თუ რა პირობებში შეიძლებოდა მომხდარიყო ასეთი უცნაური ანაქრონიზმი, საჭიროა საკმაოდ ვრცელი ისტორიული ექსკურსი.

საქართველოში ტრაპიზონული ასპრების ფართო გავრცელების შემდეგ ახლად გაჩენილი სამონეტო ტიპი — კირმანეული თეთრი — დასავლეთ საქართველოში ისე მტკიცედ იკიდებს ფეხს, რომ მისი გაჩენა საქართველოს დაყოფასა და დასავლეთ საქართველოში დავით ნარინის ძალაუფლებას დაქვემდებარებულ ახლად დაარსებულ სამეფოს უნდა დავუკავშიროთ.

სწორედ ამ დროს გაჩენილი კირმანეული თეთრი. რომელსაც ქვემოთ აღვწერთ, თავისი გარეგანი ნიშნებით ამ პირობებს სავსებით უპასუხებს. ის ძალიან უახლოვდება XIII საუკუნის ტრაპიზონულ ასპრებს და ძირითადად მის ანალოგიას წარმოადგენს, მაგრამ მსგავსება ბრმა მიბაძვის შედეგი არ გახლავთ. ვიძლევით ამ მონეტის აღწერილობას: № 74 მონეტის შუბლზე აღბეჭდილია პირდაპირ მდგარი კეისრის გამოსახულება დამახინჯებული ბერძნული წარწერებით, რომლებიც იუწყებიან ტრაპიზონის კეისრის (მანუილისა ან იოანეს) სახელს. უსეში გამოსახულებისა და დამახინჯებული ზედწერილის გარდა კირმანეულის განმასხვავებელი ნიშანი — ექვსქიმიანი ვარსკვლავი — ევრეთ წოდებული „სოლომონის ბეჭედი“ აქვს. ზურგზე — მეტწილად უსეშად შესრულებული ტრაპიზონის საკეისროს მფარველის წმ. ევგენის გამოსახულება. მარცხნივ და მარჯვნივ ბერძნული წარწერები, რომელიც წმიდანის სახელის სხვადასხვანაირ შემოკლებას იძლევა.

კირმანეული თეთრისა და ტრაპიზონული ასპრების გამოსახულებათა მსგავსება და ზედწერილების ივივეობა აუცილებელ ნათესაობასა და ფულის სისტემის ერთიანობას ამჟღავნებს.

XIII-XV საუკუნეების სხვა მონეტების მსგავსად, კირმანეული თეთრიც თანდათანობით დაწვრილებისა და გაუარესების პროცესს განიცდის, მაგრამ ძირითად ტიპს ბოლომდე ინარჩუნებს. ცალ გვერდზე გამოსახულია მეფე, მეორეზე — წმინდა ევგენი.

სხვადასხვა სახით მოჭრილი კირმანეულების ვარიანტები იმდენად ბევრი და მრავალფეროვანია, რომ მათი უბრალო აღწერილობა სპეციალურ შრომასა და ცალკე წიგნის გამოშვებას მოითხოვს. ამიტომ აქ მხოლოდ რამდენიმე მათგანს დავასახელებთ და ტაბულაზე მოთავსებული № 75 გამოსახულებით დავკმაყოფილდებით.

ჩნდება, მაგალითად, ცალები, რომლებზედაც კეისარი და წმინდანი წელზემოთაა გამოსახული, ან იმდენად დამახინჯებულია ზედწერილები, რომ ბერძნულთან საერთო არაფერი აქვს; გვხვდება აგრეთვე გადაგვარებული ნიმუშები, რომლებიც სულ არ ემსგავსებიან პირველ პროტოტიპს და სხვ.

მონეტათა ამავე სერიას ეკუთვნის ჯერჯერობით ერთ ცალად

ცნობილი ფრიად საინტერესო და მნიშვნელოვანი ნიმუში, რომელიც ადვილად თარიღდება ზედ აღბეჭდილი გარკვეული ისტორიული პირის სახელის მიხედვით. ვინაიდან კირმანეულის ამ სახეს განსაკუთრებული ისტორიული მნიშვნელობა აქვს, მოგვყავს მისი სრული აღწერილობა.

№ 76. წონა 2.90 გ. მონეტის შ უ ბ ლ ი — ორნამენტულ ჩარჩოში მოთავსებული ქართული ზედწერილი მხედრული ხელით „ვაძეყ". რომელიც შებრუნებულად არის მოცემული. ზ უ რ გ ი — მთელი ტანით პირდაპირ მდგარი ადამიანის უსეში გამოსახულება, რომელიც წმინდა ევგენის უნდა ეკუთვნოდეს, რადგან მარცხნივ შერჩენილია ამ წმინდანის სახელში შემავალი ოთხი ბერძნული ასო: მაგრამ რადგან გამოსახულებას თავზე გვირგვინი ადგას (შერჩენილია გვირგვინის ტოტები) და ირგვლივ შერავანდედი არა აქვს შემოვლებული, შეიძლება მმართველადაც მივიჩნიოთ.

უდავოა, რომ მონეტაზე აღბეჭდილი სახელი ვამეყ პირველს. დადიანს (1384—1396) ეკუთვნის. ვერცხლის ხარისხი და მონეტის მაღალი წონა მოწმობს, რომ იმ დროის მძიმე ეკონომიური პირობების მიუხედავად. საქართველოს ზოგიერთ კუთხეში სრულფასიანი მონეტა მაინც შენახულა.

XIV-XVI საუკუნეების დაკნინებული ქართული ფული

გიორგი ბრწყინვალის (1314—1346 წლები) დროს საქართველო კვლავ გაერთიანდა და წინანდელი საერთაშორისო პოზიციები მოიპოვა. მაგრამ ქვეყნის პოლიტიკური და სამხედრო ძლიერების აღმავლობა ამჯერად ხანგრძლივი არ გამოდგა: ბრწყინვალე გვირგვინოსნის გარდაცვალების 40 წლის შემდეგ, 1386 წელს, საქართველოს შემოესია ვერაგი დამპყრობელი თემურ-ლენგი. ამ შემოსევას 1400 წლამდე კიდევ ოთხი ასეთივე გამანადგურებელი თავდასხმა მოჰყვა. ქართველი ერის გმირულმა წინააღმდეგობამ გააშმაგა დამპყრობელი. უხვად იღვრებოდა ქართველთა სისხლი და იმდროინდელი ირანელი ისტორიკოსის სიტყვით „თოვლს ლალისა და ია-

გუნდისფრად ღებავდა". მოსასლეობასთან ერთად ნაგვურდებოდა შენობები, ნათესები, ნარგავები. „ჩვენს ერსა და სამშობლოს თავისი ხანგრძლივი არსებობის დროს ხშირად უნახავს დიდი უბედურება, მაგრამ თემურ-ლენგისაგან ჩადენილი მტარვალობის მსგავსი არასოდეს თავს არ დასტყდომია... საქართველოზე თემურ-ლენგის შემოსევა-განადგურებამ წარუხოცელი კვალი დასტოვა. წინანდებურად ჩვენმა ერმა და ქვეყანამ აღორძინება ველარ შესძლო". — ამბობს აკად. ივ. ჯავახიშვილი. XV საუკუნეს საქართველო აოხრებული და სისხლისაგან დაცლილი დაუხვდა.

XIV-XV საუკუნეების ქართული მონეტები უკანასკნელ დრომდე ისე იშვიათად ჩნდებოდა. ცნობაში მოყვანილ ცალკე ცალების რაოდენობა იმდენად მცირე და შეუსწავლელი იყო, რომ მათ არსებობას ზოგი მკვლევარი საეჭვოდაც კი ხდიდა: ფიქრობდნენ, რომ საკუთარი ფულის მოჭრა ამ მძიმე დროს საქართველოს არც შეეძლო და არც ეცალა საამისოდო.

მაგრამ სოფელ ალში, მნაში და ქალაქ ვორში აღმოჩენილმა განძებმა გამოავლინა ამ მოსაზრების უსაფუძვლობა და საბოლოოდ დაადასტურა ამდროინდელი ეროვნული ხასიათის ქართული მონეტის არსებობა. უტყუარი ფაქტიური მასალის მიხედვით. ამჟამად ირკვევა, რომ დავით VII-ის სპილენძის მონეტის შემდეგ XIV-XVI საუკუნეებში საკუთრივ ქართული ორიგინალური მონეტის მოჭრა არ შეწყვეტილა.

რა თქმა უნდა, მონეტის გარეგნობა და ზედწერილების შინაარსი ახალ პოლიტიკურ-ეკონომიურ ვითარებასთან დაკავშირებით კვლავ იცვლებოდა და შემდგომ, საქართველოსთვის ყველაზე უფრო მძიმე ორი საუკუნის მანძილზე, საბოლოოდ ეს ცვლებადობა სულ უფრო და უფრო ეშირდება. ამდროინდელი მასალის ზუსტი დათარიღება, დადგენა და განსაზღვრა ახლა ძალიან ფერხდება იმის გამო, რომ მონეტებზე აღბეჭდილი არაბული და ზოგჯერ ქართული ზედწერილები დამახინჯებულია; მონეტების უმრავლესობას არ აქვს თარიღი, მეფის სახელს მამის სახელი აღარ ახლავს. უთარიღო მონეტის შესასწავლად მამის სახელი დიდ სამსახურს გასწევდა, რადგან ერთნაირი სახელის მატარებელი მეფენი, სამეფო

ტიპის მაძიებლები ან ცალკე მფლობელნი ამ პერიოდში რამდენიმეა ცნობილი. ამგვარი მონეტების განსაზღვრისა და დათარიღებისათვის საჭირო ხდება არაპირდაპირი მაჩვენებლების გამოყენება, როგორიცაა. მაგალითად: მონეტის ზომა, წონა, ლითონის სარისხი, ტიპისა და ფაქტურის შედარება, მოჭრის ტექნიკისა და შესრულების მხატვრობის დაპირისპირება ცნობილ ანალოგიებთან და სხვა ასეთი რამ. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, ისე სანდო არ არის, როგორც გარკვეული თარიღი ან კარგად ცნობილი ისტორიული პირის სახელი, მაგრამ განძის შემადგენლობის საშუალებით, სათანადო ანალოგიებისა და დამატებითი ცნობების დასმარებით შესაძლებელი ხდება ამა თუ იმ მონეტის დაფგენა. ამჟამად ქართული ნუმიზმატიკის საერთო კლასიფიკაციაში გარკვეულად გამოიყო XIV-XVI საუკუნეების სამონეტო ტიპები და ამა თუ იმ ისტორიული პირისადმი მონეტების მიკუთვნებაც მოხერხდა.

ზოგიერთი სამონეტო ტიპის განსაზღვრას ის გარემოებაც ართულებს, რომ ჯერ კიდევ XIII საუკუნის საქართველოში დაარსდა რამდენიმე ზარაფხანა (თბილისი, ქუთაისი, ღმანისი, ანისი, ახალციხე). ვინაიდან XIV საუკუნის დამლევისათვის საქართველოს დანაწევრება ღრმავდება, საფიქრებელია, რომ ახლად დაარსებულ პოლიტიკურ ერთეულებში საკუთარი ფულის მოჭრის ტენდენციასაც უნდა ეჩინა თავი. ასეთი მოვლენა უცხოური ნუმიზმატიკიდან უკვე კარგა ხანია ცნობილი იყო, ხოლო ქართული ნუმიზმატიკისათვის ასეთ პირველს და აშკარა მაგალითს იძლევა სომხითის №№ 67 და 68 და ვამეყ დადიანის სახელით მოჭრილი № 76 მონეტები.

ადრე მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლის, მთლიანი საქართველოს „მეფეთა მეფისათვის", დამხასიათებელი ამ რეგალიით განსაზღვრული დროიდან უკვე ცალკეული მძლავრი ფეოდალებიც სარგებლობდნენ და ამ ღონისძიებას პირველ რიგში, ალბათ ახლად დაარსებულ იმერთა სამეფოში გაატარებდნენ.

მაგრამ ვიდრე ასეთ ნიმუშებს გავეცნობით, შევჩერდეთ საერთო სახელმწიფოებრივი ტიპის მონეტებზე, რომლებსაც ჩვენში კიდევ დიდხანს ჭრიდნენ. ზომისა, წონის და ტიპის მიხედვით XIV საუ-

კუნის პირველ ნახევარს უნდა მიეკუთვნოს ვერცხლის მონეტა, რომელიც იშვიათობას წარმოადგენს, რადგან ჯერჯერობით სულ რამდენიმე ცალად არის შემორჩენილი. შუბლის ცენტრში წრეხაზშემოვლებული მსხვილი წერტილია, რომელსაც მარცხნივ და მარჯვნივ არაბულად გადმოცემული რელიგიური ფორმულის მსგავსი ნიშნები აქვს. ზემოთ და ქვემოთ მოთავსებული ორი წრე ოვალურ ჩარჩოს ქმნის, რომლის გარეთ განლაგებულია ქართული ზედწერილი, ზემოთ — „მეფეთა“, ქვემოთ — „მეფე გიორგი“.

ზურგზე ორმაგი რკალით შემოვლებული არაბული სამსტრიქონიანი ზედწერილია, რომელიც სუნიტური რელიგიური ფორმულის მსგავსებას იძლევა (იხ. № 77).

მონეტას თარიღი არ ახლავს, მაგრამ ტექნიკური შესრულებით, ზომა-წონის მაჩვენებლებითა და ფაქტურული თავისებურებებით ის XIV საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება. ტიპოლოგიურადაც ძალიან ახლოს დგას ამ დროს გავრცელებულ სულეიმან ყაანის (1339—1344 წწ..) თბილურ დრამებთან (შეადარეთ ტაბულაზე მოთავსებული № 72), რომელიც ამ მონეტის პროტოტიპს უნდა წარმოადგენდეს. ამასთან დაკავშირებით ინტერესს იწვევს ალბუღა ათაბაგის სამართლის წიგნში დაცული ცნობა, რომ „დიდისა მეფისა გიორგის ჟამს“ (იგულისხმება გიორგი ბრწყინვალე) გავრცელებული ყოფილა ახალი ყაიდის თეთრი, რომელსაც გვიანდელ საბუთებში გიორგაულად იხსენიებენ.

ამ მონეტის გადაკვარებულ საფეხურს წარმოადგენს ნიმუში, რომელზედაც ქართული წარწერები ან ასოები სრულიად გაქრა. ცენტრში მსხვილი წერტილის გვერდით ნიშნების ნაცვლად ორი მომცრო წერტილია, ხოლო ზურგზე მოთავსებული მუსლიმანური სიმბოლო ისეა გამოცვლილი, რომ არც კი იცნობა (იხ. № 78).

ამ მონეტათა დასადგენად და დასათარიღებლად სამსახურს გვიწევს ხაშურის რაიონის სოფ. ალში აღმოჩენილი მოზრდილი განძის შემადგენლობის ანალიზი. განძის ბირთვს წარმოადგენს XIV საუკუნის 204 ჯუჩიდური და გიორგი VII ბაგრატის ძის ვერცხლის 249 მონეტა; აქვე უმცირესი შენარევის სახით მოიპოვება ათიოდე სხვა მონეტა (მათ შორის 5 ზემოაღწერილი), რომლებიც გარეგანი

ნიშნების მიხედვით გაცილებით ადრინდელი ჩანს. გიორგი VII-სადმი ამ მონეტების მიკუთვნება შეუძლებელია, ხოლო XIV საუკუნის პირველ ნახევარში რომელიმე სხვა გიორგი აღარა ჩანს, ამიტომ უკანასკნელი ტიპის მონეტებიც გიორგი ბრწყინვალისა ან უახლეს მომდევნო პერიოდს უნდა მიეკუთვნოს.

ამავე ნიშნების მიხედვით (ზომა, წონა, ფაქტურა, მოჭრის ტექნიკა, განძის შემადგენლობის ანალიზი) დაახლოებით ასევე უნდა დათარიღდეს ვერცხლის მონეტები, რომლებზედაც ცალ მხარეს გამოსახულია მტრედი (იხ. № 79), ან ლომი (იხ. № 80), ანდა ჯიხვი: ირგვლივ, რკალს გარეთ, შემოვლებული აქვს დამახინჯებული არაბული ზედწერილი, ხოლო მეორე მხარე მთლიანად დამახინჯებულ არაბულ ზედწერილს უკავია.

ძალზე იშვიათად ამგვარ მონეტებზე ჯიხვის გამოსახულების ირგვლივ ქართული ზედწერილის ნაწყვეტებია შერჩენილი. მაგრამ ცხოლოდ 2 თუ 3 ცალად შემორჩენილ ასეთ ცალებზე ასომთავრული წარწერის მცირე ნაწილია გადარჩენილი, რომელიც თითქოსდა ბაგრატის სახელში შემავალ ასოებს შეიცავს (იხ. № 81). თუ ასეა, იგი XIV საუკუნეში ერთადერთ ცნობილ ბაგრატს — ბაგრატ მეხუთეს (1360—1393 წწ..) — უნდა მიეკუთვნოს.

ელხანთა სახელმწიფოს დაშლისა და ისტორიულ ასპარეზზე ახალი დამპყრობლის — თემურ-ლენგის გამოჩენამდე სხვადასხვა მუსლიმანური დინასტია (ოქროს ურდო, ჯელაირთა სახელმწიფო) ცდილობდა საქართველოზე გავლენის გავრცელებას, მაგრამ ამ ცდებს მნიშვნელოვანი შედეგი არ მოჰყოლია. ისტორიული წყაროები არაფერს გვეუბნებიან იმის შესახებ, რომ საქართველო რომელიმე აგრესორის მსხვერპლი გამხდარიყო. არსებობს ცნობები, რომ სტრატეგიული მღვომარეობის განმტკიცების მიზნით სამხრეთისაკენ ოქროს ურდომ გამოილაშქრა და სადღაც კახეთში თუ მის მახლობლად დაბანაკდა. ჩვენ არ შევუდგებით იმის გარჩევას, თუ რა გავლენა იქონია ამ ლაშქრობამ ქვეყნის მდგომარეობაზე, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ამ ამბავმა თავისი ასახვა ჰპოვა საქართველოში მოჭრილ მონეტებზე. ჩნდება ჩრდილო ულუსის ყაენის ჯანიბეკისა (1340—1357 წწ.) და ბერდიბეკის (1357—1359 წწ.)

სახელით აღბეჭდილი თბილური დრამები, რომლებიც იმდროინდელ ოქროს ურდოს დანარჩენი მონეტებისაგან მოჭრის ადგილის გარდა არაფრით განსხვავდება. ასეთი მონეტების გაჩენა შეიძლება დავუკავშიროთ საქართველოს მთავრობასა და ოქროს ურდოს შორის მოსალოდნელ შეთანხმებას.

ამ მონეტების გამოშვებას ოქროს ურდოს სამხრეთისაკენ გამოლაშქრებასთან რომ უშუალო კავშირი აქვს, ის გარემოება მოწმობს, რომ ასეთივე ყაიდის დრამები ამიერკავკასიის სხვა ქალაქებშიც მოჭრილა, სახელდობრ, ბელაქანისა, ბაზარის და ყარალაჯის ზარაფხანებში (უკანასკნელი უდავოდ საქართველოს საზღვრებში შედის).

როცა ამიერკავკასიისა და მცირე აზიის საზღვრებს თემურ-ლენგი მოადგა, საქართველო და მეზობელი ჯელაირთა სახელმწიფო საერთო მტრის წინააღმდეგ თავგანწირულ ბრძოლაში გაერთიანდა და ამ სამხედრო კავშირმა თავისი კვალი დაჩნია ნუმიზმატიკურ ძეგლებსაც: ჩნდება საქართველოს მეფის გიორგი VII-ის (1393—1407 წწ.) და სულტან აჰმად ჯელაირის მიერ ერთად მოჭრილი მონეტა, რომელიც ახლად შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის საუკეთესო ამსახველია.

ამ ტიპის ერთ-ერთი ვარიანტის ცალ მხარეს მოთავსებულია არაბული ზედწერილი: „იჭედა თბილისს. მეფე გამარჯვებული გიორგი", ხოლო ზურგზე არაბულადვე — „სულტან აჰმედ ხანი" (იხ. № 82).

მცირე ზომის ამ მონეტის ყველა ზედწერილი არაბულია. საშუალო წონა 0,6 გრამს უდრის (ე. ი. თანამედროვე კაპიკიანის ნახევარზე ცოტა მეტს). ქართული ზედწერილებით აღბეჭდილი გიორგის მონეტა ამავე ზომისა და წონისაა, მაგრამ უკვე ძალიან იშვიათია. ამ ვარიანტის შუბლზე მოთავსებულია ოთხსტრიქონიანი ზედწერილი ასომთავრულად: „მეფეთ მეფე გიორგი", ხოლო ზურგი ზემოაღწერილი მონეტისაგან არ განსხვავდება (იხ. № 83).

ყურადღებას იპყრობს მონეტაზე აღბეჭდილი „გამარჯვებულის" ეპითეტი, რომლის გაჩენა უთუოდ შედეგია თემურ-ლენგზე იმ ბრწყინვალე გამარჯვებისა, რომელზედაც მოგვითხრობს იმდროინ-

ღელი ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე. მისი ცნობით, ქართველებმა არაქსის მთელი მარცხენა ნაპირი დაიპყრეს და აიღეს თემურ-ლენგის მიერ დაკავებული ალინჯის ციხე. ვინაიდან ეს ამბები XIV საუკუნის მიწურულში მომხდარა, მონეტებიც ამ დროით უნდა დათარიღდეს.

არსებობს კიდევ ერთი ძალიან იშვიათი სახესხვაობა, რომელიც ტიპის, ფაქტურისა და ზომა-წონის მიხედვით უფრო XV საუკუნის საბოლოოდ დაკნინებულ მონეტებს უახლოვდება და გიორგი მეშვიდის მეფობის სულ უკანასკნელ წლებს ეკუთვნის.

ამ მონეტის შ უ ბ ლ ზ ე მოთავსებულია ასომთავრული ზედწერილის დაქარაგმება: „გიორგი მეფე"; ზ უ რ გ ზ ე — სრულიად დამახინჯებული ორსტრიქონიანი არაბული ზედწერილი, რომელიც შეიძლება მივამსგავსოთ რელიგიურ ფორმულას (იხ. № 84).

ყველა თავისი გარეგანი ნიშნით ეს ფული ძალიან უახლოვდება გიორგი მეშვიდის მემკვიდრისა და ძმის, კონსტანტინე პირველის მონეტებს.

მუსლიმანური სახელმწიფოების მხრივ საქართველოზე დაუსრულებელი და გამანადგურებელი შემოსევებისა და განსაკუთრებით კი თემურ-ლენგის მრავალგზის თავდასხმის შედეგად XV საუკუნეს საქართველო დაუძლურებული და გაპარტახებული დაუხვდა.

მძიმე ეკონომიურ პირობებთან დაკავშირებით ქართული ფულის გაუარესების პროცესმა, რომელმაც უკვე XIV საუკუნის დამდეგიდანვე იჩინა თავი, ერთი საუკუნის მანძილზე კატასტროფულ საზღვრებს მიაღწია: ქართული მონეტა საბოლოოდ კნინდება. მისი წონა და ზომა სულ უფრო და უფრო ეცემა და ბოლოს საქმე იმით მთავრდება, რომ ნახევარგრამიანი ფირფიტები მონეტის უკანასკნელ მსგავსებას კარგავენ. კატასტროფულ დაცემას განიცდის ვერცხლის ხარისხი და სინჯადობაც. მას ფაქტიურად სპილენძი ცვლის. უარესდება ფულის მოჭრის ტექნიკა და მხატვრული გაფორმებაც. ასეთია XV-XVI საუკუნის ქართული მონეტის გარეგანი ნიშნები, რომლებიც ამ მძიმე პერიოდის ნუმიზმატიკური ძეგლების უმრავლესობას ახასიათებს.

ამდროინდელი ნუმიზმატიკური მასალა ბოლო დრომდე შეუს-

წავლელი იყო. მართალია,რამდენიმე სამონეტო ტიპი ჯერ კიდევ ვ. ლანგუამ გამოაქვეყნა, მაგრამ, როგორც ეტყობა. მასალის ნაკლებობისა და მონეტების ცუდი დაცულობის გამო, ნიმუშების გარკვეული ნაწილი ქრონოლოგიურად ზუსტად ვერ დაადგინა და სწორად ვერ განსაზღვრა.

მაგრამ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცულმა განძებმა (ერთი აღმოჩენილი იყო გორის მიდამოებში, მეორე — სოფ. მნაში) საუკუნეთა წყვდიადით მოცული ქართული ნუმიზმატიკის ამ პერიოდს თანდათან ნათელი მოჰფინა.

მცირეწონიანი მონეტები აქამდე თუ შედარებით კარგი ვერცხლისაგან იჭრებოდა, XV საუკუნის შუა წლებიდან მათი სინჯადობა ეცემა, ხშირად მონეტები ფაქტიურად სპილენძისაა და მხოლოდ ზემოდანაა დაფერცხლილი. ასეთსავე დაცემას განიცდის მონეტის წონა. რომელიც ერთ გრამს მხოლოდ ძალიან იშვიათ შემთხვევაში აღწევს. გადაგვარება ემჩნევა ფულის ტექნიკურ და მხატვრულ შესრულებასაც: მონეტა იმდენად მდარე, პრიმიტიული და ზოგჯერ უხეშია, რომ მთლიანად შენახული გამოსახულებანი ან წარწერები განსაკუთრებულ იშვიათობას წარმოადგენს, ხოლო სრული სახით შერჩესილი ნიმუშის აღმოჩენა ზოგჯერ შეუძლებელი ხდება. ასეთი დეფექტური მონეტების ფოტორეპროდუქციები თავის დანიშნულებას ვერ შეასრულებს, ამიტომ გამოსახულებანი მოცემული გვაქვს მხოლოდ რამდენიმე კარგად შენახული ცალისა.

ამდროინდელი ქართული მონეტისათვის დამახასიათებელი ეს ნაკლოვანებანი საუკეთესო მაჩვენებელია მწვავე ეკონომიური და კულტურული დაქვეითებისა, რომელიც თან მოჰყვა XVI საუკუნის ბოლოსა და XV საუკუნის მთელ მანძილზე საქართველოში მომხდარ ამბებს. თუ ჩვენს ქვეყანაში შექმნილი მძიმე პირობების შესახებ აქამდე უტყუარი საბუთები გვაკლდა, მონეტების წყალობით ეს სურათი სრულდება და მრავალი საინტერესო საკითხი ირკვევა: გამომჟღავნდა იმ ისტორიულ პირთა სია, რომლებსაც ამ დროს საკუთარი ფული უჭრიათ, დადასტურდა, რომ სამონეტო რეგალია მხოლოდ და მხოლოდ მეფის უპირატესობას არ წარმოადგენდა და ამ უფლებებით სხვა ფეოდალებიც სარგებლობდნენ. მონეტის გარეგ-

ნობა, მისი სტილისტური და ტექნიკური ნიშნები. ლითონის მეტისმეტად დაბალი სინჯადობა და წონის უკიდურესი დაცემა — ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ სახელმწიფო საბოლოოდ დასუსტდა და უკიდურეს გაჭირვებას განიცდიდა. აღსანიშნავია, რომ XV ს. მთელ მანძილზე საქართველო ძირითადად საკუთარი ფულით საზრდოობდა, რაც მწვავე ეკონომიური იზოლაციის უტყუარი ნიშანი გახლავთ.

XV საუკუნის ნუმიზმატიკური მასალა შეიძლება სამ უმთავრეს ჯგუფად დავყოთ, რომლებიც თავის მხრივ მრავალ ცალკეულ ტიპად და ვარიანტად ნაწილდება: I ჯგუფი — ქართულ-ზედწერილიანი მონეტები; II ჯგუფი — მუსლიმანურ-ზედწერილიანი მონეტები და III ჯგუფი — უწარწერო, ეგრეთ წოდებული „მუნჯი“ მონეტები, რომლებზედაც მხოლოდ გამოსახულებებია.

გიორგი VII-ის მონეტას (№ 84), რომელიც ჯერ კიდევ შედარებით კარგი ხარისხის ვერცხლისაა, მოსდევს კონსტანტინე I-ის (1407—1411 წწ.) ზუსტად ამავე ტიპის მონეტა, რომელზედაც გიორგის სახელის ნაცვლად კონსტანტინეს სახელია დაქარაგმებული. მაგრამ არც გორისა (XV საუკუნის მეორე ნახევრისა) და არც მნას (XVI საუკუნის პირველი მეოთხედის) განძში ეს მონეტა არ აღმოჩნდა. ორივე დასახელებული განძის ძირითადი ნაწილი კონსტანტინე II-ის მონეტებისაგან შედგება, რომლებსაც, საერთო სიმრავლისა და ვარიანტთა დიდი რაოდენობის მიუხედავად, ზემოაღნიშნულთან საერთო არაფერი აქვს. გარდა ამისა, გიორგი VII-ს მონეტასთან (№ 84) მსგავსების გამო ეს მონეტა XV საუკუნის დასაწყისს უნდა მიეკუთვნოს. გორის განძის შესწავლის დროს გადათვალიერებული და შესწავლილი იყო თითქმის 5000 მონეტა. აქედან XV საუკუნის პირველ მეოთხედს მხოლოდ ერთი ცალი მიეკუთვნება. ეს ნიმუში ძალიან გადასულია. ზედწერილი შებრუნებულად არის მოცემული, მაგრამ ლენინგრადის ერმიტაჟის ცალებთან შედარების შემდეგ ტიპის აღდგენა შესაძლებელი გახდა. მონეტის შუბლზე მოთავსებულია ასომთავრული — „რაე“, რომელიც ქართულ ქრონიკონს წარმოადგენს (რაე=100. ე. ი. 1412 წ.) და ალექსანდრე I-ის ტახტზე ასვლის თარიღს აღნიშნავს. ირგვლივ, რკალის გარეთ

დაქარაგმებულია ასომთავრული ზედწერილი: „მეფეთა მეფე ალექსანდრე". ზურგზე — ორ სტრიქონად ასომთავრული ზედწერილი: „სახელითა ღვთისათა". მონეტათა ცუდი დაცულობის გამო სურათი მოცემული არაა. გორში და მნაში აღმოჩენილმა ამ ორმა შესანიშნავმა განძმა ქართულ ნუმიზმატიკას დიდი სამსახური გაუწია: მართალია, მონეტათა უმრავლესობა არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, მაგრამ, მიუხედავად ამისა. შეიტყო საგრძნობი ხარვეზი, რომელიც არსებობდა ქართულ ნუმიზმატიკაში 1443 წლიდან 1525 წლამდე, აღდგენილია ამდროინდელი ძირითადი სამონეტო ტიპები, გამოკვლეულია ისტორიულ პირთა სახელები.

ლითონის სინჯის გაუარესებამ განსაკუთრებით იჩინა თავი ვახტანგ მეოთხის (1442—1446 წლები) მონეტებზე. რომლებმაც ამასთანავე საგრძნობი ტიპოლოგიური ცვლილება განიცადეს. ძალიან დაბალი სინჯის ვერცხლისაგან მოჭრილ ამ მონეტის შუბლზე სამსტრიქონიანი ქართული ზედწერილია ასომთავრულით: „ღმერთი ემარჯოს"; ზურგზე — ასომთავრულადვე სამ სტრიქონად: „მეფესა ვახტანგს", რომელიც შუბლზე მოცემული ზედწერილის გაგრძელებას წარმოადგენს (იხ. № 85).

გიორგი მერვის (1446-1466-1476) მონეტებიდან ჯერჯერობით ნახულად ორი ტიპია აღმოჩენილი.

პირველი ტიპის შუბლზე ოთხსტრიქონიანი ქართული ზედწერილია გადმოცემული, მოხდენილი ასომთავრულით — „მეფე მეფეთა, მონა ღვთისა გიორგი", ხოლო ზურგზე — ცენტრში ოანაბარტოტიანი ჯვარი, ჩასმული მოხდენილ ფიგურულ ჩარჩოში (იხ. № 86).

მონეტას თარიღი არ უზის, მაგრამ 1466 წელზე გვიან არ მოიჭრებოდა. ქართლიდან განდევნილ და მხოლოდ კახეთის მფლობელად (კახთ ბატონად) ცნობილ გიორგის უკვე სულ სხვა ტიპის მონეტა უნდა მოეჭრა. ცნობილია, რომ მას შემდეგ, რაც იმერთ მეფე ბაგრატმა გიორგი მერვე ქართლიდან განდევნა, უკანასკნელი კიდევ ათი წლის მანძილზე მართავდა კახეთს. უნდა ვივარაუდოთ, რომ კახეთის დამოუკიდებელ სამეფოდ გამოცხადებისა და სათანადო წესების შემოღების შემდეგ იქ აღგილობრივი მონეტა

ბოიკრებოდა. ეს მით უფროა მოსალოდნელი, რომ გიორგი კახთ-ბატონის მეზობლები და მისი პირადი მტრები სწორედ ასე იქცეოდ-ნენ. ვიძლევით სავარაუდო კახური ტიპის მონეტის აღწერილობას (მონეტის ცუდი დაცულობის გამო გამოსახულება არ მოგვყავს).

მონეტის შ უ ბ ლ ი: ორსტრიქონიანი ქართული ზედწერილი ასომთავრულით — „მეფე გიორგი", გაყოფილი ურთიერთგადამკვეთი ორი ხაზით; ზ უ რ გ ი ს მხარე მთლად გლუვია.

გიორგი მეორის ერთ-ერთი მოწინააღმდეგე, რომელმაც მას ქარ-თლის ტახტი წაართვა და კახეთში განდევნა, სახელდობრ, იმერთ მეფე ბაგრატი (1466—1478 წწ.), გვიტოვებს მონეტას, რომელზე-დაც ერთ მხარეს აწერია „მეფე ბაგრატ", ხოლო მეორეზე გამოსახულია ფრთოსანი ცხოველი.

როდის არის მოჭრილი ეს მონეტა, — იმ დროს, როდესაც ბაგ-რატი მალოდ იმერეთს განაგებს, თუ მაშინ, როდესაც მან ქართ-ლიც ხელთ იგდო, — გარკვეულად ამის თქმა ჯერჯერობით ძნელია, რადგან მონეტაზე არც თარიღია და არც სხვა რაიმე განმარტებითი ცნობა. ორივე მოსაზრება თანაბრად დასაშვებია, რადგან ირკვევა, რომ ამ არეულ დროს საკუთარ ფულს მარტო „მეფეთა მეფენი" კი არ ჭრიდნენ, არამედ ის მძლავრი ფეოდალებიც, რომლებიც ცალკე სამფლობელოებს განაგებდნენ. ასეთი იყო, მაგალითად, მესხეთის ათაბაგი ყვარყვარე, რომელსაც რამდენიმე სამონეტო ტიპი დაუ-ტოვებია. ვიძლევით ერთ-ერთი ასეთი სამონეტო ტიპის აღწერი-ლობასა და №87 გამოსახულებას:

ცალ მხარეს—ორსტრიქონიანი ქართული ზედწერილი „ყრ/ყრე" (ყვარყვარე), გადმოცემული მხედრული დამწერლობით, უკუღმა, ხოლო ზურგზე გამოსახულია თევზი.

ეორის განძში ეს სამონეტო ტიპი არ აღმოჩნდა. სამაგიეროდ აქ შედარებით მრავლად არის წარმოდგენილი მისი ვარიანტები, რომლებზედაც ათაბაგის სახელი ასომთავრულით არის გადმოცემუ-ლი ან შეცვლილია არაბულად შესრულებული მუსლიმანური სიმბო-ლოთი, ხოლო თევზის გამოსახულება უცვლელად რჩება.

უხვად არის წარმოდგენილი კონსტანტინეს მონეტები, რომლე-

ბიც, მაგალითად, გორის განძის შემადგენლობის თითქმის ნახევარს შეადგენს და 2000 ცალს აღემატება.

XV საუკუნის მეორე ნახევრის მონეტათა უმრავლესობას კიდევ ერთი თავისებურება ახასიათებს, — მონეტის გამოშვების ტექნიკური პროცესების გამარტივების მიზნით მას მხოლოდ ერთ მხარეს სჭედდნენ და ზედ წარწერას ათავსებდნენ, ხოლო მეორე მხარე ხელუხლებელი და სრულიად გლუვი რჩებოდა. მონეტების მეორე, გაცილებით მცირე ჯგუფი ჩვეულებრივი წესით მზადდებოდა და ამ შემთხვევაში მონეტის ზურგზე უმთავრესად რომელიმე მსეცის ვამოსახულებას ათავსებდნენ.

გარდა ამისა, კონსტანტინეს სახელით აღბეჭდილ მონეტათა ორივე ეს ჯგუფი ერთიმეორისაგან კიდევ სხვა შესამჩნევი ნიშნით განსხვავდება: ორივე ტიპის მონეტაზე აღბეჭდილ სახელს მეფის ტიტული ხან ახლავს, ხან არა.

ამ სიფრიფანა ფირფიტებზე ნეკის ფრჩხილისოდენა სხვადასხვანაირად დაქარაგმებული ასომთავრული ორსტრიქონიანი ზედწერილებია (მაგალითად — „მე/კე", „მე/კს", „მე/კტნე", „მფ/კე", „მფე/კსე", „მფე/კტნე", „კს/ტე", „კსტ/ტნე" და სხვ.). ზედწერილი ზოგჯერ შებრუნებულია, ზოგჯერ ისე დაუდევრად არის შესრულებული, რომ მისი ამოკითხვა გარკვეულ სიძნელეს წარმოადგენს: ასეთი მარტივი მონეტის დამზადების დროს მრავალნაირი დეფექტის დაშვება ან ხელოსნების გამოუცდელობას უნდა მიეწეროს, ანდა იმდროინდელ ყალბი ფულის მომჭრელთა ინიციატივას.

გორში აღმოჩენილი განძი 1505 წლამდე უნდა იყოს ჩაფლული, რადგან იგი დავით IX (1505—1525 წწ.) მონეტებს სულ არ შეიცავს. სამაგიეროდ სოფელ მნასთან უფრო გვიან დაფლულ განიში ქართული ნუმიზმატიკისათვის აქამდე უცნობი ეს ნიმუში უხვად იყო წარმოდგენილი.

დავით მეცხრის მონეტები მოჭრილია ვახტანგ მეოთხის უკვე აღწერილი მონეტის მსგავსად იმ განსხვავებით, რომ აქ სათანადო სახელია აღბეჭდილი, ამიტომ ჩანახატისა და აღწერილობის მოყვანა საჭიროდ არ მიგვაჩნია. ამავე მონეტის რამდენიმე წვრილმან ვარიანტსაც აღარ აღვწერთ. ამდროინდელი ეროვნული ტიპის მონე-

ტებთან ერთად კიდევ სხვა ტიპის მონეტათა ორი ჯგუფი იპრებაეს მონეტები მკვეთრად განსხვავდება როგორც ზემოაღწერილებისაგან, ისე ერთიმეორისაგან, პირველი ჯგუფი ეგრეთ წოდებული „მუნჯი" მონეტებია, რომლებზედაც მხოლოდ გამოსახულებებია და არავითარი წარწერა არა აქვთ, ხოლო მეორე — მინაბაძები, ე. ი. მეზობელ ქვეყნების მონეტათა ყაიდაზე ჩვენში მოჭრილი ნიმუშები.

ასეთი ნიმუშების მხოლოდ ძირითადი დამახასიათებელი ტიპების ჩამოთვლით დავკმაყოფილდებით და უპირველეს ყოვლისა, ე. წ. „მუნჯი" მონეტების აღწერილობას მოვიყვანთ:

მონეტა სიქანაკრავია ცალი მხრიდან და ზედ გამოსახულია ექვსქიმიანი ვარსკვლავი, ე. წ. „სოლომონის ბეჭედი".

მეორე ვარიანტი, — ერთ მხარეზე გამოსახულია თანაბარტოტიანი ჯვარი, რომელიც ბოლოებზე წყვილ-წყვილი ბურთულებით არის შემკული; მეორეზე — უცნობი მხეცი ან ცხოველი.

უცხოური მონეტებიდან, როგორც ეტყობა, ჩვენში XV საუკუნეში ყველაზე მეტად გავრცელებული ყოფილა თურქული და შარვანული, რადგან ორივე დასახელებულ განძში ამდროინდელი თურქული აყჩასი და შარვანული მონეტის მინაბაძები საკმაო რაოდენობით აღმოჩნდა.

დასახელებული ნიმუშები მხოლოდ ცალი მხრიდანაა სიქანაკრავი, მიუხედავად იმისა, რომ ზედწერილები უხეშად დამახინჯებულია. თურქული მონეტის მინაბაძს თარიღიც კი შერჩა, ჰიჯრის 886 (=1482). ამ პირდაპირი თარიღის აღმოჩენა თუნდაც ერთ ნიმუშზე უკვე არავითარ ეჭვს აღარ იწვევს, რომ გორის განძის მონეტების უმრავლესობაც XV საუკუნის ბოლო წლებით თარიღდება.

დავით IX-ის შემდეგ XVI საუკუნის ჩვენებური მონეტები დიდხანს არ ჩანდა და ქართული ნუმიზმატიკის ეს ხარვეზი შეუვსებელი რჩებოდა. იშვიათი იყო ისეთი ნიმუშები, რომლებიც ამჟღავნებდნენ ქართულ წარმოშობას, მაგრამ ქართული ნუმიზმატიკის საერთო კლასიფიკაციაში ადგილს ვერ პოულობდნენ, რადგან მათი განსაზღვრა და მოჭრის ადგილის დადგენა არ ხერხდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ სოფელ პატარა ჯიხაიშში ოციოდე წლის

წინათ აღმოჩენილი განძი თითქმის მთლიანად გაიფანტა, გადარჩენილი მცირე ნაწილის წყალობით შესაძლებელი გახდა თითო-ოროლა სამონეტო ტიპის აღდგენა, განსაზღვრა-დათარიღება და ადრე დაშვებულ შეცდომათა გამოსწორება. აღწერილია ვერცხლის ორი მონეტა, რომლებმაც ქართული ნუმიზმატიკის კლასიფიკაციაში სავსებით გარკვეული ადგილი დაიკავა:

მოგრძო მოყვანილობის წვრილი მონეტის ცალ მხარეს ასომთავრული ორსტრიქონიანი ზედწერილია — „მეფე მეფეთა", რომლის გაგრძელება — „მეფე გიორგი" მოთავსებულია მონეტის მეორე მხარეს (იხ. № 88).

მეორე სამონეტო ტიპი, მოჭრილი მომცრო ზომის მრგვალ ფირფიტაზე, ცალ მხარეს ატარებს პირდაპირ მდგარ გვირგვინოსნის თავის გამოსახულებას, ხოლო მეორე მხარეს ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერაა — „მეფე გიორგი" (იხ. № 89).

XIV-XV საუკუნეების აღწერილ მონეტებთან შედარებით ეს ორი ნიმუში ფულის მოჭრის ნამდვილ შედეგს წარმოადგენს: გამოსახულება მხატვრულად არის შესრულებული და მას პირდაპირ პორტრეტული მსგავსება ემჩნევა.

სიფაქიზე და ხელოვნება, რომელიც ნახატისა და წარწერების გადმოცემაში მჟღავნდება, იმდენად მაღალი და სრულქმნილია, რომ განცვიფრებას იწვევს; საოცარია, როგორ შეძლო ხელოსანმა მცირე ზომის ლითონის ფირფიტაზე ასე ლამაზად, კობტად და მოხდენილად ასეთი მინიატურული გამოსახულებისა და წარწერის მოთავსება. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ შთაბეჭდილება, რომელსაც ეს მონეტები ტოვებენ თანადროულ თურქულ მონეტებთან შედარებით, გაცილებით უკეთესია. სამწუხაროა, რომ განძი, რომელიც მრავალ ასეულ ნიმუშს შეიცავდა და, მათ შორის, შესაძლოა ისეთებსაც, რომლებიც ქართული ნუმიზმატიკის ახალ ფურცლებს გადაგვიშლიდა, თითქმის მთლიანად დაიღუპა და უგზო-უკვლოდ გაიფანტ-გამოიფანტა. გადარჩა მხოლოდ 18 ცალი, მაგრამ მეცნიერებას ამანაც დიდი სამსახური გაუწია. გადარჩენილ ნაწილში ქართულ მონეტებთან ერთად აღმოჩნდა 982 ჰიჯრით (=1574/75 წწ.) დათარიღებული თურქეთის სულტან მურად III-ის ვერცხლის წვრი-

ლი მონეტები. ზემოაღწერილი ქართული მონეტების თარიღის დადგენისა და განსაზღვრისათვის ამ თურქულ მონეტებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

განძში ჩვეულებრივ სინქროსული მონეტები იყრის თავს და, რადგან აქ XVI საუკუნის თურქული მონეტები აღმოჩნდა, ცხადია, ქართულიც ამავე დროისა იქნება. რადგან იმერეთში სწორედ ამ დროს მეფობდა გიორგი II (1564—85 წწ.), ზემოაღნიშნული მონეტებიც მას უნდა მიეკუთვნოს. ეს ძალზე იშვიათი მონეტები უკვე დიდი სანია ცნობილი იყო, მაგრამ მათი განსაზღვრა უთანხმოებას იწვევდა.

ამ უთანხმოების მიზეზი ის გახლდათ, რომ მკვლევართა განკარგულებაში საჭირო მასალა არ მოიპოვებოდა. ახლა ამ განძის შემადგენლობის ანალიზის შედეგად დავას ბოლო მოეღო.

ამრიგად, ამ ნიმუშების აღმოჩენის შემდეგ ირკვევა, რომ სომხითის, ოდიშისა და მესხეთის უკვე დადგენილ ჯგუფს მონეტებისა კიდევ ერთი, ასე ვთქვათ, იმერული სამონეტო ტიპი ემატება. ეს უკანასკნელი მონეტები გვიდასტურებს, რომ XVI საუკუნის დამლევამდე ეროვნული ხასიათის ქართული მონეტების მოჭრა არ შეწყვეტილა და რადგან იმერეთში იჭრებოდა, ანალოგიურ მოვლენას უთუოდ აღმოსავლეთ საქართველოშიც ექნებოდა ადგილი. ამ მოსაზრების სისწორეს ისიც ამტკიცებს, რომ, როგორც ირკვევა, ორიგინალურ ქართულ მონეტასთან ერთად ჩვენში სულ სხვა ტიპისა და შინაარსის მონეტებიც იჭრებოდა, რომლებსაც შემდეგ თავში განვიხილავთ.

თავი მეხუთე

ფეოდალურ-ბატონყმური დაჩაგვრა-ექსპლუატაციის ხანა

ერანული და თურქული ყაიდის XVI-XVIII საუკუნეების მოდელები

XV საუკუნიდან მთელ მცირე აზიასა და ბალკანეთის ნახევარკუნძულის მნიშვნელოვან ნაწილზე თურქ ოსმალთა ბატონობა მტკიცდება. კონსტანტინეპოლის აღებისა და შავი ზღვის სანაპიროების დაპყრობის შემდეგ, თურქებმა დაარღვიეს ევროპასა და აღმოსავლეთს შორის ურთიერთობა, გადაკეტეს მცირე აზიისა და კავკასიის ყელის გავლით დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის არსებული მსოფლიო სავაჭრო გზა. ახალმა სავაჭრო გზებმა — სპარსეთის, ინდოეთისა და ჩინეთისაკენ — ახლა უკვე აფრიკის გარშემო და თეთრი ზღვით რუსეთის მიწა-წყალზე გადაინაცვლეს. საქართველო ახალი სავაჭრო გზებისაგან მოწყვეტილი აღმოჩნდა. შავი ზღვიდან კასპიის ზღვისაკენ მისი მიწა-წყლით მიმავალი ოდესღაც დიდმნიშვნელოვანი სავაჭრო გზა დაეცა; თურქეთი გარდაუვალ ჯებირად აღიმართა დასავლეთის კულტურულ ქვეყნებსა და საქართველოს შორის. ეს პირობები ჩვენი ქვეყნის ხანგრძლივი დაქვეითება-დაცემის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი გახდა.

XVI-XVII სს. საქართველოს ისტორია სისხლით არის დაწერილი. აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან ქვეყანა კვლავ შებოჭილია. საგარეო და საშინაო არახელსაყრელი პირობების გამო ცალკეულ ფეოდალურ სამფლობელოებად დაყოფილ საქართველოს ბრძოლა უხდება ორ საშინელ და მძლავრ მტერთან: მომთაბარე

დამპყრობ თურქ-ოსმალებთან და მსოფლიო ასპარეზზე აღორძინებულ ერანის სახელმწიფოსთან. ჩვენი ქვეყნის ძველ და დაუძინებელ მტერს სეფიანთა ერანს კვლავ გაეღვიძა საქართველოს დაპყრობის მისწრაფებანი, რამაც ახალი საბედისწერო ხიფათი მოუვლინა ჩვენს წინაპრებს.

სამთავროებად დაყოფილ საქართველოში საერთო ეკონომიური ცხოვრება დაირღვა. მძლავრი ფეოდალები საუკუნეთა განმავლობაში ერთმანეთს ეომებოდნენ და ანადგურებდნენ, ერთი მეორეს უსისინებდნენ სპარსელებსა და თურქებს.

ამ ორი აგრესორის ინტერესების შეხლა ხშირად ჩვენი ქვეყნის მიწა-წყალზე ხდებოდა. ნახევარი საუკუნის მანძილზე განუწყვეტლივ ებრძოდნენ ჩვენი წინაპრები დაუნდობელსა და ძლიერ მტერს. XVII ს. ისტორიკოსი გორგიჯანის ძე მოგვითხრობს, რომ ორ ძლიერ მუსლიმანურ სახელმწიფოს შორის მოქცეულმა ქართველებმა „აქეთ იქნიეს ხმალი და იქით, მრავალი ნავნებიც ქნეს, მაგრამ არ იქნა და ვერც რას თავს გაუვიდნენ. ხონთქარმა და ყაენმა საქართველო შუა გაიყვეს: სამცხე, ქართლი და კახეთი ყაენს დარჩა, იმერეთი, ოდიში, აფხაზეთი, გურია და ლაზის ქვეყანა — ხონთქარსა".

ერან-თურქეთის 1555 წლის საზავო ხელშეკრულებით, აღმოსავლეთი საქართველო ერანის მძიმე უღელქვეშ მოჰყვა, ხოლო დასავლეთ საქართველოს თურქი დამპყრობლები აპარტახებდნენ. შესაბამისად ამისა, თურქეთის ბატონობის ქვეშ მოქცეული დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა შემოტანილი თურქული მონეტით იკვებებოდა, ხოლო აღმოსავლეთი — ერანულით.

თურქული ფულის ბრუნვის ისტორიაში XVII საუკუნე აქ გავრცელებული მონეტის — აყჩას — კატასტროფული დაცემით ხასიათდება: ლითონის ხარისხი უარესდება, მონეტის წონა კლებულობს, ზომაც მცირდება. ასეთი დაკნინებული ფული ჩვენში ფართოდ ვრცელდება.

დასავლეთ საქართველოში ამ აყჩაების განძების აღმოჩენათა შემთხვევები ძალიან ხშირია, მაგრამ ირკვევა, რომ თურქეთიდან შემოტანილი წვრილი აყჩაებისა და ზემოაღწერილი ეროვნული ხასიათის მონეტის გარდა, ჩვენში იჭრებოდა უცხოური მონეტების მინაბაძებიც.

ასეთი მონეტების ქართული წარმოშობა არც წინათ იწვევდა ეჭვს, თუმცა კონკრეტული მონაცემები ან რაიმე სხვა მტკიცე საბუთი, მეცნიერებას ხელთ არ ჰქონია. მაგრამ ახლა, როდესაც განსაზღვრულ რაიონში ერთი და იმავე სახის მონეტათა აღმოჩენის შემთხვევები უფრო და უფრო გახშირდა და ამას სხვა ფაქტები დაემატა, დასახელებულ მონეტათა ჰეშმარიტი წარმოშობა სავსებით აშკარა ხდება.

ამის დამადასტურებელ კონკრეტულ მაგალითს იძლევა მახარაძის რაიონის სოფ. ლიხაურის მახლობლად 1945 წელს აღმოჩენილი განძი. რომელიც თავისი შემადგენლობით უდავო ჰეშმარიტებად ხდის ამ მინაბაძების ქართულ წარმოშობას. განძი შეიცავს XVII საუკუნის ასიოდე ოროგინალურ თურქულ აყჩასა. დაახლოებით 1000-ზე მეტ მათ მინაბაძსა და 20-მდე სხვადასხვა ზომის ვერცხლის თხელ ფირფიტას. მინაბაძები სულ სხვადასხვა შტამპით არის შესრულებული. მაგრამ ერთნაირად დამახინჯებული წარწერები აქვს. დასახელებული ვერცხლის ფირფიტები სისქითა და ლითონის ხარისხით ამ მინაბაძებს უდგება და აშკარაა ისინი მინაბაძების მოსაჭრელ ნამზადს წარმოადგენს. რომელსაც თურქეთიდან ან სხვა რომელიმე დაშორებული ადგილიდან აქ არ ჩამოიტანდნენ. მაგრამ მთავარი ის არის, რომ ამ ნამზადთა შორის ორი თუ სამი ფირფიტა ჯვრის მოყვანილობისაა, რაც იმას მოწმობს, რომ მინაბაძების მომჭრელი თვითონ ქრისტიანი თუ არ იყო. ქრისტიან მოსახლეთა შორის, — საქართველოში, ცხოვრობდა.

მინაბაძების ზედწერილები იმდენად დამახინჯებულია, რომ ორიგინალებთან არავითარი მსგავსება არა აქვთ. რის გამო ზედწერილების აღდგენა და მონეტის აღწერილობა შეუძლებელი ხდება. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ სიფრიფანა ფირფიტებზე გამზადებული ფულის ამ ნიშნების დიამეტრი 10-12 მილიმეტრს. ხოლო წონა. ჩვეულებრივ. გრამის მეოთხედს ან მესამედს არ აღემატება. იმდროინდელი ევროპელი მოგზაურის შარდენის გადმოცემით, აყჩა ისეთი პატარა ზომისა ყოფილა. რომ თითებს შორის იკარგებოდა. აღნიშნულის გამო ამ მინაბაძების ფოტორეპროდუქციების გამზადებამ დამაკმაყოფილებელი შედეგი არ მოგვცა და მონეტათა გამოსახულებანი წიგნში მოთავსებული არა გვაქვს.

საქართველოზე თავისი გავლენის განსამტკიცებლად თურქეთსა და ერანს შორის გაუთავებელი ბრძოლა ქვეყნის ეკონომიურ დაქვეითებას იწვევდა. ხან თურქეთისა და ხან ერანის უღელქვეშ მოქცეული ქართველები ძალაუნებურად მონაწილეობდნენ სისხლისმღვრელ და მომქანცველ ბრძოლებში და გამარჯვებულის ფულის ნიშნებით საზრდოობდნენ. მაგრამ არსებობს უტყუარი საბუთები, რომ ამ მძიმე დროსაც ქართულ ზარაფხანებს საკუთარი პროდუქციის გამოშვება არ შეუწყვეტიათ. ნუმიზმატიკური მასალის გარდა, გარეგნულად უცხოურ, ზოგიერთი მონეტის ქართულ წარმოშობაზე წერილობითი წყაროებიც მოგვეპოვება. ფრიად საყურადღებო ცნობები მოჰყავს, მაგალითად, სპარსელ ისტორიკოსს ისკანდერ მუნშს. იგი მოგვითხრობს, რომ ერანის შაჰის თაჰმასპ 1-ის (1524—1576 წწ.) საქართველოზე გალაშქრების შედეგად ქართველთა მეფემ იკისრა ხარკის გადახდა და საკუთარ მონეტაზე შაჰის სახელის მოხსენიება. უფრო კონკრეტული ცნობებია შემორჩენილი XVII საუკუნის წყაროებში, სადაც ნათქვამია, რომ თბილისის ზარაფხანას ადგილობრივი მმართველი როსტომ ხანი (ე. ი. როსტომ მეფე — 1632—1658 წწ.) განაგებდა. ამავე პერიოდის ევროპელი მოგზაური ა რ ქ ა ნ ჯ ე ლ ო ლ ა მ ბ ე რ ტ ი მოგვითხრობს, ლევან II დადიანმა (1611—1657 წწ.) სამეგრელოში სომეხი ვაჭრები რომ დაასახლა და ზარაფხანა დააარსა, აქ სპარსული ყაიდის აბაზიანები მოაჭრევინაო. ლამბერტი განმარტავს, ასეთ მონეტას უმთავრესად სომხები ხმარობდნენ, რომლებიც სავაჭრო მიზნებით ხშირად მოგზაურობდნენ ერანში, ხოლო ადგილობრივი მოსახლეობა უფრო ესპანურს, იტალიურსა და უნგრულ მონეტას ეტანებოდაო.

1909 წ. ამბროლაურთან ნაპოვნი ვერცხლის მონეტების მოზრდილი განძი ისეთ მონეტებს შეიცავს, რომლებიც გარეგანი ნიშნების მიხედვით ძლიერ გვაგონებენ ისკანდერ მუნშის მიერ მოხსენიებულ მონეტებს. განძის მცირე ნაწილი შედგება შაჰ-აბასის სახელით და თბილისის ზარაფხანის ნიშნით აღბეჭდილი აბაზიანებისაგან, ხოლო ძირითადი ბირთვი წარმოდგენილია ოთკუთხა მოყვანილობის მოგრძო პატარა მონეტებით, რომლებიც აღბეჭდილია დამახინჯებული სპარსული წარწერებით და შაჰ-თაჰმასპის სახელს შეი-

ცავს. შვიდასიოდე შემოწმებული ასეთი მონეტიდან აღმოჩენილია 3 თუ 4 ცალი, რომლებსაც შერჩა თარიღი — 963 ჰიჯრა (=1555/56 წ.). აღსანიშნავია, რომ ასეთი მონეტები სოფელ პატარა ჯიხაიშის განძის შემადგენლობაში იყო და ზომით, წონით, მოყვანილობითა და საერთო გარეგნობით ძალიან უახლოვდება იმერთ მეფე გიორგი II-ს მოგრძო ოთხკუთხა (№ 88) მონეტებს.

თურქულ მონეტათა მინაბაძების მსგავსად ამ მონეტების ფოტორეპროდუქციებიც არადამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა და წიგნში მოყვანილი არა გვაქვს.

რაც შეეხება ევროპულ მონეტებს, რომლებსაც არქანჯელო იხსენიებს, საქართველოში, განსაკუთრებით მის დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ მხარეებში, მართლაც ძალიან ხშირია და ამ დროს ევროპასთან აბრეშუმით ვაჭრობის შედეგად არის შემოტანილი.

ახალ პოლიტიკურ გავლენათა გავრცელებასთან და ახალი წესების შემოღებასთან დაკავშირებით აღმოსავლეთ საქართველოს სამონეტო საქმიანობაშიც შესამჩნევი ცვლილებები ხდება. XVII-XVIII საუკუნეების თბილურმა ვერცხლმა დაკარგა ეროვნული ნიშნები და მთლიანად ერანული მონეტის ტიპზე გადავიდა. მონეტის ზომა და წონა შეეფარდებოდა ერანში მიღებულ სტანდარტს; სპარსული ზედწერილი შაჰის სახელს იუწყება; ზედწერილის საკულტო ნაწილი არაბულია, თარიღი — ჰიჯრით არის გადმოცემული. ქართული წარწერა, ქართველი მეფის სახელი, ან თუნდაც ქრისტიანული ლოცვა, არა ჩანს. ერანული მონეტისაგან განმასხვავებელი ნიშანი მხოლოდ მოჭრის ადგილია — თბილისი. ამრიგად, ქართველებისათვის უცხო იდეოლოგიისა და შინაარსის შემცველი ზედწერილები გვაფიქრებინებდა, ეს მონეტები ერანის ზარაფხანის ერთ-ერთი ფილიალის პროდუქციად ჩაგვეთვალა, მაგრამ იმდროინდელი წერილობითი საბუთები ამ აზრს საფუძვლიანად ცვლის.

XVI საუკუნიდან ერანულმა მონეტამ საერთაშორისო ბაზარზე ფართო გავრცელება მიიღო. ერანის გავლენის სფეროში მოქცეული ამიერკავკასიის აღმოსავლეთ ნაწილის ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესები მჭიდროდ იყო ერთმანეთში გადახლართული. საქართველოს სახელმწიფო მოღვაწეებს კარგად ესმოდათ, რომ

ეროვნულ-ქართული ხასიათის ფულის მოჭრა ვერ დააკმაყოფილებდა ქვეყნის მოთხოვნილებას, ასეთ მონეტებს გასავალი მხოლოდ საქართველოში ექნებოდა და ხაზინას სარგებლობას ვერ მოუტანდა. საფიქრებელია, რომ ქართული ფულის გარეგნობის მორიგი შეცვლა სწორედ ამ პოლიტიკური და ეკონომიური ინტერესების მკვეთრი დაპირისპირების შედეგად მოხდა.

ეს სამონეტო ტიპი, რომელიც ასახავდა ერანისაგან ჩვენი ქვეყნის დამოკიდებულებას, საქართველოს XVIII საუკუნის მეორე ნახევრამდე შემორჩა და ზოგჯერ მაშინაც იჭრებოდა, როცა იგი თავს აღწევდა ერანის ბატონობას. მაგალითად, ნადირ-შაჰის სიკვდილის შემდეგ ქვეყანაში არეულობა დაიწყო, რითაც ისარგებლა საქართველომ და მოიშორა ერანის უღელი. მიუხედავად ამისა, აქ წლების მანძილზე განაგრძობდნენ ერანის შაჰის სახელით ფულის მოჭრას, თუმცა კარგად ცნობილია, რომ იმ დროისათვის შაჰის ბატონობას ბოლო მოეღო.

მოყვანილი მოსაზრებანი იმითაც მტკიცდება, რომ უცხოური ტიპის მსგავსად საკუთარი ფულის მოჭრა დამახასიათებელი ყოფილა სხვა ქვეყნებისთვისაც. ამგვარ მოვლენებს ძველთაგანვე ადგილი ჰქონდა მთელ რიგ ქვეყნებში. ერთ-ერთ ასეთ მაგალითს რუსული ნუმიზმატიკიდან მოვიყვანთ: საუკუნე-ნახევრის მანძილზე რუსეთში იჭრებოდა ოქროს მონეტა, რომელიც ჰოლანდიურისაგან არაფრით განსხვავდებოდა.

ყველაფერი ეს საბოლოოდ აძლიერებს მოსაზრებას, რომ XVI საუკუნიდან დაწყებული რუსეთთან შეერთებამდე საქართველოში იჭრებოდა საკუთარი ფული, რომელიც განსაკუთრებული პირობების გამო ერანული ყაიდისა იყო. ზოგჯერ ამა თუ იმ მიზეზით საქართველოს მთავრობა იზღუდებოდა თავის მოქმედებაში და ფულის მოჭრაც დროებით წყდებოდა. მაგრამ ძირითადად სამონეტო საქმიანობა კვლავ მის ხელში იყო და ამიტომ ერანული ყაიდის ფულიც საკუთრივ ქართულ მონეტათა რიცხვში უნდა იქნას შეტანილი.

XVII-XVIII საუკუნეების თბილური ვერცხლის მონეტებზე აღბეჭდილია უცხო მფლობელების, ერანის შაჰების შემდეგი სახე-

ლები: აბას პირველი (1587—1628), აბას მეორე (1642—1667). სულეიმანი (1667—1694), ჰუსეინი (1694—1722) სეფიანთ გვარეულობიდან და ნადირ-შაჰი (1736—1747), იბრაჰიმი (1748—49) და შაჰროხი (1748—1799) ავშარიანთა გვარეულობიდან.

ერანული ყაიდით მოჭრილ ამ მონეტებზე მორიგი შაჰის სახელის, მოჭრის ადგილისა და ჰიჯრის გარდა, მუსლიმანური რელიგიური ფორმულები ან ლოცვანია მოთავსებული, რის გამო მათ წვრილ ვარიანტთა რაოდენობა ძალზე დიდია. ყველა მათგანი ზუსტად რომ აღვწეროთ, ეს ძალზე შორს წაგვიყვანს და ამიტომ დავკმაყოფილდებით აქ მოყვანილი მოკლე შენიშვნებით.

ყველაზე უფრო მეტი გავრცელება ჩვენში ვერცხლის აბაზიანს ჰქონია (იხ. №№ 90 და 91), შემდეგ მის წილადებს: ორშაურიანს, მაჰმუდის ანუ, როგორც მას კიდევ უწოდებენ, უზალთუნს (იხ. № 92), შედარებით უფრო იშვიათად ჩნდება შაური, რომელიც აბაზის მეოთხედს უდრიდა (იხ. № 93), გაცილებით მეტ იშვიათობას წარმოადგენს მსხვილი ნომინალი, სახელდობრ, ნახევარშარჩილი (უდრის ექვსშაურიანს ანუ — 1,5 აბაზიანს) და ფანჯშაჰი (ხუთშაურიანს, იხ. № 94). უკნინესი ვერცხლის ნომინალი ბისტი იყო (2,5 ბისტი ერთ შაურს უდრის, იხ. № 95). რომელსაც იშვიათ შემთხვევებში, სპეციალური დანიშნულებისათვის. მაგალითად ნოვრუზბაირამობის დროს მოწყალების დასარიგებლად გამონაკლისის სახით ჭრიდნენ. 1789 წლით დათარიღებულ ერთ-ერთ საბუთში ჩაწერილია ცნობა, რომ „ოქრო შაურებადაც მოჭრილა სანავრუზოდ“ (ე. ი. საახალწლო საჩუქრებისათვის).

წერილობითი წყაროების მოწმობით, ჩვენში უფრო მსხვილი ნომინალი მინალთუნი ყოფილა, მაგრამ ეს დასტურდება მხოლოდ ბრიტანეთის კატალოგის ჩანაწერით. ამავე წყაროებში მოიპოვება ცნობები მონეტათა რეალური ღირებულებისა და მათი ურთიერთშეფარდების შესახებ.

თურქეთსა და ირანს შორის არსებულ განუწყვეტელ ცილობას მოჰყვა 1136 ჰიჯრას (723/724 წწ.) თურქების მიერ აღმოსავლეთ საქართველოს აოხრება და დროებითი ოკუპაცია, რის შედეგად თბილისის ზარაფხანა თურქული ყაიდის მონეტის გამოშვებაზე გადავი-

და. ნომინალთა ურთიერთშეფარდება ძველი დარჩა და მანამდე პრუნვაში არსებული ერანული ფულის მსგავსად წარმოებდა.

ამ ახალ მონეტებზე აღბეჭდილია შესაბამისი სულტნის სახელი (აჰმედ მესამე, 1703—1730 წლები ან მაჰმუდ პირველი, 1730—1754 წლები), თითოეულ ჯგუფს თავისი დამოუკიდებელი და განსაკუთრებული ტიპი აქვს. აჰმედ მესამის სამონეტო ტიპის ძირითადი სახის შ უ ბ ლ ზ ე მოთავსებულია სულტნის სახელისა და ტიტულის ასოებისაგან შემდგარი რთული მონოგრამა, ე. წ. „ტუღრა", რომლის ქვეშ არაბულად აწერია — „იჭედა თბილისს" და შემდეგ — აჰმედის ტახტზე ასვლის ინიციალური თარიღი — 1115 ჰიჯრა; ზ უ რ გ ზ ე კი — ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი, რომელიც ახსენებს „ორი ხმელეთის სულტანს და ორი ზღვის ყაენს სულტანის ძე სულტანს" აჰმედს.

ტაბულაზე მოთავსებულია მხოლოდ ერთი ნომინალის — ონლიყის — გამოსახულება (იხ. № 96), რადგან მისი წილადები ბეშლიყი და ნიბბეშლიყი, რომლებიც შესაბამის სპარსულ ორშაურიანსა და შაურიანს უდრის, ზუსტად ამავე ტიპისაა. მსხვილი ნომინალი ონლიყი საკმაოდ გავრცელებული მონეტაა, დანარჩენები კი შედარებით იშვიათად ჩნდება.

მაჰმუდ პირველის დროს სამონეტო ტიპი მარტივდება.

მონეტის შუბლზე თავსდება მხოლოდ მაჰმუდ პირველის „ტუღრა". ზურგზე — არაბულად — „იჭედა თბილისს" და ქვეშ — მაჰმუდის ტახტზე ასვლის ინიციალური თარიღი — 1143 ჰიჯრა (=1730/31 წწ).

ერთი და იმავე ტიპით მოჭრილი და მხოლოდ ორ ნომინალად ცნობილი ონლიყი (№ 97) და ბეშლიყი შედარებით უფრო იშვიათია.

განსაკუთრებული იშვიათობის სახით ჩნდება ოქროს მონეტა — ალთუნი (იხ. № 98), რომელიც უმთავრესად ვერცხლის მონეტის ტიპს იმეორებს და, ეტყობა, მხოლოდ აჰმედის დროს იჭრებოდა.

თურქთა ოკუპაცია ხანგრძლივი არ იყო. ერანის ნიჭიერი მხედართმთავრის ნადირის ლაშქრობამ აღმოსავლეთ საქართველოში ოსმალთა ბატონობას ბოლო მოუღო. მან კვლავ განამტკიცა ერანის შერყეული პოზიციები და სახელმწიფოს ძველი საზღვრები აღად-

გინა. აღმოსავლეთ საქართველოც ისევ ერანის გავლენის ქვეშ მოექცა. ერანის ტახტის ხელში ჩაგდებისთანავე ნადირ-შაჰმა (1736—1747 წწ.) თავისი სახელით ფულის მოჭრა დაიწყო. ახალმა მბრძანებელმა ფულის სისტემა შეცვალა და ძველ აბაზიანს გვერდით ახალი ნომინალი—„ნადირი" მიუყენა. დაახლოებით 11,5 გრამიანი ეს ახალი მონეტა იმდროინდელ ბაბურიდულ (ინდოეთი) რუფიას უდრიდა. თბილისის ზარაფხანამ 1150, 1151, 1152, 1153 ჰიჯრით დათარიღებული ასეთი „ნადირი" და „ნახევარნადირი" საკმაო რაოდენობით დაგვიტოვა (იხ. № 98-ა). ამავე ტიპის უფრო წვრილი ნომინალი—შაჰი (ანუ შაურიანი) გაცილებით ნაკლები რაოდენობით ჩნდება.

ნადირ-შაჰის მკვლელობის შემდეგ ერანში ატეხილი ანარქიისა და ერანის გავლენისაგან საქართველოს თავის დაღწევის მიუხედავად, თბილისის ზარაფხანა ტრადიციულად განაგრძობს ერანული ტიპის მონეტების გამოშვებას. ნადირის მემკვიდრეების — იბრაჰიმ შაჰისა და შაჰროხის — სახელით აღბეჭდილი თბილური აბაზიანები იშვიათ მოვლენას არ წარმოადგენს და ჩვენამდე საკმაო რაოდენობით მოაღწია (იხ. № 99). ძალზე იშვიათად ასეთივე ტიპის. 1160 ჰიჯრით (=1747 წ.) აღბეჭდილი და თბილისის ზარაფხანაში მოჭრილი ოქროს მონეტა აშრეფიც გვხვდება.

როგორც წერილობითი საბუთებით, ისე უშუალო ნუმიზმატიკური ფაქტებით დასტურდება, რომ ერანული ყაიდის ქართული ფულის მოჭრა ძირითადად ეკონომიური მოსაზრებებით იყო ნაკარნახევი, რასაც პოლიტიკური ვითარებაც უწყობდა ხელს — ქართლის მეფენი არ უარყოფდნენ ერანის შაჰის უზენაესობას.

XVII-XVIII საუკუნეების თბილურმა ვერცხლის მონეტამ მთლად დაკარგა ქართულ-ეროვნული ნიშნები და ერანული მონეტის ზუსტ განმეორებასღა წარმოადგენდა. მაგრამ ჩვენს ხელთაა სხვა დამაჯერებელი საბუთები, რომლებიც უდავოდ გვიდასტურებენ ამ მონეტების ქართულ წარმოშობას.

1. წერილობითი წყაროებით დასტურდება, რომ XVII ს. შუაწლებიდან თბილისის ზარაფხანა ქართველების ხელშია.

2. თეიმურაზ ბატონიშვილი 1678 წელს რუს ხელმწიფეს სწერს, რომ სულეიმან შაჰი ომით ემუქრება ვახტანგ-შახნავაზს რიგი მიზეზების, კერძოდ, საკუთარი ფულის მოჭრის გამო.

3. ვახტანგ VI-ის XVIII საუკუნის დასაწყისის კანონთა კრებული შეიცავს „თეთრის გარიგების“ სპეციალურ კარს, სადაც გათვალისწინებულია ფულის მოჭრის პროცედურა და წესები. ცხადია, რომ ეს კანონები ქართველებისთვისაა და არა სპარსელებისთვის;

4. XVIII საუკუნის შუა წლებში პაპუნა ორბელიანი წერს, რომ „გამოიტანეს მეფეთა ჩვენთა (თეიმურაზმა და ერეკლემ) თვისისა სალაროთი ოქროსა და ვერცხლის იარაღი, მისცეს ზარაფხანაში, მოაჭრევინეს ფლური და თეთრი და აძლევდნენ ჯარს, ცდილობდნენ კიდევ შეყრასა ჯარისასა“.

5. XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსი მოგზაური კაპიტანი იაზიკოვი პირდაპირ ამბობს, — «деньги грузины имеют свои, только выше монеты нет как в 30 копеек серебром и называется абаз».

6. დამახასიათებელია, რომ ამ საბუთების თანადროული თბილისური ვერცხლის მონეტები გარეგნულად ერანულია და ქართული არაფერი სცხია. ამასთან დაკავშირებით იბადება კითხვა — რატომ იკავებდნენ თავს ქართველი ფინანსისტები გარეგნულად ქართული მონეტების გამოშვებისაგან და რატომ აძლევდნენ მას ერანული ფულის სახეს?

7. გარკვეულ პასუხს ამ კითხვაზე ფაქტიურად არქანჯელო ლამბერტი იძლევა, როდესაც ამბობს, რომ ლევან დადიანის ზარაფხანიდან გამოშვებულ აბაზიანებს ხმარობდნენ სომხები, რომლებიც სავაჭროდ ერანში მოგზაურობდნენო. ანალოგიური მაგალითები უცხო ქვეყნების ნუმიზმატიკიდან ხშირია და დამაჯერებლად ხსნის ეგრეთ წოდებულ „სავაჭრო მონეტის“ გაჩენის ჭეშმარიტ მიზეზს.

ყოველივე ეს იმის მაჩვენებელია, რომ ერანული ყაიდის თბილური ვერცხლის გაჩენა ნაკარნახევი იყო, ერთი მხრივ, ერანისაგან დამოკიდებულებით, ხოლო, მეორე მხრივ, საკუთარი მონეტისათვის ფართო გასავლის მიცემის სურვილით. აქ პოლიტიკური და ეკონომიური ინტერესების მკვეთრი დაპირისპირების საუკეთესო მაგალითს ვხედავთ.

თბილისის ზარაფხანიდან ერანული ყაიდის ასეთი მონეტის გამოშვება 1765 წლამდე გრძელდება, როდესაც ვერცხლის მონეტების გარეგნობაში შეტანილ იქნა შესამჩნევი ცვლილებანი.

XVII—XVIII ს ს. თბილური შავი ფული

აღმოსავლეთ საქართველოში სპილენძის მონეტის გამოშვება XVII საუკუნის დამდეგიდანვე განახლდა, მაგრამ ამ საუკუნის მთელ მანძილზე მონეტა უსახელოა. საკუთარი სახელი მასზე აღბეჭდილი არ არის. მონეტის ერთ გვერდზე მოთავსებული სპარსული ზედწერილი მხოლოდ მოჭრის ადგილსა (თბილისი) და თარიღს (ჰიჯრით) შეიცავს. მეორე გვერდზე სხვადასხვა გამოსახულებაა, მაგალითად: ლომი, ირემი, მზის სახე, ცხენი, ფარშავანგი, მარტორქა და სხვა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ტიპის ნიმუშები დინასტიური ხასიათის ცნობებს არ შეიცავს, ისინი მაინც არსებითად საერთო სახელმწიფოებრივსა და არა ქალაქურ მონეტებს წარმოადგენს. სპილენძის ფულის მოჭრის ანალოგიური წესები ერანის სხვა სამფლობელოებსა და ქალაქებშიც იყო შემოღებული, ამიტომ ცხადია, რომ XVII საუკუნის თბილური შავი მონეტაც ერანული ყაიდით იჭრებოდა.

მაგრამ უკვე XVIII საუკუნის დაწყებისთანავე თბილურ სპილენძის მონეტას შესამჩნევი ცვლილება დაეტყო, — ჩნდება ქართლის მეფისა ან მმართველის სახელები უტიტულოდ. ამ სახის მონეტამ საქართველოს მეფობის დაცემამდე მოაღწია. ამრიგად, მონეტათა ეს სერია ორ დამოუკიდებელ და განსხვავებულ ჯგუფად იყოფა:

1. XVII საუკუნის თბილური უსახელო სპილენძის მონეტები და 2. XVIII საუკუნის ქართლის მეფეთა სახელებით აღბეჭდილი მონეტები.

თავის მხრივ ეს ჯგუფებიც მრავალ ცალკე ტიპსა და წვრილ ვარიანტს იძლევა, რომელსაც ჩვენ აქ არ შევეხებით, რადგან ძირითადი სახე თითქმის უცვლელია. ხშირად იცვლება მხოლოდ თარიღი და გამოსახულების სიუჟეტი. XVIII საუკუნის სპილენძის მონეტათა სახეობანი უფრო მრავალფეროვანია, რადგან თარიღისა და გამოსახულების გარდა აქ სახელებიც იცვლება.

მონეტის ტიპის ეს უკანასკნელი ცვლილება ისევ დიდმნიშვნელოვან პოლიტიკურ ამბებთან არის დაკავშირებული. ოსმალებთან

ძლევამოსილი ომების შედეგად XVIII საუკუნის დასაწყისიდან რუსეთმა სწრაფად იწყო გაძლიერება, ოსმალეთი კი თანდათან კარგავდა თავის ძლიერებას და ხელიდან ეცლებოდა ბალკანეთისა და შავი ზღვის სანაპიროების სამფლობელოთა მნიშვნელოვანი ნაწილი. ამ პერიოდში პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება საქართველოსაც დაეტყო. ეს განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა მას შემდეგ, რაც რუსეთი მტკიცედ დამკვიდრდა შავი ზღვის სანაპიროზე და ახალი ტერიტორიები შემოიერთა. სულ მალე ჩრდილო კავკასიაც რუსეთის ხელში გადადის და მას ბოსფორის გზით ზღვაში გასვლის საშუალება ეძლევა. რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებამ საგრძნობლად შეასუსტა ეკონომიური დახშულობა, რომელსაც საუკუნეთა მანძილზე განიცდიდა ჩვენი ქვეყანა. საქართველო კვლავ ებმება კულტურულ ქვეყნებთან ურთიერთობაში და საერთო საქონელბრუნვაში მონაწილეობას იღებს.

თბილისის ზარაფხანა, რომელიც აქამდე მხოლოდ სპარსული ყაიდის ნიმუშებს უშვებდა, მონეტის გარეგნობას თანდათანობით ცვლის და ინდივიდუალურ ნიშნებს უმატებს: ჩნდება მეფეთა სახელების მაუწყებელი ქართული ზედწერილი, ევროპული თარიღი, შემდეგ — ბაგრატიონთა საგვარეულო ღერბი და ბოლოს რუსეთის საიმპერატორო ემბლემა — ორთავიანი არწივი. მაგრამ მოჭრის ადგილის აღმნიშვნელი წარწერა რუსეთთან შეერთებამდე მაინც ერანული რჩება.

რადგან XVII-XVIII საუკუნის თბილური შავის მრავალფეროვანი წვრილმანი ვარიანტის დაწვრილებითი აღწერილობა ბევრ ადგილსა და დროს წაგვართმევდა, დავკმაყოფილდეთ ძირითადი ტიპების ჩამოთვლით და აღვნიშნოთ საჭირო ცნობები ზედწერილების შინაარსის, გამოსახულების ხასიათის, თარიღისა და სახელების შესახებ

როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, XVII საუკუნის უსახელო თბილური სპილენძის მონეტის ზედწერილები ტრაფარეტულია, — თითქმის 100 წლის მანძილზე მონეტის ერთ გვერდზე მოთავსებული სპარსული ზედწერილი 1605 წლიდან 1700 წლამდე ერთნაირი შინაარსისაა, — „იჭედა ფულუსი თბილისს...“, რომელსაც სათანა-

დო თარიღი (ჰიჯრით) მოსდევს. მასალა ქრონოლოგიური თანმიმ-
დევრობით გვექნება დალაგებული. მაგრამ იმ შემთხვევაში თუ მო-
ნეტა გადასულია, ან სხვა ზიანი აქვს და თარიღი შერჩენილი არაა,
დამატებით მონაცემებს გამოვიყენებთ (ზომა, წონა, ტიპოლოგიური.
ფაქტურული და სხვა ნიშნები). რადგან ამ ჯგუფის მონეტები ერთი
მეორისაგან არსებითად გამოსახულებათა სიუჟეტით განსხვავდე-
ბიან, დავკმაყოფილდეთ უბრალო სიით, რომელიც დაახლოებით
ასე გამოიყურება:

№ 100 — მარცხნივ მიბრუნებული ლომის გამოსახულება. 1014 ჰიჯრის წელი (=1605/1606 წწ.);

№ 101 — ირმის გამოსახულება, თარიღი არა ჩანს;

№ 102 — ლომის გამოსახულება ზურგზე მზით; 1033 ჰიჯ. წ. (=1623/1624 წწ.);

№ 103 — მზის სახე; 1075 ჰიჯ. წ. (=1664/1665 წწ.);

№ 104 — ვეშაპზე შემდგარი ხარის გამოსახულება 1081 ჰიჯ. წ. (=1671/1672 წწ.);

№ 105 — მარჯვნივ მიბრუნებული ლომის გამოსახულება 1090 ჰიჯ. წ. (=1679/1680 წწ.);

№ 106 — მარჯვნივ მიბრუნებული ცხენის გამოსახულება 1091—1096 ჰიჯ. წ. (=1680/1684 წწ.);

№ 107 — მარჯვნივ მიბრუნებული ფარშავანგის გამოსახულება 1103 ჰიჯ. წ. (=1691/1692 წწ.);

№ 108 — მარჯვნივ მიბრუნებული მარტორქას გამოსახულება 1112 ჰიჯ. წ. (=1700/1701 წწ.);

XVIII საუკუნის დამდეგიდანვე თბილურ სპილენძის მონეტას არსებითი ცვლილება დაეტყო: ზურგზე მოთავსებული ტრაფარეტული ზედწერილის შინაარსი ხელუხლებელი რჩება, თანმიმდევრობით იცვლება თარიღი, შუბლზე გამოსახულების სიუჟეტი და ჩნდება ქართლის მეფეთა მხედრული ხელით დაქარაგმებული სახელები. პირველი ასეთი მონეტა ვახტანგ VI ეკუთვნის.

№ 109. შუბლზე გამოსახულია ხომალდი, ქვემოთ ევროპული თარიღი 1708 ან 1709.

ზურგზე ზოდიაქური თევზები, ვახტანგის სახელის დაქარაგმე-

ბა („ვნგ“ ან „ვტგ“) ირგვლივ განლაგებული ტრაფარეტული სპარსული ზედწერილით და 1120 ჰიჯ. (=1708/1709 წწ.);

№ 110. ფრთოსანი ურჩხული, ირგვლივ სიმონის სახელის დაქარაგმებით — „სმნ“; ზურგზე ტრაფარეტული სპარსული ზედწერილი და 1124 ჰიჯ. წ. (=1712/1713 წწ.);

№ 111. ფარშავანგი, ირგვლივ ბაქარის სახელის დაქარაგმება — „ბქრ“; ზურგზე ჩვეულებრივი ზედწერილი და თარიღი ჰიჯრით 1130 ან 1131 (=1717/1719 წწ.);

№ 112 XVIII საუკუნისათვის გამონაკლისს წარმოადგენს, რადგან უსახელო ტიპებს უბრუნდება. შუბლზე გამოსახულია ლომი, რომელიც შველს გლეჯს; ტრაფარეტული ზედწერილი და 1148 ჰიჯ. წ. (=1735/1736 წწ.); აღმოსავლეთი საქართველო ამ დროს თურქთა ოკუპაციის ქვეშ იმყოფებოდა და ეტყობა სამონეტო ტიპის შეცვლა ამ მიზეზით მომხდარა.

თეიმურაზ II დროს იჭრება № 113 მონეტა, რომელზედაც მოთავსებულია ლომის გამოსახულება, ირგვლივ დაქარაგმებული მისი სახელით — „თმრზ“; ტრაფარეტული ზედწერილი და 1162 ჰიჯ. წ. (=1748/1749 წწ.);

თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის თანამეფობის დროს სპილენძის მონეტათა წარწერის ხასიათი იცვლება;

№ 114-ის შ უ ბ ლ ზ ე გამოსახულია შევარდენი, რომელიც წეროს ჰკორტნის; ზ უ რ გ ზ ე სპარსულად წერია „მონა ღვთისა“, ქვემოთ — თარიღი ჰიჯრით (1166, 1168 ან 1169=1752—1756 წწ.), მესამე და მეოთხე სტრიქონზე — „იჭედა თბილისს“. თარიღის მარცხნივ და მარჯვნივ — ქართული წარწერა — „თე“ და „ერ“ (თეიმურაზ, ერეკლე).

დაახლოებით ამ დროს იწყება თბილური ვერცხლის მონეტის ტიპის შეცვლა; ამავე დროს ხდება სპილენძის მონეტის გარეგნული გამოცვლაც.

თავდაპირველად ერეკლე II ათავსებს მონეტის (№ 115) შუბლზე ბაგრატიონთა საგვარეულო ღერბის გამოსახულებას (გვირგვინი, სასწორი, სფერო, სკიპტრა და მახვილი), ხოლო ზურგზე, ფიგურულ ჩარჩოში ასომთავრულით თავის სახელს „ერეკლე“. ქვემოთ —

სპარსულად — „იჭედა თბილისს 1179“ (=1765/1766 წწ.). აქამდე თუ მხოლოდ ორი ნომინალი იჭრებოდა, — ნახევარბისტიანი (წონა დაახლოებით 8—10 გ.) და ფულიანი (წონა — 3.0 — 4.5 გ.). ერეკლე II-ის ამ სამონეტო ტიპს კიდევ ორი ნომინალი მოემატა — შაურიანი და ბისტიანი.

დაახლოებით ათი წლის შემდეგ, სახელდობრ 1190 ჰიჯრის წელს (=1776/1777 წწ.), სამონეტო ტიპი იცვლება და ბაგრატიონთა საგვარეულო ღერბის ნაცვლად ჩნდება თევზის გამოსახულება, ხოლო ზურგზე ერეკლეს სახელი ჩარჩოში აღარაა მოთავსებული. დანარჩენი, ზემოაღნიშნული თარიღის გარდა, უცვლელი რჩება (იხ. № 116).

ათიოდე წლის შემდეგ სამონეტო ტიპი კვლავ იცვლება. — № 117 მონეტის შუბლზე ჩნდება ორთავიანი არწივი, ზურგზე, თარიღის გარდა, ყველაფერი ისეთივეა, როგორც ზემოხსენებულზე.

ამ ტიპის მონეტებზე თარიღი ორნაირია, — ზურგზე ჰიჯრით (1201, 1202 და 1203=1786—1789), შუბლზე — არწივის კუდთან — ევროპული — 1787, 1789 და შეცდომით — 1781. არის ცალები, რომლებზედაც ევროპული თარიღი სულ არაა. ეს სამონეტო ტიპი სამ ნომინალად იჭრებოდა, — ბისტი, ნახევრიანი და ფული (ბისტის ერთი მეხუთედი).

ერეკლე II-ის მონეტის უკანასკნელი ვარიანტი მოჭრილი ჰიჯრის 1210 წელს (=1795/1796 წწ.) გამოირჩევა იმით, რომ რუსეთის ღერბი — ორთავიანი არწივი — შეცვლილია ცალთავიანი არწივის გამოსახულებით. არწივის კუდთან ევროპული თარიღია — 1796 (იხ. № 118).

საქართველოს ტახტზე ბაგრატიონთა უკანასკნელი წარმომადგენელი ჭრის თევზის გამოსახულებიან ისეთივე მონეტას, როგორიცაა ერეკლე II-ის № 116 მონეტა. ოღონდ აქ ერეკლეს სახელის ნაცვლად გიორგის სახელია და გამოშვების თარიღიც სათანადოდ შეცვლილია „1213“ (=1798/1799 წწ.).

არსებობს კიდევ ერთი მონეტა, რომელსაც ამ სერიაში ქრონოლოგიურად ბოლო ადგილი უკავია. მონეტა უსახელოა, მაგრამ მისი განსაზღვრა თარიღის მიხედვით ხერხდება. უდავოა, რომ იგი ბატონიშვილ დავით გიორგის ძეს ეკუთვნის. ეს უნიკალური მონეტა

მ. ბარათაშვილის კოლექციის სხვა ნიმუშებთან ერთად ბერლინის მუზეუმში მოჰყვა და, რადგან ვერც დედანს და ვერც ანაბეჭდს ვერ მივწვდით, ვკმაყოფილდებით მონეტის ყოფილი მფლობელის ცნობილ შრომაში მოყვანილი აღწერილობით: მონეტის შუბლზე მოთავსებულია ფარშავანგის გამოსახულება მარცხნივ. ქვემოთ თარიღი ჰიჯრით — 1215 (=1800—1801 წწ.); ხოლო ზურგზე, — ქართულად, ოთხი ასო — „ტფილს", თბილისი.

მიუხედავად ამდროინდელი სპილენძის მონეტების სიმრავლისა და ვარიანტთა მრავალფეროვნებისა, ამ თბილური შავი ფულის თითქმის ერთი მესამედი მეფე ერეკლეს მონეტებს უკავია. მაგრამ მრავალრიცხოვან მონეტათა შორისაც ზოგი განსაკუთრებულ იშვიათობას წარმოადგენს. სახელდობრ, 1179 ჰიჯრით დათარიღებული და ბაგრატიონთა საგვარეულო ღერბით აღბეჭდილი შაურიანი სულ ორ ცალად არის ცნობილი, ერთი ლენინგრადის სახელმწიფო ერმიტაჟშია, მეორე მოსკოვის საისტორიო მუზეუმში; უნიკალურია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული ერეკლე II-ის ბისტიანიც.

ცნობილია აგრეთვე 1781 წლით დათარიღებული სპილენძის მონეტის საინტერესო ვარიანტი ორთავიანი არწივის გამოსახულებითა და დამახინჯებული ქართული და სპარსული წარწერებით. მეფე ერეკლეს დანარჩენი მონეტებისაგან ეს ვარიანტი შესრულების მაღალი ტექნიკით განსხვავდება. მოჭრილი უნდა იყოს ეკატერინობურგის ზარაფხანაში. ერეკლეს მონეტათა გადათვალიერებულ მრავალ ასეულ ცალიდან ეს ვარიანტი ჩვენ მხოლოდ ორ თუ სამ ცალად შეგვხვდა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ისიხი საცდელად იყო მოჭრილი. იშვიათობას წარმოადგენს მონეტები, რომლებიც ერეკლეს თვითონ არ უჭრია, მაგრამ სპეციალური დადამღვის შედეგად საკუთარ მონეტად გადაუქცევია. მონეტის დადამღვის წესი, რომელიც ჩვენში XII საუკუნის ბოლოს იყო შემოღებული და XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ქრება, თეიმურაზ II-ის დროს, XVIII საუკუნეში, კვლავ აღორძინდა.

თეიმურაზის დამღა წარმოადგენს ჩარჩოში ჩასმულ მისივე სახელის ინიციალურ ასოს და ჯერჯერობით მხოლოდ მისსავე მონეტებზე გვხვდება.

ერეკლე II-ის საკუთარი დამღა უფრო რთულია და მის სახელში შემავალი ასოების მონოგრამას წარმოადგენს. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ იმდროინდელ საბუთებზე მოთავსებული ერეკლე II-ის ბეჭედი უდავო მსგავსებას ამჟღავნებს ამ დამღებთან. ერეკლეს დამღებით აღბეჭდილია შემდეგი მონეტები: ბაქარისა, თეიმურაზ II-ისა. თავრეჟის და ერევნის ფულუსები, 1749 წლის რუსული „დენგა“ და გაცილებით უფრო ადრინდელი მონეტებიც კი. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, მაგალითად, დაცულია XI საუკუნის ბიზანტიური მონეტა, რომელიც შვიდი საუკუნის შემდეგ ერეკლეს საკუთარი დამღით „გაუცოცხლებიათ“ და ბრუნვის უნარი დაუბრუნებიათ. ყველაფერი ეს ალბათ ეკონომიურ კრიზისთან არის დაკავშირებული, მაგრამ სახელოვან მეფეს, როგორც ირკვევა, ოქროს ფულიც უჭრია. წერილობითი ცნობების გარდა, ამის შესახებ უტყუარი ნუმიზმატიკური ფაქტებიც არსებობს. ლენინგრადის ერმიტაჟში დაცულ 7,14 გ წონიან ამ მონეტის შუბლზე № 118-ის მსგავსი ცალთავიანი არწივის გამოსახულებაა და ევროპული თარიღი 1796, ხოლო ზურგზე სპარსულად აწერია — „იჭედა თბილისს“ 1203 (=1788/89 წლები) (იხ. № 119). ევროპული თარიღი აქ ჰიჯრის წელს არ ეთანხმება.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრის „სირმა-ვერცხლი“

როგორც ნათქვამი იყო, XVIII საუკუნის 70-იან წლებში ერანული ტიპის ვერცხლის მონეტის გამოშვება შეწყდა და თბილისის ზარაფხანა განსხვავებული ტიპის ვერცხლის ფულის მოჭრას შეუდგა. მართალია, მონეტის ზედწერილები ისევ მთლად სპარსულია, მაგრამ თვითონ მონეტის ტიპი იმდენად თავისებური და ორიგინალურია, რომ სავსებით ამართლებს ლიტერატურაში მიღებულ სახელწოდებას — „ბაგრატიონთა ვერცხლი“. უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი ხალხის ძველი თაობის წარმომადგენელნი არც ისე დიდი ხნის წინათ მას „სირმა ვერცხლს“ ან „სირმა აბაზს“ უწოდებდნენ. საბუთებიდან ირკვევა, რომ ეს ტერმინი ძველთაგანვეა შემორჩენილი.

ფაქტიური მასალის მიხედვით ეს სამონეტო ტიპი ოთხ ნომინალად მოჭრილა: — 1,5, 1, 0,5 და 1/4 აბაზი, ანუ ექვსშაურიანი (№ 120), აბაზი (№ 121), ორშაურიანი (ანუ უზალთუნი № 122) და შაურიანი. პირველ ორ ნომინალს გარეგანი სახე ერთნაირი აქვს: შ უ ბ ლ ზ ე რვაკუთხიან ჩარჩოში მოთავსებულია სპარსული ზედწერილი, რომელიც გვამცნობს მოჭრის ადგილს (თბილისი) და თარიღს ჰიჯრით. ჩარჩოს ზევით, მომცრო ოვალში, აღბეჭდილია ჯერ კიდევ ქერიმ ხან ზენდელის დროიდან ტრადიციულად შემორჩენილი გადანაშთი ფორმულა — „ია-ქერიმ“, ესე იგი „მოწყალეო“; ზ უ რ გ ი ს არაბული ზედწერილი უფალი ღმერთის განდიდებას გვაუწყებს.

ამავე ტიპის წვრილი ნომინალები აღწერილისაგან შესამჩნევად განსხვავდება: ქერიმ ხანის ნიშანი მონეტის ზურგზეა გადატანილი, სადაც ღვთის განმადიდებელი რელიგიური ფორმულა უკვე აღარ არის. სირმა-აბაზიანის შუბლის ზედწერილის შინაარსი უცვლელად რჩება წვრილ ნომინალზე, ოღონდ სიტყვებისა და თარიღის განლაგება აქ სხვადასხვანაირია.

ორშაურიანის და შაურიანის გარეგანი სახე და დიამეტრი ერთნაირია, მაგრამ შაურიანი უფრო თხელია და წონითაც ორჯერ ნაკლებია ორშაურიანზე.

მონეტაზე აღბეჭდილი თარიღების მიხედვით ეს ტიპი ჰიჯრის 1166 (=1752/53 წწ.) შემოსულა და ჰიჯრის 1213-ში (=1798/1799 წწ.) შეჭწყდარა. მაგრამ დასახელებული პირველი თარიღის შემდეგ 1181 ჰიჯრამდე გამოშვებული მონეტები არა ჩანს, მაშინ როდესაც 1181 ჰიჯრიდან ბოლომდე აბაზიანების ყოველწლიური გამოშვება განუწყვეტლივ წარმოებდა.

ლითონის მაღალი ხარისხის გამო ამ სირმა-ვერცხლს ჩვენში დიდხანს ჰქონია ბრუნვის უნარი. რუსეთთან შეერთების კარგა ხნის შემდეგაც სირმა-აბაზიანების თავისუფალი ხმარება დიდხანს არ შეწყვეტილა და მხოლოდ XIX საუკ. მეორე ნახევრიდან დაიწყო სახელმწიფო ხაზინამ მათი გამოსყიდვა.

სირმა-აბაზიანების კარგი რეპუტაცია იმითაც დასტურდება, რომ მათი მინაბაძები ერთ-ერთ ჩვენს მეზობელსაც უჭრია (ფიქრობენ,

რომ ეს ნუხის სახანოში ხდებოდა), მაგრამ მინაბაძები უფრო უხეში, მდარე სინჯისა და დაბალი წონისა არის.

აღსანიშნავია, რომ ქართული ლაშქრის მიერ განჯის აღების შემდეგ, მისი დროებითი ოკუპაციის პერიოდში, მოკლე ხნის განმავლობაში (1786—1791 წწ.) მეფე ერეკლეს ნაცვლები აქ თბილური აბაზის მსგავს ფულს ჭრიდნენ; მოჭრის ადგილი, რა თქმა უნდა, უკვე განჯა არის ნაჩვენები. თუმცა თბილურ ზარაფხანასთან ამ ნიმუშსაც უშუალო კავშირი არა აქვს, მაგრამ ქართული ნუმიზმატიკისათვის თავისთავად საინტერესო ფაქტს წარმოადგენს.

რუსულ-ქართული მონეტები

განუწყვეტელი ბრძოლა ირან-ოსმალეთთან და ლეკთა ფეოდალების გაუთავებელი ყაჩაღური თარეში ქართველ ხალხს ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდა. ქვეყანა პოლიტიკურად და ეკონომიურად უფრო და უფრო სუსტდებოდა და უძლურდებოდა. ჩვენი ქვეყნის მოწინავე ადამიანებში მტკიცდებოდა რწმენა, რომ საბოლოოდ დაუძლურებისა და ფიზიკური განადგურებისაგან ქართველ ხალხს მხოლოდ ჩრდილოეთის დიდი სახელმწიფო, ერთმორწმუნე რუსეთი, გადაარჩენდა. 1783 წელს გეორგიევსკის ტრაქტატით ამ ორ სახელმწიფოს შორის მეგობრობის ხელშეკრულება დაიდო. 1801 წელს კი იმპერატორ პავლე I მანიფესტით ქართლ-კახეთის სამეფო გაუქმდა და რუსეთს შეუერთდა. ბაგრატიონთა მრავალსაუკუნოვანი სამეფო დაეცა და რუსეთის იმპერიის ნაწილად იქცა.

რუსეთთან შეერთებით ქართველმა ხალხმა მიიღო ობიექტური პირობები ეკონომიური ჩიხიდან გამოსასვლელად. მაგრამ ძალით ჩამოშორებული საქართველოს ნაწილების (იმერეთი, გურია, სამეგრელო, აფხაზეთი, სვანეთი, სამცხე) შემოერთების პროცესი ათეულ წლობით გრძელდებოდა და ქვეყნის ეკონომიური დაქუცმაცებულობა ჩვენში ფაქტიურად მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოიხსნა, მაშინ, როცა გაუქმდა ბატონყმობა, დაიწყო ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების აღმავლობა და მჭიდრო კავშირი დამყარდა საქართველოს სხვადასხვა ოლქებს შორის.

რუსეთთან შეერთების შემდეგ საქართველოში ჩატარდა ადმინისტრაციული ღონისძიებანი და, კერძოდ, გაუქმდა თბილისის ძველი ზარაფხანა. მაგრამ სულ მალე აუცილებელი გახდა მისი ამოქმედება.

საქართველოში რუსეთის ძალაუფლების განმტკიცების პირველი დღიდანვე ბევრჯერ დასმულა საკითხი გარეგნულად ქართული, მაგრამ რუსეთში არსებული სისტემის მიხედვით მონეტების გამოშვების შესახებ. იმ დროს „ლიბერალურად" განწყობილმა რუსეთის ხელმწიფემ ალექსანდრე I ინება, რომ ქართულ მონეტაზე „რუსული არაფერი ყოფილიყო".

ახალი ქართული მონეტის რამდენიმე პროექტი იყო წარმოდგენილი და, ბოლოს, ისეთ მონეტაზე შეჩერდნენ, რომელზედაც არავითარი საკუთარი სახელი არ იქნებოდა მოხსენებული.

ვერცხლისა და სპილენძის მონეტისათვის საერთო ტიპი იყო დამტკიცებული. ამიტომ ორივე ლითონისა და ყველა ნომინალის აღწერილობა გაერთიანებულია. მონეტის შ უ ბ ლ ი ასეთია: კბილანა გვირგვინის ქვეშ ქართული მხედრული წარწერა — „ტფილისი", ქვემოთ — პალმისა და ზეთისხილის გადაჯვარედინებული შტო; ზ უ რ გ ი: პირველ სტრიქონზე — ნომინალის აღმნიშვნელი ქართული ასო, შემდეგ ორ სტრიქონად: „ქართული ფული" (სპილენძისათვის) ან „ქართული თეთრი" (ვერცხლისთვის) და ბოლოს მეოთხე სტრიქონზე — ევროპული თარიღი, რომელიც ქართული ანბანის რიცხვითი ნიშნებით არის გადმოცემული. გარდა ამისა, ვერცხლის მონეტაზე თარიღის ქვემოთ მონეტის მომჭრელის რუსული ინიციალებია.

ასეთი ტიპის მონეტები იჭრებოდა: ვერცხლისა 1804—1834 წლების, ხოლო სპილენძისა 1804—1810 წლების მანძილზე. გამოშვებული იყო შემდეგი ნომინალები: ვერცხლისა — 40, 20 და 10 კაპიკი (იხ. №№ 123, 124, 125) და სპილენძისა — 2, 1 და 1/2 კაპიკი (იხ. №№ 126, 127, 128). თარიღის მსგავსად ნომინალებსაც ქართული ანბანის რიცხვითი ნიშნების საშუალებით იძლეოდნენ: უ (=400), ს (=200) და რ (=100) 40, 20 და 10 კაპიკისათვის და

კ (=20). ი (=10) და ე (=5). — 2, 1 და 1/2 კაპიკისათვის. ვერცხლის მონეტების თარიღის ქვეშ მოთავსებული მომცრო რუსული ინიციალები შემდეგნაირად იხსნება:

П. З. — პეტრე ზაიცევი; А. Т. — ალექსანდრე ტრიფონოვი;
А. К. — ალექსი კარპინსკი; В. К. — ვასილ კლეიმენოვი.

1828 წლით დათარიღებული სამივე ნომინალის ზოგიერთ ნიმუშს, რომლებიც საცდელად პეტერბურგის ზარაფხანამ გამოუშვა, ზარაფხების ინიციალები არა აქვს.

თბილისის ზარაფხანამ, რომელიც 1804 წლის 15 სექტემბერს გაიხსნა და 1834 წლის 13 თებერვლამდე არსებობდა, ამ ხნის განმავლობაში 1.060.714 მანეთის და 30 კაპ. ვერცხლისა და 8310 მანეთის და 89.5 კაპიკის სპილენძის ფული გამოუშვა. მაგრამ მონეტის გამოშვება რეგულარულად არ ხდებოდა; (1834 წელს გამოშვებულ მონეტებს 1833 წლით ათარიღებდნენ). ზოგიერთ წლებში მონეტა სულ არ უჭრიათ (სახელდობრ 1825 წელს). ხდებოდა, აგრეთვე, რომ ამა თუ იმ წელს მხოლოდ ესა თუ ის ნომინალი იჭრებოდა. ზოგჯერ ფულის გამოშვების ტირაჟი დიდი იყო, ზოგჯერ — მცირე. შესაბამისად ამისა, ამა თუ იმ წლის ესა თუ ის ნომინალი ან ძალიან არის გავრცელებული, ან პირიქით, იშვიათობას წარმოადგენს. იშვიათია, მაგალითად, 1804, 1810 და 1811 წლების ვერცხლის ყველა მონეტა, განსაკუთრებით 1804 წელს მოჭრილი სპილენძის ყველა ნომინალი და ა. შ.

XIX საუკუნემდე საქართველოში მხოლოდ და მხოლოდ ძალიან მაღალი სინჯის ვერცხლის მონეტა იჭრებოდა, რამაც ახლად გაჩენილ მონეტაზე იქონია გავლენა, თუმცა უკანასკნელი მაინც შედარებით დაბალსინჯიანია. ამ მონეტის მოსაჭოელად შემოღებული იყო შემდეგი რიგი: ერთი გირვანქა ვერცხლისაგან 130 აბაზი (ან 26 მანეთი) უნდა მოჭრილიყო, ხოლო ერთი ფუთი სპილენძისაგან 21 მანეთი. ამისდა მიხედვით რუსულ-ქართული აბაზიანის წონაც დაახლოებით 3,15 გრამამდე ვერცხლს უდრის, ხოლო ერთი კაპიკი — 7,8 გ სპილენძს.

აღწერილმა სამონეტო ტიპმა იმდენად კეთილი და მტკიცე რეპუტაცია დაიმსახურა, რომ მას ფართო გასავალი ჰქონდა მთელ

ამიერკავკასიაში და, მაგალითად, ნუხის სახანოს სინქრონულ მონეტათა ნაწილზე გამოსახული გვირგვინის მოყვანილობა თბილური მონეტებიდანაა ნასესხები.

ამ წიგნში მოცემული მოკლე და ზოგადი ცნობები საქართველოში ფულის მოჭრისა და სამონეტო საქმის განვითარების შესახებ 2500 წელს მოიცავს. უძველესი დროიდან, ე. ი. ძვ. წ. VI საუკუნიდან დაწყებული და თითქმის თანამედროვეობით დამთავრებული ჩვენს ქვეყანაში არ შეწყვეტილა ს ა კ უ თ ა რ ი. ა დ გ ი ლ ო ბ რ ი ვ მოჭრილი ფულის ბრუნვა. მაგალითად, უკანასკნელ რუსულ-ქართულ მონეტებსაც ხანგრძლივი ბრუნვის პერიოდი ჰქონია: არქეოლოგ მ. ივაშჩენკოს გადმოცემით, მიმდინარე საუკუნის დასაწყისში ქუთაისის ხაზინა ადგილობრივ მოსახლეობას (მეტნაწილად სვანეთისა, ლეჩხუმისა და ზემო რაჭის) ამ რუსულ-ქართულ მონეტებს უცვლიდა.

* * *

ამ წიგნში აღნუსხული ქართული ნუმიზმატიკური ფაქტები ასახავს ჩვენი ქვეყნის მრავალსაუკუნოვანსა და სახელოვან, მაგრამ მძიმე და რთულ გზას. აღწერილი ნიმუშების ცალკეული წვრილმანი დეტალები, რომლებიც უაღრესად მნიშვნელოვან მოვლენებს მოწმობენ და რომლებისთვისაც შორეულ წარსულში ალბათ სათანადო ყურადღება არ მიუქცევიათ, ამჟამად ჭეშმარიტი სურათის აღდგენის საშუალებას იძლევა. ამ ნიმუშებისა და მათზე გამოსახული წვრილმანი დეტალების წყალობით ჩვენი წარსული მთელის სისრულითა და სიდიადით გვეხატება.

ჟანგმოკიდებული, გარეგნულად ცივი და მუნჯი, მაგრამ განვლილი ჩვენი ცხოვრების ეს უტყუარი მოწმენი, განსაკუთრებული პირუთვნელობითა და სიმძლავრით მეტყველებენ ჩვენი დიადი წარსულის შესახებ, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში ქართველი ხალხის გმირობისა და რაინდობის, სიმტკიცისა და თავგანწირულების შესახებ.

ზაბულები

1
2
3
4
6
5
7
8
9
10
11
12

13



14

15

16

17

18

19

20

21

22
23
24
25
26
27
28
29

30

31

33

32

33

34

36


35

37


38



39

40



41

42



43

44

45



46

47

48

49

50

51

52

53

54

55

56

57

58

59

60

61

62

63

64


65

66

67

68

69

70

71

72

73

74

75

76

77


78

79

80

81

82

83


84


85

86

87

88

89

90

91



92

93

94

95

96

97

98

98½

99

100

101

102

103

105

104

106

107

108

109

110

111

112

113

114

115

116

117

118

119

120

121

122

123

124

125

126

127

128

შინაარსი

შესავალი 3

თავი პირველი

მონათმფლობელობის ხანა . 23

თავი მეორე

ადრეფეოდალური დაქუცმაცებულობის ხანა 47

თავი მესამე

ერთიანი სამეფოს არსებობის ხანა ვანვითარებული ფეოდალიზმის ეპოქაში 57

თავი მეოთხე

ერთიანი სამეფოს რღვევის ხანა 96

თავი მეხუთე

ფეოდალურ-ბატონყმური დაქუცმაცებულობის ხანა . . 115